დანართი №5

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

სსიპ - სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ნოსირის საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები
თავმჯდომარე: ლიკა გიორგაძე
წევრები:
ნათია ღოღობერიძე
ქეთევან ბასილაძე
ელენე ოგბაიძე
ნინო ბურჯანაძე
შოთა მაღლაკელიძე
შორენა ბადურაშვილი
მარიამ ჯვარიძე
მარინე ახალაია
ედუარდ ნაკაიძე
ნინო ჭიჭინაძე

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ - სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ნოსირის საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	239885111

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	სენაკის მუიციპალიტეტის სოფელი ნოსირი სოფელი მეორე ნოსირი
ფაქტობრივი მისამართი	სენაკი. ნოსირი
საფოსტო ინდექსი	4100
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	Skolebi.emis.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	nosiri@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	577 59 12 96

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	2026 წლის 12 მარტის №MES 3 26 0000300773 ბრძანება
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	2026 წლის 6 და 7 აპრილი

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	**ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება**	**ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური**	**ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა**	**სასწავლო მიზნებისთვის გამოსაყენებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი** (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის/ქუჩის და თითოეულ მისამართზე შენობა-ნაგებობების რაოდენობის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგასაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი საფეხური	ქართული ენა	სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელი ნოსირი - 1 შენობა-ნაგებობა სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელი მეორე ნოსირი - 1 შენობა-ნაგებობა
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგასაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო საფეხური	ქართული ენა	სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელი ნოსირი - 1 შენობა-ნაგებობა

				სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელი მეორე ნოსირი - 1 შენობა-ნაგებობა
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგასაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო საფეხური	ქართული ენა	სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელი ნოსირი - 1 შენობა-ნაგებობა სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელი მეორე ნოსირი - 1 შენობა-ნაგებობა

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

სსიპ - სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ნოსირის საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა 2026 წლის 6 და 7 აპრილს. ვიზიტის ფარგლებში სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2026 წლის 12 მარტის №MES MES 3 26 0000300773 ბრძანების საფუძველზე, ექსპერტთა ჯგუფმა უზრუნველყო დაწესებულების რესურსების შეფასება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების შესაბამისად.

ვიზიტის დაწყებამდე ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა დაწესებულების მიერ ავტორიზაციის განაცხადით წარმოდგენილი დოკუმენტაცია. ვიზიტი წარიმართა ექსპერტთა ჯგუფის წევრების მიერ მომზადებული, დაწესებულებასთან წინასწარ შეთანხმებული დღის წესრიგის შესაბამისად. ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა დამატებითი დოკუმენტაციის გამოთხოვა, მოეწყო ინტერვიუები სკოლის დირექტორთან, საქმისმწარმოებელთან, ექთანთან, მასწავლებლებთან და სკოლაში დასაქმებულ სხვა პირებთან. ასევე, ვიზიტის ფარგლებში გასაუბრება შედგა სკოლის საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეებთან და სამივე საფეხურის მოსწავლეთა კანონიერ წარმომადგენლებთან.

შეხვედრები მიმდინარეობდა თანამშრომლობით ატმოსფეროში, დაწესებულებამ ხელი შეუწყო ექსპერტთა ჯგუფს მუშაობაში.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3	☒ შეესაბამება

პროცესების მართვა	☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება

	☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: 420	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	აღწერა *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	ხარვეზი
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	ხარვეზი
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	ხარვეზი

ინდიკატორი N		
სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი ზოგადი განათლების საბაზო საფეხური საგანმანათლებლო პროგრამა	ხარვეზი
სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	ხარვეზი

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[1]

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N...		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N3.4.1.1	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც	შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადებში, დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს:

[1] გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.

	არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოებ დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმ უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთ შეთანხმებული საგანგებო სიტუაციებ მართვის გეგმა, სკოლის მიმართ უფლებამოსილ უწყებასთან შენობ ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოებ მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახ უფლებამოსილი ორგანოს მი გაცემული შენობის ექსპლუატაცი უსაფრთხოების შესახებ დასკვნა	• საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალ სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებასთან – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან საგანგებო მართვის გეგმის შეთანხმება; • სკოლის მეორე შენობის (სოფელი მეორე ნოსირი) აღჭურვა ვიდეო-სამეთვალყურეო სისტემით; • სკოლის ორივე შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნების მოპოვება.
ინდიკატორი N3.5.1.4	სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნ სწავლის ინკლუზიურ გარემოს	შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადებში, დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს მეორე შენობა-ნაგებობის (სოფელი მეორე ნოსირი) ადაპტირება შშმ პირების საჭიროებებთან.
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N...		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*

	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	
ინდიკატორი N2.2.2.3	კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით	შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადებში, დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს: საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიის აუცილებელი ინვენტარით, რესურსებით და საშუალებებით აღჭურვა.

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** *ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა*	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N2.2.2.3	კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით	შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადებში, დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს: საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიის აუცილებელი ინვენტარით, რესურსებით და საშუალებებით აღჭურვა.

V. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	**სკოლის ფილოსოფია**	**რჩევა**
ინდიკატორი N 1.2.1.4	სამოქმედო გეგმაში განსაზღვრული სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობებ შესრულების გაზომვად ინდიკატორები, რეალისტური ვადებ პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები დ შესაბამისი რესურსები, რომელი უზრუნველყოფაც რეალისტურია	ექსპერტთა ჯგუფის რჩევაა: • შესწორდეს სამოქმედო გეგმაში არსებული ტექნიკური უზუსტობა (შეივსოს აუცილებელი რესურსების ცხრილი); • სამოქმედო გეგმის შესრულების ინდიკატორების განსაზღვრისას დაწესებულებამ აქცენტი გააკეთოს სასურველ მისაღწევ შედეგებზე.
სტანდარტი N3	**სასწავლო პროცესის ადმინისტრაციულ და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**	**რჩევა**
ინდიკატორი N3.1.1.1	სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული	სასურველია, დაწესებულებამ გადახედოს საკუთარ მეთოდოლოგიურ დოკუმენტებს და სკოლის მოქმედი სტრუქტურის შესაბამისად დააზუსტოს სხვადასხვა პროცესში ჩართული პირების/სტრუქტურული ერთეულის ფუნქციები.
ინდიკატორი N3.1.2.1	პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად	სასურველია, დაწესებულებამ გადახედოს პერსონალის მართვასთან დაკავშირებულ დოკუმენტაციას და მოახდინოს მათი ოპტიმიზაცია და ერთ დოკუმენტად ორგანიზება („ადამიანური რესურსების მართვის მექანიზმები“ და „პერსონალის მართვის მექანიზმები“).
ინდიკატორი N3.3.1.2	იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები	სასურველია, გადაიხედოს „სსიპ - სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ნოსირის საჯარო სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების“ და „სსიპ - სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ნოსირის საჯარო სკოლის მმართველობითი ერთეულების“ დოკუმენტები შემდეგი თვალსაზრისით:

		შესწორდეს ტექნიკური უზუსტობები, აღმოიფხვრას ერთი და იმავე საკითხის რეგულირებისას დუბლირებები და შეუსაბამობები.
ინდიკატორი N3.4.1.1	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა	სასურველია, სკოლამ აიყვანოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი.
ინდიკატორი N3.4.1.6	სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას	სასურველია, სკოლამ პერსონალური მონაცემების დაცვის ოფიცრის შერჩევისას თავიდან აირიდოს ინტერესთა კონფლიქტი (განსაზღვრული პირი - საქმისმწარმოებელი უშუალოდ უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დამუშავებას).
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	რჩევა
ინდიკატორი N...		

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** *ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა*	*რჩევა*
ინდიკატორი № 2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას	**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები:** სასურველია კათედრამ, დაგეგმვისას, შეიმუშაოს კურიკულუმის საერთო ჩარჩო. IV კლასის კურიკულუმში სასწავლო თემები გაიწეროს სტანდარტის მიხედვით. **სახელმწიფო ენა:** კურიკულუმის ჩარჩოში წაიშალოს გრაფა „საკითხთა კლასტერი“, რადგან ეს მოცემულობა საგანში, ქართულ ენა და ლიტერატურა, არ არის. **ტექნოლოგიები:** კურიკულუმების კიდევ უფრო მეტი სრულყოფისთვის სასურველია ძირითადი კონტექსტ-მაგალითების გრაფაში სადაც მაგალითების ნაცვლად, აღწერილია აქტივობები, ჩანაცვლდეს სიტუაციური სცენარით: მაგალითად: კურიკულუმში სადაც წერია (პროგრამის შექმნის პროცესის გაანალიზება code.org პლატფორმის გამოყენებით კონკრეტული დავალებების შესრულება), სასურველია ეწეროს: „რობოტი-მხატვრისთვის ისეთი ინსტრუქციის (ალგორითმის) მომზადება, რომელიც ციკლების გამოყენებით ავტომატურად დახატავ სახლს ან სხვა გეომეტრიულ ფიგურას“. ასეთი ფორმულირება დაეხმარება მოსწავლეს, ტექნიკური ამოცანა აღიქვას როგორც რეალურ გამოწვევა, რაც მნიშვნელოვნად გაზრდის მის მოტივაციასა და ჩართულობას სასწავლო პროცესში.
ინდიკატორი 2.1.2.2	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს	**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები:** სასურველია დავალებების მრავალფეროვნება,რომელიც მეტად შეუწყობს ხელს სააზროვნო უნარების განვითარებას, დამოკიდებულებების ჩამოყალიბებას, რომელიც გაზომვადი იქნება სასკოლო აქტივობების განხორციელებისას.

ინდიკატორი 2.1.2.4	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს	**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები:** სასურველია, პედაგოგებმა კურიკულუმშიც შეიტანონ ის მრავალფეროვანი დავალება, რომლებსაც ახორციელებენ გაკვეთილზე, როგორც პრაქტიკული, ისე თეორიული სწავლების დროს, ისე, რომ კურიკულუმშიც ჩანდეს დავალებების, აქტივობების დიფერენცირება, რომელიც მორგებული იქნება მოსწავლის ინტერესსა და შესაძლებლობებზე. **უცხოური ენები:** სასურველია საგნობრივ კურიკულუმებში უფრო მკაფიოდ და სისტემურად იყოს წარმოდგენილი ერთსა და იმავე ცნებაზე/ცნებებზე მორგებულ დავალებათა მრავალფეროვნება, რაც კიდევ უფრო გააძლიერებს დიფერენცირებული და ინკლუზიური სწავლების პრაქტიკულ ასახვას კურიკულუმის დონეზე.
ინდიკატორი 2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	**უცხოური ენები:** სასურველია, კათედრამ შეიმუშაოს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა თითოეული თემის ფარგლებში, რომელიც ნათლად აჩვენებს კრიტერიუმებთან მიმართებით რამდენად დაძლია მოსწავლემ შედეგების მიღწევის ინდიკატორები გრძელვადიანი სამიზნე ცნებების მიხედვით. **ესთეტიკური აღზრდა:** თეორიული მასალის ათვისების დადასტურებასთან ერთად, შეფასება, სასურველია, უფრო მეტად ასახავდეს მოსწავლის შემოქმედებით შესაძლებლობებსა და აქტიურ ჩართულობას. სასურველია, შეფასების მექანიზმში ორგანულად იყოს ჩართული სისტემატური უკუკავშირი, თვითრეფლექსია და თანაკლასელთა ურთიერთშეფასების კომპონენტები.
ინდიკატორი 2.2.1.1	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად	**ესთეტიკური აღზრდა:** სასურველია, გაკვეთილის მიმდინარეობაზე დაკვირვება განხორციელდეს როგორც პედაგოგის, ისე მოსწავლეთა ჩართულობის გათვალისწინებით.

ინდიკატორი 2.2.1.3	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი	**უცხოური ენები:** სასურველია, სკოლამ შეფასების ყველა ინსტრუმენტი და რუბრიკა გადაამუშაოს ისე, რომ ისინი სრულად შეესაბამებოდეს მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს, მკაფიოდ მიემართებოდეს სწავლის შედეგებს, სამიზნე ცნებებსა და შეფასების მიზნებს. ასევე მნიშვნელოვანია უფრო სისტემურად იყოს წარმოდგენილი განმავითარებელი შეფასების მექანიზმები, რათა შეფასება მეტად ემსახურებოდეს მოსწავლის პროგრესის მხარდაჭერასა და სწავლის გაუმჯობესებას. **ესთეტიკური აღზრდა:** სასურველია შეფასების კრიტერიუმები პედაგოგებმა მოსწავლეებს წინასწარ, დეტალურად გააცნონ და შემდეგ ეტაპობრივად ჩართონ მათ ურთიერთშეფასებაში, რათა შეფასების პროცესი იყოს გაცნობიერებული და სამართლიანად აღქმადი. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.
ინდიკატორი 2.2.2.1	კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში	**უცხოური ენები:** სასურველია, კურიკულუმში უფრო მკაფიოდ და სისტემურად იყოს ასახული ის ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსები, რომლებიც სასწავლო პროცესში გამოიყენება, რათა დოკუმენტურადაც უფრო ნათლად დასტურდებოდეს მათი კავშირი დაგეგმილ აქტივობებთან, ღონისძიებებთან და სასწავლო შედეგებთან.
ინდიკატორი 2.2.2.2	სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას	**უცხოური ენები:** სასურველია, სკოლამ შეფასების ყველა ინსტრუმენტი და რუბრიკა გადაამუშაოს ისე, რომ ისინი სრულად შეესაბამებოდეს მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს, მკაფიოდ მიემართებოდეს სწავლის შედეგებს, სამიზნე ცნებებსა და შეფასების მიზნებს. ასევე მნიშვნელოვანია უფრო სისტემურად იყოს წარმოდგენილი განმავითარებელი შეფასების მექანიზმები, რათა შეფასება მეტად ემსახურებოდეს მოსწავლის პროგრესის მხარდაჭერასა და სწავლის გაუმჯობესებას.
ინდიკატორი 2.2.2.3	კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით,	**უცხოური ენები:** სასურველია, სკოლამ რესურსების ვალიდაციის პროცესი დაარეგულიროს ერთიანი წერილობითი წესით და ასევე უზრუნველყოს ვალიდირებული რესურსების მკაფიო ასახვა

	მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით	სასკოლო/საგნობრივ კურიკულუმებსა და სასწავლო პროცესის დაგეგმვის შესაბამის დოკუმენტებში.

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** *ზოგადი განათლების საგაზო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა*	*რჩევა*
ინდიკატორი № 2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას	**სახელმწიფო ენა:** კურიკულუმის ჩარჩოში წაიშალოს გრაფა „საკითხთა კლასტერი“, რადგან ეს მოცემულობა საგანში, ქართულ ენა და ლიტერატურა, არ არის.
ინდიკატორი 2.1.2.2	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს	**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები:** სასურველია დავალებების მრავალფეროვნება,რომელიც მეტად შეუწყობს ხელს სააზროვნო უნარების განვითარებას, დამოკიდებულებების ჩამოყალიბებას, რომელიც გაზომვადი იქნება სასკოლო აქტივობების განხორციელებისას.
ინდიკატორი 2.1.2.4	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს	**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები:** სასურველია, პედაგოგებმა კურიკულუმშიც შეიტანონ ის მრავალფეროვანი დავალება სამივე საფეხურზე, რომლებსაც ახორციელებენ გაკვეთილზე, როგორც პრაქტიკული, ისე თეორიული სწავლების დროს, ისე, რომ კურიკულუმშიც ჩანდეს დავალებების, აქტივობების დიფერენცირება, რომელიც მორგებული იქნება მოსწავლის ინტერესსა და შესაძლებლობებზე. **უცხოური ენები:** სასურველია საგნობრივ კურიკულუმებში უფრო მკაფიოდ და სისტემურად იყოს წარმოდგენილი ერთსა და იმავე ცნებაზე/ცნებებზე მორგებულ დავალებათა მრავალფეროვნება, რაც

		კიდევ უფრო გააძლიერებს დიფერენცირებული და ინკლუზიური სწავლების პრაქტიკულ ასახვას კურიკულუმის დონეზე.
ინდიკატორი 2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	**უცხოური ენები:** სასურველია, კათედრამ შეიმუშაოს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა თითოეული თემის ფარგლებში, რომელიც ნათლად აჩვენებს კრიტერიუმებთან მიმართებით რამდენად დაძლია მოსწავლემ შედეგების მიღწევის ინდიკატორები გრძელვადიანი სამიზნე ცნებების მიხედვით. **ესთეტიკური აღზრდა:** თეორიული მასალის ათვისების დადასტურებასთან ერთად, შეფასება, სასურველია, უფრო მეტად ასახავდეს მოსწავლის შემოქმედებით შესაძლებლობებსა და აქტიურ ჩართულობას. სასურველია, შეფასების მექანიზმში ორგანულად იყოს ჩართული სისტემატური უკუკავშირი, თვითრეფლექსია და თანაკლასელთა ურთიერთშეფასების კომპონენტები.
ინდიკატორი 2.2.1.1	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად	**ესთეტიკური აღზრდა:** სასურველია, გაკვეთილის მიმდინარეობაზე დაკვირვება განხორციელდეს როგორც პედაგოგის, ისე მოსწავლეთა ჩართულობის გათვალისწინებით.
ინდიკატორი 2.2.1.3	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი	**უცხოური ენები:** სასურველია, სკოლამ შეფასების ყველა ინსტრუმენტი და რუბრიკა გადაამუშაოს ისე, რომ ისინი სრულად შეესაბამებოდეს მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს, მკაფიოდ მიემართებოდეს სწავლის შედეგებს, სამიზნე ცნებებსა და შეფასების მიზნებს. ასევე მნიშვნელოვანია უფრო სისტემურად იყოს წარმოდგენილი განმავითარებელი შეფასების მექანიზმები, რათა შეფასება მეტად ემსახურებოდეს მოსწავლის პროგრესის მხარდაჭერასა და სწავლის გაუმჯობესებას. **ესთეტიკური აღზრდა:** სასურველია შეფასების კრიტერიუმები პედაგოგებმა მოსწავლეებს წინასწარ, დეტალურად გააცნონ და შემდეგ

		ეტაპობრივად ჩართონ მათ ურთიერთშეფასებაში, რათა შეფასების პროცესი იყოს გაცნობიერებული და სამართლიანად აღქმადი. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.
ინდიკატორი 2.2.2.1	კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში	**უცხოური ენები:** სასურველია, კურიკულუმში უფრო მკაფიოდ და სისტემურად იყოს ასახული ის ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსები, რომლებიც სასწავლო პროცესში გამოიყენება, რათა დოკუმენტურადაც უფრო ნათლად დასტურდებოდეს მათი კავშირი დაგეგმილ აქტივობებთან, ღონისძიებებთან და სასწავლო შედეგებთან.
ინდიკატორი 2.2.2.2	სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას	**უცხოური ენები:** სასურველია, სკოლამ შეფასების ყველა ინსტრუმენტი და რუბრიკა გადაამუშაოს ისე, რომ ისინი სრულად შეესაბამებოდეს მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს, მკაფიოდ მიემართებოდეს სწავლის შედეგებს, სამიზნე ცნებებსა და შეფასების მიზნებს. ასევე მნიშვნელოვანია უფრო სისტემურად იყოს წარმოდგენილი განმავითარებელი შეფასების მექანიზმები, რათა შეფასება მეტად ემსახურებოდეს მოსწავლის პროგრესის მხარდაჭერასა და სწავლის გაუმჯობესებას.
ინდიკატორი 2.2.2.3	კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით	**უცხოური ენები:** სასურველია, სკოლამ რესურსების ვალიდაციის პროცესი დაარეგულიროს ერთიანი წერილობითი წესით და ასევე უზრუნველყოს ვალიდირებული რესურსების მკაფიო ასახვა სასკოლო/საგნობრივ კურიკულუმებსა და სასწავლო პროცესის დაგეგმვის შესაბამის დოკუმენტებში.

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** *ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა*	*რჩევა*

ინდიკატორი № 2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას	**სახელმწიფო ენა:** კურიკულუმის ჩარჩოში წაიშალოს გრაფა „საკითხთა კლასტერი“, რადგან ეს მოცემულობა საგანში, ქართული ენა და ლიტერატურა, არ არის.
ინდიკატორი 2.1.2.2	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს	**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები:** სასურველია დავალებების მრავალფეროვნება,რომელიც მეტად შეუწყობს ხელს სააზროვნო უნარების განვითარებას, დამოკიდებულებების ჩამოყალიბებას, რომელიც გაზომვადი იქნება სასკოლო აქტივობების განხორციელებისას.
ინდიკატორი 2.1.2.4	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს	**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები:** სასურველია, პედაგოგებმა კურიკულუმშიც შეიტანონ ის მრავალფეროვანი დავალება სამივე საფეხურზე, რომლებსაც ახორციელებენ გაკვეთილზე, როგორც პრაქტიკული, ისე თეორიული სწავლების დროს, ისე, რომ კურიკულუმშიც ჩანდეს დავალებების, აქტივობების დიფერენცირება, რომელიც მორგებული იქნება მოსწავლის ინტერესსა და შესაძლებლობებზე. **უცხოური ენები:** სასურველია საგნობრივ კურიკულუმებში უფრო მკაფიოდ და სისტემურად იყოს წარმოდგენილი ერთსა და იმავე ცნებაზე/ცნებებზე მორგებულ დავალებათა მრავალფეროვნება, რაც კიდევ უფრო გააძლიერებს დიფერენცირებული და ინკლუზიური სწავლების პრაქტიკულ ასახვას კურიკულუმის დონეზე.
ინდიკატორი 2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო	**უცხოური ენები:** სასურველია, კათედრამ შეიმუშაოს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა თითოეული თემის ფარგლებში, რომელიც ნათლად აჩვენებს კრიტერიუმებთან

	გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	მიმართებით რამდენად დაძლია მოსწავლემ შედეგების მიღწევის ინდიკატორები გრძელვადიანი სამიზნე ცნებების მიხედვით. **ესთეტიკური აღზრდა:** თეორიული მასალის ათვისების დადასტურებასთან ერთად, შეფასება, სასურველია, უფრო მეტად ასახავდეს მოსწავლის შემოქმედებით შესაძლებლობებსა და აქტიურ ჩართულობას. სასურველია, შეფასების მექანიზმში ორგანულად იყოს ჩართული სისტემატური უკუკავშირი, თვითრეფლექსია და თანაკლასელთა ურთიერთშეფასების კომპონენტები.
ინდიკატორი 2.2.1.1	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად	**ესთეტიკური აღზრდა:** სასურველია, გაკვეთილის მიმდინარეობაზე დაკვირვება განხორციელდეს როგორც პედაგოგის, ისე მოსწავლეთა ჩართულობის გათვალისწინებით.
ინდიკატორი 2.2.1.3	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი	**უცხოური ენები:** სასურველია, სკოლამ შეფასების ყველა ინსტრუმენტი და რუბრიკა გადაამუშაოს ისე, რომ ისინი სრულად შეესაბამებოდეს მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს, მკაფიოდ მიემართებოდეს სწავლის შედეგებს, სამიზნე ცნებებსა და შეფასების მიზნებს. ასევე მნიშვნელოვანია უფრო სისტემურად იყოს წარმოდგენილი განმავითარებელი შეფასების მექანიზმები, რათა შეფასება მეტად ემსახურებოდეს მოსწავლის პროგრესის მხარდაჭერასა და სწავლის გაუმჯობესებას. **ესთეტიკური აღზრდა:** სასურველია შეფასების კრიტერიუმები პედაგოგებმა მოსწავლეებს წინასწარ, დეტალურად გააცნონ და შემდეგ ეტაპობრივად ჩართონ მათ ურთიერთშეფასებაში, რათა შეფასების პროცესი იყოს გაცნობიერებული და სამართლიანად აღქმადი. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.
ინდიკატორი 2.2.2.1	კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში	**უცხოური ენები:** სასურველია, კურიკულუმში უფრო მკაფიოდ და სისტემურად იყოს ასახული ის ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსები, რომლებიც სასწავლო პროცესში გამოიყენება, რათა

		დოკუმენტურადაც უფრო ნათლად დასტურდებოდეს მათი კავშირი დაგეგმილ აქტივობებთან, ღონისძიებებთან და სასწავლო შედეგებთან.
ინდიკატორი 2.2.2.2	სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას	**უცხოური ენები:** სასურველია, სკოლამ შეფასების ყველა ინსტრუმენტი და რუბრიკა გადაამუშაოს ისე, რომ ისინი სრულად შეესაბამებოდეს მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს, მკაფიოდ მიემართებოდეს სწავლის შედეგებს, სამიზნე ცნებებსა და შეფასების მიზნებს. ასევე მნიშვნელოვანია უფრო სისტემურად იყოს წარმოდგენილი განმავითარებელი შეფასების მექანიზმები, რათა შეფასება მეტად ემსახურებოდეს მოსწავლის პროგრესის მხარდაჭერასა და სწავლის გაუმჯობესებას.
ინდიკატორი 2.2.2.3	კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით	**უცხოური ენები:** სასურველია, სკოლამ რესურსების ვალიდაციის პროცესი დაარეგულიროს ერთიანი წერილობითი წესით და ასევე უზრუნველყოს ვალიდირებული რესურსების მკაფიო ასახვა სასკოლო/საგნობრივ კურიკულუმებსა და სასწავლო პროცესის დაგეგმვის შესაბამის დოკუმენტებში.

VI. **წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი** (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

<u>ინდიკატორი N1.1.1.3: სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით</u>
მტკიცებულებები, რომელიც დაადასტურებდა სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავების პროცესში სასკოლო საზოგადოების ჩართულობას, არ ყოფილა წარმოდგენილი, რის გამოც დადგინდა ხარვეზი.
დასკვნის პროექტის გაცნობის შემდეგ დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია. კორესპოდენციაზე თანდართულია: სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმი, პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი, სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი, დამრიგებლის ანგარიში. დოკუმენტაციით დგინდება, რომ სასკოლო საზოგადოების წევრების ჩართულობით (მასწავლებლები, მოსწავლეთა თვითმმართველობის თავმჯდომარე, მშობელი) დამატებით მოხდა საკითხზე მსჯელობა და ჩამოყალიბებული მისიისა და ხედვის განაცხადი, ორგანიზაციული ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით. ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტში დაფიქსირებული შეფასება შეიცვალა. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

<u>ინდიკატორი N1.1.1.4: სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ</u>
ვიზიტის ფარგლებში მტკიცებულებებით ვერ დადასტურდა სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავების/რევიზიის პროცესში სასკოლო საზოგადოების ჩართულობა უკუკავშირის მიღების მიზნით, შესაბამისად, დადგინდა ხარვეზი. დასკვნის პროექტის პასუხად წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას ახლავს დამატებითი მტკიცებულებები, რომლითაც დასტურდება, რომ სკოლაში შექმნილმა სამუშაო ჯგუფმა დამატებით განიხილა საკითხი. სამუშაო ჯგუფის შემადგენლობაში სკოლის მეთოდოლოგიური დოკუმენტის შესაბამისად ჩართულები იყვნენ მოსწავლეების და მშობლების წარმომადგენლები, ასევე, მასწავლებლები. ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტში დაფიქსირებული შეფასება შეიცვალა. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

<u>ინდიკატორი N1.2.1.1: სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს</u>
ამასთან, მეთოდოლოგიური დოკუმენტი განსაზღვრავს, რომ სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავებას უზრუნველყოფს წარმომადგენლობითი სამუშაო ჯგუფი. ასევე, განსაზღვრულია წესები, რომლის შესაბამისადაც უნდა წარიმართოს პროცედურები. თუმცა, შესაბამისი დოკუმენტაცია, რომელიც დაადასტურებდა სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავების პროცესში სასკოლო საზოგადოების ჩართულობას არ იქნა წარმოდგენილი, რის გამოც დადგინდა ხარვეზი. დასკვნის პროექტის მიღების შემდეგ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის შესახებ

კორესპოდენციის და მასზე თანდარტული დოკუმენტაციის (რომელიც მოიცავს ინფორმაციას პროცესში სასკოლო საზოგადოების წევრების ჩართულობის შესახებ) განხილვის შემდეგ, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაფიქსირებული შეფასება შეიცვალა. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

<u>ინდიკატორი N1.2.1.2.: სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს</u>

სტრატეგიული განვითარების გეგმა მოიცავდა 2023-2030 წლებს, თუმცა, დამტკიცებული იყო 2025 წლის 29 დეკემბერს. ამასთან, დაცული არ იყო მისი დამტკიცებისათვის კანონმდებლობით განსაზღვრული პროცედურა. კერძოდ: გეგმა დამტკიცებული იყო სკოლის დირექტორის ბრძანებით, თუმცა, აღნიშნული წარმოადგენს სკოლის სამეურვეო საბჭოს უფლებამოსილებას, ხოლო სკოლის დირექტორის უფლებამოსილება შემოიფარგლება სამეურვეო საბჭოსათვის სტრატეგიული განვითარების გეგმის წარდგენით (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 31 აგვისტოს №785 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სკოლის დირექტორსა და სამეურვეო საბჭოს შორის დადებული შრომითი ხელშეკრულების პირობები“, მუხლი 6, პ. 1, „ა“ ქვეპუნქტი). დასკვნის პროექტში აისახა შესაბამისი ხარვეზი. დაწესებულებამ დასკვნის პროექტის გაცნობის შემდეგ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია თანდართული მტკიცებულებებით. დოკუმენტაციიდან დგინდება, რომ დაწესებულებამ დამატებით განიხილა საკითხი და სკოლის სამეურვეო საბჭომ დაამტკიცა განალხებული სტრატეგიული განვითარების გეგმა. ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებული შეფასება შეიცვალა. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

<u>ინდიკატორი N3.1.2.3: პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით</u>

ვიზიტის ფარგლებში დაწესებულების პერსონალის პირადი საქმეების გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ წარმოდგენილი არ იყო კანონმდებლობით გათვალისწინებული სავალდებულო ცნობები: „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ“ და „უფლების ჩამორთმევის შესახებ“. შესაბამისად, დაფიქსირდა სტანდარტთან შეუსაბამობა. არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად დაწესებულებამ წარმოადგინდა შესაბამისი ცნობები, რის საფუძველზეც შეიცვალა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტში დაფიქსირებული შეფასება. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

<u>ინდიკატორი N3.4.1.1: სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა</u>

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტში აისახა, რომ:

- *სკოლას საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალ სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან შეთანხმებული არ აქვს საგანგებო მართვის გეგმა.*
- *სკოლის მეორე შენობა-ნაგებობა არ არის აღჭურვილი ვიდეო-სამეთვალყურეო სისტემით.*
- *სკოლას არ აქვს დასკვნები შენობა-ნაგებობების ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ.*

დაწესებულებამ წარმოადგინა წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლითაც დგინდება, რომ 2027 წლის 15 მაისის ჩათვლით უზრუნველყოფილი იქნება:

- *საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალ სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებასთან – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან საგანგებო მართვის გეგმის შეთანხმება;*
- *სკოლის მეორე შენობა-ნაგებობის (სოფელი მეორე ნოსირი) ვიდეო-სამეთვალყურეო სისტემით აღჭურვა;*
- *შენობა-ნაგებობების ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნების მოპოვება. ექსპერტთა ჯგუფმა შეცვალა დაფიქსირებული შეფასება. ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებულია.*

<u>ინდიკატორი N3.4.1.2: სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას</u>
დასკვნის პროექტში აისახა, რომ სკოლის მეორე შენობაში (სოფელი მეორე ნოსირი) სამედიცინო კაბინეტში არ იყო მოქმედი, გამართულად ფუნქციონირებადი ხელსაბანი. შესაბამისად, დაცული არ იყო საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებლი ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 21 მარტის ერთობლივი N41/ნ/01-23/ნ ბრძანებით გათვალისწინებული მოთხოვნები. დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, რომელსაც ახლავს მტკიცებულებები (ფოტო მასალა), რაც ადასტურებს ხარვეზის აღმოფხვრას. შესაბამისად, შეიცვალა ექსპეტრთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებული შეფასება. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

<u>ინდიკატორი N3.5.1.4: სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს</u>
დასკვნის პროექტში დაფიქსირდა, რომ სკოლის მეორე შენობა-ნაგებობის შემთხვევაში (რომელიც განთავსებულია სოფელ მეორე ნოსირში), შენობაში შესასვლელ კიბეზე მოწყობილია პანდუსი (საჭიროებს სამუშაოების დასრულებას), თუმცა, შენობაში არ არის ადაპტირებული სველი წერტილი სპეციალური საჭიროების მქონე პირებისათვის, რის გამოც დადგინდა ხარვეზი.
დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლითაც დგინდება, რომ 2026 წლის 30 მაისის ჩათვლით უზრუნველყოფს სტანდარტთან შესაბამისობას. აღნიშნულის გათვალისწინებით შეიცვალა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებული შეფასება. ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებულია.

<u>ინდიკატორი N2.2.2.3: კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით</u>

სკოლის რესურსების ვიზუალური დათვალიერების, ასევე პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლას არ აქვს საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის სრულყოფილი ინვენტარი და აღჭურვილობა, რაც საჭიროა სასწავლო მიზნების მისაღწევად. პედაგოგები კურიკულუმის დაგეგმვისას ითვალისწინებენ იმ რესურსებს, რაც ადგილზე აქვთ, ასევე, მოსწავლეებთან ერთად თავად ამზადებენ რესურსებს იმ მასალებით, რაც ხელმისაწვდომია მათთვის. სკოლა უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას დაწყებით საფეხურზე, ხოლო საბაზო და საშუალო საფეხურის სასწავლო მიზნების მისაღწევად, აუცილებელია, სკოლა უზრუნველყოფილი იყოს სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორიით.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტში დაფიქსირდა ხარვეზი.

დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა შესაბამისი მტკიცებულებებით, რომლითაც დგინდება, რომ 2027 წლის 15 მაისის ჩათვლით უზრუნველყოფილი იქნება საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიის აუცილებელი ინვენტარით, რესურსებით და საშუალებებით აღჭურვა.

აღნიშნულის გათვალისწინებით, შეიცვალა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტში დაფიქსირებული შეფასება. ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებულია.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია
1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები
1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს**

სსიპ - სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ნოსირის საჯარო სკოლის მისიაა, უზრუნველყოს ხარისხიანი განათლება, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეთა პიროვნულ და აკადემიურ განვითარებას თანამედროვე საგანმანათლებლო სტანდარტების შესაბამისად, შექმნას მხარდამჭერი, უსაფრთხო და ინკლუზიური სასწავლო გარემო სასკოლო საზოგადოებასთან და ადგილობრივ თემთან მჭიდრო თანამშრომლობით.
სკოლის მისია ორიენტირებულია ხარისხზე, მოსწავლეთა პიროვნულ და აკადემიურ განვითარებაზე, ასევე უსაფრთხო და ინკლუზიური გარემოს შექმნაზე, რაც ეხმიანება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს, მოსწავლის ჰოლისტური განვითარების, თანასწორობასა და უსაფრთხო სასწავლო სივრცის უზრუნველყოფის თვალსაზრისით.
სკოლის ხედვაა (20230) იყოს მშვიდი, კომფორტული და სტაბილური სასწავლო გარემო, სადაც თითოეული მოსწავლე შეძლებს მიაღწიოს საკუთარ პოტენციალს, მოამზადებს ღირსეულ და პატრიოტ მოქალაქეებს, იყოს განვითარებაზე ორიენტირებული დაწესებულება, რომელიც პატივს სცემს ტრადიციებს, თუმცა არ დაკარგავს ცვლილებებისა და ინოვაციების სურვილს და მჭიდროდ იქნება დაკავშირებული თემთან და ოჯახთან.
შესაბამისად, სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების დოკუმენტს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს**

სკოლის მისია გამოხატავს სკოლას, როგორც სივრცეს, რომელშიც უზრუნველყოფილია როგორც ფიზიკური, ისე ემოციური და სოციალური უსაფრთხოება. ამასთან, მისია ორიენტირებულია მოსწავლეთა პიროვნულ და აკადემიურ განვითარებაზე, რაც სრულად შეესაბამება სოციო-კულტურული სივრცის კონცეფციას.

ხედვაში გამოკვეთილია სკოლის მიზანი, ჩამოაყალიბოს ღირსეული და პატრიოტი მოქალაქეები, უზრუნველყოს თითოეული მოსწავლის პოტენციალის რეალიზება და შეინარჩუნოს მჭიდრო კავშირი თემთან და ოჯახთან, რაც ხაზს უსვამს სკოლის სოციალურ და კულტურულ ფუნქციას. აღნიშნული ასპექტები ადასტურებს, რომ სკოლა საკუთარ თავს აღიქვამს არა მხოლოდ საგანმანათლებლო, არამედ სოციალური და კულტურული განვითარების სივრცედ.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით**

სკოლას შემუშავებული აქვს მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავების მეთოდოლოგია (დამტკიცებულია სსიპ - სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ნოსირის საჯარო სკოლის დირექტორის 2025 წლის №2-75 ბრძანებით), რომელიც ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების აქტიურ ჩართულობას პროცესში. მეთოდოლოგიური დოკუმენტის მიხედვით, სტრატეგიული დაგეგმვა წარმოადგენს თანამონაწილეობით პროცესს და ხორციელდება სამუშაო ჯგუფის ფორმატში, რომელშიც წარმოდგენილია როგორც ადმინისტრაცია, ასევე მასწავლებლები, მოსწავლეები და მშობლები. დადგენილი წესის მიხედვით, მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავება უნდა მიმდინარეობდეს ეტაპობრივად: სამუშაო ჯგუფი ამზადებს პროექტს, შემდეგ ხდება მისი გაზიარება უფრო ფართო სასკოლო საზოგადოებასთან, მიიღება უკუკავშირი და საბოლოო ვერსია ყალიბდება მიღებული რეკომენდაციების გათვალისწინებით.
მეთოდოლოგიური დოკუმენტი განსაზღვრავს, რომ მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავების პროცესზე პასუხისმგებელია წარმომადგენლობითი სამუშაო ჯგუფი, ასევე, განსაზღვრულია წესები, რომლის შესაბამისადაც უნდა წარიმართოს პროცედურები. ვიზიტის დროს დაწესებულების წარმომადგენლებმა აღწერეს სკოლის მისიისა და ხედვის ჩამოყალიბების პროცესი, თუმცა, **შესაბამისი მტკიცებულებები, რომელიც დაადასტურებდა სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავების პროცესში სასკოლო საზოგადოების ჩართულობას, არ ყოფილა წარმოდგენილი, რის გამოც დადგინდა ხარვეზი.**
დასკვნის პროექტის გაცნობის შემდეგ დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია. კორესპოდენციაზე თანდართულია სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმი, რომლითაც დგინდება, რომ სასკოლო საზოგადოების წევრების ჩართულობით (მასწავლებლები, მოსწავლეთა თვითმმართველობის თავმჯდომარე, მშობელი) განხორციელდა გამოკითხვა, ჩატარდა სამუშაო შეხვედრები და ჩამოყალიბებული მისიისა და ხედვის განაცხადი, ორგანიზაციული ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით. ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტში დაფიქსირებული შეფასება შეიცვალა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

სკოლას განსაზღვრული აქვს მისიის, ხედვისა და ღირებულებების გაზიარების მექანიზმები, რომელიც უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების ინფორმირებასა და ჩართულობას. დაწესებულების სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის მიხედვით, დოკუმენტების პროექტები ეგზავნება სასკოლო საზოგადოების წევრებს. გაზიარების პროცესში გამოყენებული უნდა იქნეს მრავალფეროვანი არხები, მათ შორის: ელექტრონული ფოსტა, ვებ-გვერდი, სოციალური ქსელები და საჯარო განხილვები, რაც უზრუნველყოფს ინფორმაციის ხელმისაწვდომობას და ჩართულობის შესაძლებლობას ყველა დაინტერესებული მხარისთვის, მათგან უკუკავშირის მიღებას და გაზიარების პროცესის ეფექტიანობას.
ამასთან, როგორც ზემოთ აღინიშნა, ვიზიტის ფარგლებში მტკიცებულებებით ვერ დადასტურდა სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავების/რევიზიის პროცესში სასკოლო საზოგადოების ჩართულობა უკუკავშირის მიღების მიზნით, შესაბამისად, დადგინდა ხარვეზი. დასკვნის პროექტის პასუხად წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას ახლავს დამატებითი მტკიცებულებები, რომლითაც დასტურდება, რომ სკოლაში შექმნილმა სამუშაო ჯგუფმა დამატებით განიხილა საკითხი. სამუშაო ჯგუფის შემადგენლობაში სკოლის მეთოდოლოგიური დოკუმენტის შესაბამისად ჩართულები იყვნენ მოსწავლეების და მშობლების წარმომადგენლები, ასევე, მასწავლებლები. დამატებით, წარმოდგენილია სასკოლო საზოგადოების წევრების გამოკითხვის ფორმები და კლასის დამრიგებლის ანგარიში. ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტში დაფიქსირებული შეფასება შეიცვალა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

დაწესებულების მისია, ხედვა და ღირებულებები განთავსებულია სკოლაში, თვალსაჩინო ადგილზე. ასევე, ვებგვერდზე skolebi.emis.ge, შესაბამისად, საჯაროდაა ხელმისაწვდომი და ყველა დაინტერესებულ პირს აქვს მისი გაცნობის შესაძლებლობა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

6. **სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს**

სკოლის სახელწოდება შეესაბამება „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ ტერმინს (ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება/სკოლა) და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის N448 ბრძანებას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ - სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ნოსირის საჯარო სკოლის მისიის,ხედვის, ღირებულებების და სტრატატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია (დამტკიცებულია სკოლის დირექტორის 2025 წლის 29 დეკემბრის №2-75 ბრძანებით);
- სკოლის დირექტორის 2026 წლის 7 აპრილის №2-74 ბრძანება სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ;
- სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმი;
- პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი;
- სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი (08.04.2026);
- კლასის დამრიგებლის მოხსენებითი ბარათი;
- მშობელთა კრების სხდომის ოქმი;
- სასკოლო საზოგადოების გამოკითხვის ფორმები.

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება
1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს**

სკოლის დირექტორის 2025 წლის 29 დეკემბრის №2-75 ბრძანებით დამტკიცებულია მეთოდოლოგიური დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავების პროცესის ეტაპებს, ჩართულ მხარეებსა და გადაწყვეტილებების მიღების მექანიზმებს. დოკუმენტი მკაფიოდ ასახავს, რომ სტრატეგიული დაგეგმვა ეფუძნება თანამონაწილეობით მიდგომას და სასკოლო საზოგადოების ჩართულობას. სასკოლო საზოგადოების (ადმინისტრაცია, მასწავლებლები, მოსწავლეები, მშობლები) ჩართვის აუცილებლობა განსაზღვრულია როგორც ინფორმაციის შეგროვების, ისე ანალიზისა და გადაწყვეტილებების მიღების ეტაპებზე. ინფორმაციის მოპოვება ხორციელდება სხვადასხვა მეთოდით (გამოკითხვები, ინტერვიუები და სხვა), რაც უზრუნველყოფს სხვადასხვა დაინტერესებული მხარის მოსაზრებების გათვალისწინებას.
დოკუმენტი ასევე ითვალისწინებს პროექტების გაზიარებას სასკოლო საზოგადოებისათვის, უკუკავშირის მიღებასა და მისი გათვალისწინებით საბოლოო გადაწყვეტილებების ფორმირებას, რაც უზრუნველყოფს, რომ სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები ეფუძნებოდეს რეალურ საჭიროებებსა და პრიორიტეტებს. შესაბამისად, წარმოდგენილი მეთოდოლოგია, მისი პრაქტიკაში გამოყენების შემთხვევაში, უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების ინტერესებისა და პრიორიტეტების სისტემურ და სტრუქტურირებულ ინტეგრირებას დაგეგმვის პროცესში.

ამასთან, მეთოდოლოგიური დოკუმენტი განსაზღვრავს, რომ სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავებას უზრუნველყოფს წარმომადგენლობითი სამუშაო ჯგუფი. ასევე, განსაზღვრულია წესები, რომლის შესაბამისადაც უნდა წარიმართოს პროცედურები. თუმცა, შესაბამისი დოკუმენტაცია, რომელიც დაადასტურებდა სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავების პროცესში სასკოლო საზოგადოების ჩართულობას არ იქნა წარმოდგენილი, რის გამოც დადგინდა ხარვეზი. დასკვნის პროექტის მიღების შემდეგ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის შესახებ კორესპოდენციის და მასზე თანდარტული დოკუმენტაციის (რომელიც მოიცავს ინფორმაციას პროცესში სასკოლო საზოგადოების წევრების ჩართულობის შესახებ, მათ შორის, გამოკითხვის ფორმები) განხილვის შემდეგ, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაფიქსირებული შეფასება შეიცვალა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. **სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს**

სკოლას შემუშავებული აქვს 2023–2030 წლების შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა, რომელიც გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და ეფუძნება სკოლის ხედვასა და ღირებულებებს. გეგმა ატარებს ციკლურ ხასიათს - მასში განსაზღვრულია

პერიოდული გადახედვისა და მოდიფიცირების აუცილებლობა, ასევე დაინტერესებული მხარეების ჩართულობა მის განახლებაში, რაც შეესაბამება სტრატეგიული დაგეგმვის უწყვეტობის პრინციპს.
სტრატეგიულ დოკუმენტში მკაფიოდ არის წარმოდგენილი სტრატეგიული მიმართულებები, მიზნები და შესაბამისი ამოცანები (მაგ.: სასწავლო პროცესის ხარისხის განვითარება, ადამიანური რესურსის განვითარება, სასკოლო საზოგადოების ჩართულობა და სხვ.), რომლებიც ლოგიკურად უკავშირდება სკოლის მისიით განსაზღვრულ პრიორიტეტებს და უზრუნველყოფს მათი რეალიზაციის გზებს.
სტრატეგიული განვითარების გეგმა მოიცავდა 2023-2030 წლებს, თუმცა, დამტკიცებული იყო 2025 წლის 29 დეკემბერს. ამასთან, დაცული არ იყო მისი დამტკიცებისათვის კანონმდებლობით განსაზღვრული პროცედურა. კერძოდ: გეგმა დამტკიცებული იყო სკოლის დირექტორის ბრძანებით, თუმცა, აღნიშნული წარმოადგენს სკოლის სამეურვეო საბჭოს უფლებამოსილებას, ხოლო სკოლის დირექტორის უფლებამოსილება შემოიფარგლება სამეურვეო საბჭოსათვის სტრატეგიული განვითარების გეგმის წარდგენით (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 31 აგვისტოს №785 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სკოლის დირექტორსა და სამეურვეო საბჭოს შორის დადებული შრომითი ხელშეკრულების პირობები“, მუხლი 6, პ. 1, „ა“ ქვეპუნქტი).
დასკვნის პროექტში აისახა შესაბამისი ხარვეზი. დაწესებულებამ დასკვნის პროექტის გაცნობის შემდეგ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია თანდართული მტკიცებულებებით. დოკუმენტაციიდან დგინდება, რომ დაწესებულებამ დამატებით განიხილა საკითხი და სკოლის სამეურვეო საბჭომ დაამტკიცა განალხებული სტრატეგიული განვითარების გეგმა. ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებული შეფასება შეიცვალა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. **სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას**

სკოლის სამოქმედო გეგმა ერთწლიანია, გამომდინარეობს გრძელვადიანი სტრატეგიული განვითარების გეგმიდან, სკოლის მისიიდან და სტრატეგიული მიზნებიდან, რაც უზრუნველყოფს მის შინაარსობრივ კავშირს სტრატეგიულ დოკუმენტთან. ასევე, გეგმაში წარმოდგენილი აქტივობები, ამოცანები და შესრულების ინდიკატორები ებმის სტრატეგიული მიზნების შესაბამის მიმართულებებს. სამოქმედო გეგმა სტრუქტურირებულად ასახავს აქტივობებს, პასუხისმგებელ პირებს, ვადებს, რესურსებსა და შეფასების ინდიკატორებს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. **სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია**

სკოლის სამოქმედო გეგმა მოიცავს ინდიკატორით მოთხოვნილ ყველა კომპონენტს. დოკუმენტში თითოეული სტრატეგიული მიზანი გაშლილია შესაბამის ამოცანებად და მათთან დაკავშირებულ კონკრეტულ აქტივობებად, რაც უზრუნველყოფს სტრატეგიული გეგმის განხორციელებას. აქტივობებთან ერთად განსაზღვრულია შესრულების ინდიკატორები (მაგ., კათედრის ოქმებში ასახული შედეგები, დოკუმენტაციის არსებობა, ანგარიშები და სხვა), რაც იძლევა პროგრესის შეფასებისა და შედეგების მონიტორინგის შესაძლებლობას.
გეგმა ასევე მოიცავს მკაფიოდ გაწერილ შესრულების ვადებს წლიური კალენდარული განაწილებით (თვეების მიხედვით). თითოეული აქტივობისათვის განსაზღვრულია პასუხისმგებელი პირები და სტრუქტურული ერთეულები (დირექტორი, დირექტორის მოადგილე, კათედრის ხელმძღვანელები და სხვ.), რაც უზრუნველყოფს პასუხისმგებლობების მკაფიო განაწილებას.
დოკუმენტი ასევე ასახავს საჭირო რესურსებს (ადამიანური რესურსი, ტექნიკური საშუალებები, ფინანსური და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა), რომლებიც შეესაბამება სკოლის არსებულ შესაძლებლობებს და მათი უზრუნველყოფა რეალისტურია.

ექსპერტთა ჯგუფის რჩევაა:

- შესწორდეს სამოქმედო გეგმაში არსებული ტექნიკური უზუსტობა (შეივსოს აუცილებელი რესურსების ცხრილი);
- ინდიკატორების განსაზღვრისას დაწესებულებამ აქცენტი გააკეთოს სასურველ, მისაღწევ შედეგებზე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ - სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ნოსირის საჯარო სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია (დამტკიცებულია სკოლის დირექტორის 2025 წლის 29 დეკემბრის №2-75 ბრძანებით);

- სსიპ - სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ნოსირის საჯარო სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმა (2023-2030), დამტკიცებულია სკოლის დირექტორის 2025 წლის 29 დეკემბერი N2-76 ბრძანებით;
- სსიპ - სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ნოსირის საჯარო სკოლის სამოქმედო გეგმა (2023-2030), დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოს სხდომაზე ოქმი N4, 08.09.2025 წ.
- სსიპ - სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ნოსირის საჯარო სკოლის დირექტორის 2026 წლის 7 აპრილის №2-74 ბრძანება სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ.

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს**

სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს, რაც უზრუნველყოფს დაგეგმილი აქტივობების შესრულების კონტროლსა და შედეგების ანალიზს. მეთოდოლოგიაში განსაზღვრულია, რომ სტრატეგიული გეგმის განხორციელება ეფუძნება მონაცემების შეგროვებას, ანალიზსა და პერიოდულ გადახედვას, რაც ქმნის მონიტორინგის სისტემურ საფუძველს. შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმის შესრულების ანგარიში ხორციელდება ყოველ 3 (სამ) წელიწადში და 7 (შვიდი) წლის გასვლის შემდეგ, შესაბამისად, სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული პასუხისმგებელი პირები წარმოადგენენ წერილობით ანგარიშს. ერთწლიანი სასწავლო გეგმის მონიტორინგი ხორციელდება სასწავლო წლის მიმდინარეობისას მუდმივად და თითოეული სემესტრის ბოლოს.
შესაბამისად, სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს როგორც მონიტორინგის, ისე შეფასების მექანიზმებს, რაც უზრუნველყოფს დაგეგმვის პროცესის ეფექტიანობასა და უწყვეტ გაუმჯობესებას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. **მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით**

სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია განსაზღვრავს მონაცემების შეგროვების, ანალიზისა და შედეგებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღების პროცესს, რაც ქმნის სისტემურ საფუძველს შეფასებისთვის.

სტრატეგიულ გეგმაში პირდაპირ არის მითითებული, რომ მისი განხორციელება ეფუძნება შიდა და გარე ფაქტორების ანალიზს და მოითხოვს პერიოდულ გადახედვას დაინტერესებული მხარეების ჩართულობით, რაც მიუთითებს შეფასების ციკლურ და მონაწილეობით ხასიათზე.
სამოქმედო გეგმაში დეტალურადაა გაწერილი მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები: შესრულების ინდიკატორები, ანგარიშგების ფორმები (ოქმები, ანგარიშები, დასკვნები) და კონკრეტული აქტივობები, რომლებიც მოიცავს შედეგების ანალიზსა და მათ გამოყენებას მომავალი დაგეგმვისთვის.
დოკუმენტებში ასევე იკვეთება სასკოლო საზოგადოების ჩართულობა, როგორც სტრატეგიული გეგმის გადახედვის პროცესში, ასევე - კონკრეტულ აქტივობებში (მშობლებთან ფოკუს ჯგუფები, შეხვედრები), რაც უზრუნველყოფს უკუკავშირის მიღებას და მისი გათვალისწინებას გადაწყვეტილებების მიღებისას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა**

სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეათოდოლოგია განსაზღვრავს წლიური სამოქმედო გეგმის და სტრატეგიული გეგმის შესრულების ანგარიშის სასკოლო საზოგადოებისათვის გაზიარების სავალდებულობას მრავალფეროვანი საკომუნიკაციო არხებით: სკოლის ვებ-გვერდი და ელექტრონული ფოსტა/სოციალური ქსელი/საჯარო ღონისძიებები ან/და ბეჭდვითი მასალები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის**

სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგების გამოყენებას შემდგომი განვითარების დაგეგმვისთვის. დოკუმენტში განსაზღვრულია, რომ შეგროვებული ინფორმაცია და განხორციელებული ანალიზი გამოიყენება მომდევნო სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების ფორმირებაში, რაც უზრუნველყოფს განვითარების ციკლურობასა და უწყვეტ გაუმჯობესებას. მეთოდოლოგიაში ასევე გაწერილია, რომ მონიტორინგის პროცესში მიღებული შედეგების საფუძველზე შესაძლებელია სტრატეგიული მიზნების გადახედვა და სამოქმედო გეგმაში ცვლილებების შეტანა, რაც მიუთითებს შედეგებზე დაფუძნებულ მართვაზე.

სამოქმედო გეგმაც მოიცავს კონკრეტულ მექანიზმებს, რომლებიც უზრუნველყოფს შედეგების გამოყენებას. მაგალითად, შეფასების ვერიფიკაციისა და მონიტორინგის შედეგების ასახვა მომდევნო წლის გეგმაში, ასევე პრობლემების იდენტიფიცირება, პრიორიტეტების განსაზღვრა და შესაბამისი აქტივობების დაგეგმვა.
სტრატეგიულ გეგმაში განსაზღვრულია მისი პერიოდული გადახედვის აუცილებლობა, რაც ასევე ეფუძნება მიღებულ შედეგებსა და გარემო ფაქტორების ანალიზს, რაც უზრუნველყოფს განვითარების პროცესის ადაპტირებას რეალურ საჭიროებებთან.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ - სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ნოსირის საჯარო სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია (დამტკიცებულია სკოლის დირექტორის 2025 წლის 29 დეკემბრის №2-75 ბრძანებით);
- სსიპ - სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ნოსირის საჯარო სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმა (2023-2030), დამტკიცებულია სკოლის დირექტორის 2025 წლის 29 დეკემბერი N2-76 ბრძანებით;
- სსიპ - სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ნოსირის საჯარო სკოლის სამოქმედო გეგმა (2023-2030), დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოს სხდომაზე ოქმი N4. 08.09.2025 წ.

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული**

ორგანიზაციის სტრუქტურა დამტკიცებულია 2025 წლის 15 სექტემბრის №2-55 ბრძანებით. სკოლაში განსაზღვრულია სტრუქტურულ ერთეულები, თანამდებობრივ პოზიციები და მათი ფუნქცია-მოვალეობები. სკოლის სტრუქტურა მოიცავს როგორც სტრუქტურულ ერთეულებს (დირექცია, პედაგოგიური საბჭო, სამეურვეო საბჭო, კათედრები და სხვ.), ასევე კოლეგიურ ორგანოებსა და პოზიციებს.
სტრუქტურული ერთეულების კომპეტენციები და საქმიანობის წესები რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, შიდაორგანიზაციულ დონეზე შემუშავებული შესასრულებლად სავალდებულო დოკუმენტებით და თანამშრომლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებით.

სკოლაში შემუშავებულია მეთოდოლოგიური დოკუმენტები/წესები, რომლებიც გამოიყენება სხვადასხვა პროცესის წარმართვისას. ასეთი დოკუმენტები, ფაქტობრივად, აზუსტებენ თანამშრომლების მიერ შესასრულებელ სამუშაოებს/ფუნქციებს. აღსანიშნავია, რომ სკოლის რეგულაციებში არის ტექნიკური უზუსტობები (მაგალითად, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური განსაზღვრულია ხარისხის პროცესზე პასუხისმგებელ სტრუქტურულ ერთეულად, თუმცა, ასეთ სამსახურს ორგანიზაციის სტრუქტურა არ ითვალისწინებს). **ექსპერტთა ჯგუფის რჩევაა: დაწესებულებამ გადახედოს მეთოდოლოგიურ დოკუმენტებს და დააზუსტოს სხვადასხვა პროცესში ჩართული პირების/სტრუქტურული ერთეულის ფუნქციები, სკოლის მოქმედი სტრუქტურის შესაბამისად.**

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას**

სკოლის ორგანიზაციული სტრუქტურა და ადამიანური რესურსების მართვის სისტემა უზრუნველყოფს ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების მკაფიო და ლოგიკურ გადანაწილებას სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულსა და პირს შორის, რაც ქმნის საგანმანათლებლო პროცესის ეფექტიანი განხორციელების საფუძველს. სკოლის სტრუქტურით განსაზღვრული ერთეულები (დირექცია, პედაგოგიური საბჭო, კათედრები, ხარისხის განვითარების ჯგუფი და სხვ.) ფუნქციურად

ურთიერთდაკავშირებულნი არიან და თითოეული მათგანი ასრულებს კონკრეტულ როლს სასწავლო პროცესის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების ეტაპებზე.
ფუნქციების განაწილება ასახულია როგორც სტრუქტურულ დონეზე, ასევე ინდივიდუალური პასუხისმგებლობების დონეზე - სამუშაო აღწერილობებისა და საკვალიფიკაციო მოთხოვნების მეშვეობით.
პერსონალის მართვის მექანიზმები განმარტავს, რომ თანამშრომელთა საქმიანობა ინტეგრირებულია საერთო მიზნებთან და მათი ჩართულობა უზრუნველყოფს სკოლის მისიის განხორციელებას. შეფასების, განვითარების და თანამშრომლობის პროცესები ხელს უწყობს კოორდინირებულ მუშაობას და რესურსების ეფექტიან გამოყენებას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ - სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ნოსირის საჯარო სკოლის ადამიანური რესურსების მართვის მექანიზმები;
- სსიპ - სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ნოსირის საჯარო სკოლის პერსონალის მართვის მექანიზმები;
- სკოლის თანამშრომლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები.

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად**

სკოლაში პერსონალის მართვის პროცესები რეგულირდება „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით და შიდასასკოლო რეგულაციებით. სკოლას შემუშავებული აქვს „შინაგანაწესი“, „ადამიანური რესურსების მართვის მექანიზმები“, ასევე, „პერსონალის მართვის მექანიზმები“, რომელთა მეშვეობით განსაზღვრულია პერსონალის მართვის ძირითადი პრინციპები და პროცედურები. განსაზღვრულია სკოლის პერსონალის შერჩევის და დანიშვნის პროცესი, ახალი თანამშრომლების ინტეგრაციის მექანიზმები, პერსონალის მიერ შესრულებული სამუშაოს მართვა, პროფესიული განვითარების ხელშეწყობის და პერსონალის მართვასთან დაკავშრებული სხვა ძირითადი საკითხები. სკოლის თანამშრომლებთან გაფორმებულია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი ინდივიდუალური შრომითი ხელშეკრულებები.

ექსპერტთა ჯგუფის რჩევა:
სასურველია, დაწესებულებამ გადახედოს პერსონალის მართვასთან დაკავშირებულ დოკუმენტაციას და მოახდინოს მათი ოპტიმიზაცია და ერთ დოკუმენტად ორგანიზება („ადამიანური რესურსების მართვის მექანიზმები“ და „პერსონალის მართვის მექანიზმები“).

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა**

სკოლაში მოქმედი ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ეფუძნება პერსონალის საჭიროებების იდენტიფიცირებასა და მათზე რეაგირების მიდგომას, რაც მოიცავს როგორც პრევენციულ, ისე ინტერვენციულ მექანიზმებს. დოკუმენტში აღწერილი ადამიანური რესურსების მართვის ციკლი (დაგეგმვა, შერჩევა, სამუშაოს მართვა, ორგანიზაციიდან გასვლა) უზრუნველყოფს პერსონალის მართვის პროცესის განხორციელებას.
პრევენციული კომპონენტი იკვეთება პერსონალის შერჩევის, სამუშაო აღწერილობების, საკვალიფიკაციო მოთხოვნებისა და ადაპტაციის მექანიზმებში, რაც უზრუნველყოფს შესაბამისი კადრების მოზიდვას და რისკების მინიმიზაციას პროცესის საწყის ეტაპზე. ინტერვენციული მექანიზმები გამოხატულია პერსონალის შეფასების, პროფესიული განვითარების, წახალისებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის სისტემებში. შეფასების შედეგად ხდება ძლიერი და სუსტი მხარეების იდენტიფიცირება და შესაბამისი განვითარების აქტივობების დაგეგმვა (ტრენინგები, ქოუჩინგი, პროფესიული განვითარების გეგმები), რაც უზრუნველყოფს გამოვლენილ საჭიროებებზე რეაგირებას. სკოლის პერსონალის რაოდენობისა და სკოლის პრაქტიკის გათვალისწინებით, უზრუნველყოფილია დროებით არმყოფი თანამშრომლის მოვალეობების შესრულება და პროცესების უწყვეტობა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. **პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით**

სკოლაში განსაზღვრულია პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები, შემუშავებულია საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რაც უზრუნველყოფს კადრების მოზიდვასა და დასაქმებას წინასწარ განსაზღვრული, ობიექტური და გამჭვირვალე კრიტერიუმების საფუძველზე. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ ნებისმიერი პოზიციის დაკავება ხდება კონკურსის საფუძველზე, რომლის მიზანია საუკეთესო კანდიდატის შერჩევა წინასწარ განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად. პერსონალის მოზიდვის მექანიზმები (ვაკანსიების საჯარო გამოცხადება, სხვადასხვა პლატფორმების გამოყენება,

კვალიფიციური კადრების მიზნობრივი მოძიება) ზრდის კონკურსში მონაწილე პოტენციური კანდიდატების მოძიების ალბათობას.
სკოლაში განსაზღვრულია თანამშრომელთა პირადი საქმის წარმოების წესი და დაწესებულება აწარმოებს დასაქმებულ თანამშრომელთა პირად საქმეებს.
ვიზიტის ფარგლებში დაწესებულების პერსონალის პირადი საქმეების გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ წარმოდგენილი არ იყო კანონმდებლობით გათვალისწინებული სავალდებულო ცნობები: „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ“ და „უფლების ჩამორთმევის შესახებ“. შესაბამისად, დაფიქსირდა სტანდარტთან შეუსაბამობა. არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად დაწესებულებამ წარმოადგინდა შესაბამისი ცნობები, რის საფუძველზეც შეიცვალა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტში დაფიქსირებული შეფასება.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. **პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს**

სკოლას ზოგადი განათლების სფეროში მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნების გათვალისწინებით, შემუშავებული აქვს სკოლის პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები. მასწავლებლის საკვალიფიკაციო მოთხოვნები განსაზღვრულია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს N174/ნ ბრძანებით დამტკიცებული „მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის“ შესაბამისად. სამედიცინო პერსონალისათვის გათვალისწინებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 21 მარტის ერთობლივი N41/ნ/01-23/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების/სკოლების სამედიცინო პერსონალის საქმიანობის სტანდარტისა და საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში/სკოლებში სამედიცინო მომსახურების სივრცის (კაბინეტი/პუნქტი) ფუნქციონირების წესით“ განსაზღვრული საკვალიფიკაციო მოთხოვნები. სხვა შემთხვევებში - საკითხი დარეგულირებულია შიდასასკოლო დონეზე, სკოლის საჭიროებების გათვალისწინებით. სკოლის პერსონალის პირად საქმეში განთავსებულია საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისი დოკუმენტაცია.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5. **პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს**

სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს. დოკუმენტში ერთ-ერთ ძირითად პრინციპად განსაზღვრულია გუნდურობა, რომელიც გულისხმობს თანამშრომლობითი კულტურის განვითარებას, საერთო მიზნებზე ორიენტაციას და ეფექტიანი სამუშაო პროცესის უზრუნველყოფას. ასევე, ადამიანური რესურსების მართვის მეთოდოლოგიურ დოკუმენტებში ხაზგასმულია მონაწილეობის პრინციპი, რაც გულისხმობს პერსონალის ჩართულობას შეფასების პროცესებში და ორგანიზაციული გადაწყვეტილებების მიღებაში, რაც ქმნის თანამშრომელთა აქტიური მონაწილეობის საფუძველს.
სკოლის პერსონალის მართვის მექანიზმები მიუთითებს, რომ სკოლაში გადაწყვეტილებები მიიღება კოლეგიურად და მაღალი ჩართულობით და თანამშრომლებს აქვთ შესაძლებლობა, მონაწილეობა მიიღონ მნიშვნელოვანი საკითხების განხილვაში, რაც აძლიერებს გუნდურ მუშაობას და პასუხისმგებლობის გაზიარებას. შიდა კომუნიკაციის განვითარებაზე ორიენტირებული მიდგომები (ინფორმაციის გაზიარება, თანამშრომლებს შორის კოორდინაცია, ორმხრივი კომუნიკაცია) ხელს უწყობს ორგანიზაციული კულტურის ჩამოყალიბებას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

6. **სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი**

სკოლაში მოქმედი პერსონალის მართვის მექანიზმები მოიცავს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების ელემენტებს, რომლებიც ინტეგრირებულია როგორც შეფასების, ისე პროფესიული განვითარების პროცესებში. დოკუმენტში განსაზღვრულია, რომ პერსონალის შეფასება მიზნად ისახავს მათი პროფესიული განვითარების ხელშეწყობას, ძლიერი მხარეების იდენტიფიცირებას და მათი შემდგომი გამოყენების მხარდაჭერას. პროფესიული განვითარების მექანიზმები (ტრენინგები, საუკეთესო პრაქტიკების გაზიარება, პროექტებში ჩართულობა, ქოუჩინგი) უზრუნველყოფს გამოცდილების გაცვლას და წარმატებული პრაქტიკის გავრცელებას თანამშრომლებს შორის, რაც ხელს უწყობს ორგანიზაციულ სწავლას.
ასევე, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ითვალისწინებს წახალისების სისტემას, რომელიც უკავშირდება თანამშრომელთა მიღწევებსა და დამსახურებებს, რაც წარმოადგენს წარმატების აღიარების მნიშვნელოვან მექანიზმს.
შიდა კომუნიკაციისა და კოლეგიური მუშაობის ფორმატები (შეხვედრები, კათედრები, სამუშაო ჯგუფები) დამატებით ქმნის სივრცეს გამოცდილების გაზიარებისა და საუკეთესო პრაქტიკის გავრცელებისთვის.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ - სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ნოსირის საჯარო სკოლის შინაგანაწესი;
- სსიპ - სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ნოსირის საჯარო სკოლის ადამიანური რესურსების მართვის მექანიზმები;
- სსიპ - სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ნოსირის საჯარო სკოლის პერსონალის მართვის მექანიზმები;
- სკოლაში დასაქმებულ თანამშრომელთა პირადი საქმეები;
- სკოლის თანამშომლებთან გაფორმებული ინდივიდუალური შრომითი ხელშეკრულებები;
- დასაქმებულ პირთა საკვალიფიკაციო მოთხოვნები.

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება
3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები**

სკოლაში ფუნქციონირებს პერსონალის შეფასებისა და პროფესიული განვითარების საჭიროებების განსაზღვრის მექანიზმები, რაც ასახულია ადამიანური რესურსების მართვის მარეგულირებელ დოკუმენტებში. კერძოდ, პერსონალის შეფასება წარმოადგენს სამუშაოს შესრულების მართვის ციკლის მნიშვნელოვან ნაწილს და გამოიყენება თანამშრომელთა პროფესიული შესაძლებლობების, უნარ-ჩვევებისა და პოზიციასთან შესაბამისობის დასადგენად.

შეფასების პროცესის შედეგად ხდება პერსონალის ძლიერი და სუსტი მხარეების იდენტიფიცირება, რაც წარმოადგენს საფუძველს პროფესიული განვითარების საჭიროებების განსაზღვრისთვის. აღნიშნული შედეგები გამოიყენება პერსონალის განვითარების დაგეგმვისთვის, მათ შორის ტრენინგების, სასწავლო კურსების, ქოუჩინგის და სხვა აქტივობების მეშვეობით.
ადამიანური რესურსების მართვის მარეგულირებელი მეთოდოლოგიური დოკუმენტი ასევე ითვალისწინებს სამუშაოს მონიტორინგის მექანიზმებს (ანგარიშგება, ინფორმაციის მოთხოვნა), რაც დამატებით უზრუნველყოფს შესრულების შეფასებას და საჭიროებების დროულ იდენტიფიცირებას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. **პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად**

სკოლაში პერსონალის განვითარება ეფუძნება შეფასების პროცესში გამოვლენილ საჭიროებებს. სკოლის პერსონალის მართვის მექანიზმები განსაზღვრავს, რომ შეფასების შედეგად ხორციელდება თანამშრომელთა ძლიერი და სუსტი მხარეების იდენტიფიცირება და იგეგმება მათი პროფესიული განვითარება. პერსონალის განვითარების გეგმა წარმოადგენს სამუშაოს შესრულების მართვის პროცესის განუყოფელ ნაწილს, სადაც აისახება განვითარების საჭიროებები და შესაბამისი აქტივობები. აღნიშნული გეგმები მოიცავს სხვადასხვა ფორმატს (ტრენინგები, სასწავლო კურსები, ქოუჩინგი, პროექტებში ჩართულობა და სხვ.), რამაც უნდა უზრუნველყოფს მიზნობრივ და საჭიროებებზე მორგებული განვითარება.
პროცესი ციკლურ ხასიათს ატარებს (შეფასება - საჭიროებების იდენტიფიცირება - განვითარების დაგეგმვა - განხორციელება - ხელახალი შეფასება), რამაც უნდა უზრუნველყოს პერსონალის პროფესიული ზრდის უწყვეტობა და ეფექტიანობა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. **სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას**

სკოლაში მოქმედი ადამიანური რესურსების მართვის სისტემა უზრუნველყოფს პერსონალის კარიერული ზრდის მხარდაჭერას და მას განიხილავს როგორც ორგანიზაციული განვითარების მნიშვნელოვან კომპონენტს. პერსონალის მართვის მექანიზმებში პირდაპირ არის განსაზღვრული, რომ შეფასების ერთ-ერთი მიზანია თანამშრომელთა კარიერული განვითარება, პროფესიული უნარების გაუმჯობესება და მათი პოტენციალის სრულად გამოყენება.
პროფესიული განვითარების პროცესები მოიცავს მრავალფეროვან აქტივობებს (ტრენინგები, სასწავლო კურსები, პროექტებში ჩართულობა, ქოუჩინგი), რომლებიც მიზნად ისახავს თანამშრომელთა კომპეტენციების გაღრმავებას და კარიერული წინსვლის ხელშეწყობას.

ამასთან, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ეფუძნება უწყვეტი პროფესიული განვითარების პრინციპს და დამსახურებაზე დაფუძნებულ მიდგომას, რაც გულისხმობს, რომ თანამშრომელთა დაწინაურება და წახალისება დაკავშირებულია მათ პროფესიულ მიღწევებსა და კომპეტენციებთან. შეფასებისა და განვითარების ციკლური სისტემა ქმნის პირობებს თანამშრომელთა კარიერული პროგრესისთვის.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან

სკოლაში განსაზღვრულია თანამშრომელთა სამუშაო გარემოსთან ინტეგრაციის მექანიზმები, რომელიც უზრუნველყოფს ახალი პერსონალის ეფექტიან ადაპტაციას სამუშაო გარემოსთან. პერსონალის მართვის მექანიზმები განსაზღვრავს, რომ ახალი თანამშრომლის ინტეგრაციაზე პასუხისმგებელია პირადად სკოლის დირექტორი, შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი და კოლეგები. ადაპტაციის პროცესში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა თანამშრომლისათვის კომფორტული სამუშაო გარემოს შექმნას, რაც ხელს უწყობს მის სწრაფ ჩართვას სასკოლო საქმიანობაში და ეფექტიან ფუნქციონირებას.
დამატებით, შიდა კომუნიკაციის განვითარებაზე ორიენტირებული მიდგომები (ინფორმაციის გაზიარება, თანამშრომლებს შორის კოორდინაცია, შეხვედრები) უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას არა მხოლოდ საწყის ეტაპზე, არამედ უწყვეტ პროცესად, რაც აძლიერებს გუნდურობასა და ორგანიზაციულ კულტურას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები

სკოლის ადამიანური რესურსების მართვის მეთოდოლოგიური დოკუმენტების და სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრების შედეგად დგინდება, რომ პერსონალის განვითარებისკენ მიმართული ინიციატივები წახალისებულია და მხარდაჭერილია. განსაზღვრულია წახალისების სისტემა, რომელიც უკავშირდება თანამშრომელთა საქმიანობის შედეგებსა და პროფესიულ მიღწევებს, რაც წარმოადგენს ინიციატივების მხარდაჭერის ერთ-ერთ ძირითად ინსტრუმენტს. პერსონალის მართვის მექანიზმები ითვალისწინებს განვითარების მრავალფეროვან ფორმებს (ტრენინგები, პროექტებში ჩართულობა, ქოუჩინგი, ახალი დავალებები), რაც ხელს უწყობს თანამშრომელთა ინიციატივების გამოვლენასა და განხორციელებას. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია განმავითარებელი დავალებებისა და პროექტების მართვის პრაქტიკა, რომელიც ახალ შესაძლებლობებს ქმნის პერსონალის აქტიური ჩართულობისა და ინოვაციური იდეების რეალიზებისთვის.

ასევე, სკოლაში გადაწყვეტილებების მიღების პროცესში პერსონალის ჩართულობა და კოლეგიური მუშაობა ქმნის სივრცეს, სადაც თანამშრომლებს შეუძლიათ საკუთარი იდეების წარდგენა და განვითარება, რაც დამატებით ასტიმულირებს ინიციატივებს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
სსიპ - სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ნოსირის საჯარო სკოლის ადამიანური რესურსების მართვის მექანიზმები
სსიპ - სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ნოსირის საჯარო სკოლის პერსონალის მართვის მექანიზმები

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა
3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს**

სკოლაში საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკისა და შესაბამისი მექანიზმების საფუძველზე. წარმოდგენილი დოკუმენტაცია ადასტურებს, რომ სკოლაში დანერგილია ხარისხის უზრუნველყოფის ერთიანი სისტემა, რომლის მიზანია პროცესების სისტემური შეფასება და უწყვეტი განვითარება.
ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ეფუძნება პროცესულ მიდგომას: სკოლის საქმიანობასთან დაკავშირებული პროცესები გამიჯნულია მმართველობითი, ძირითად და დამხმარე პროცესებად, რაც უზრუნველყოფს თითოეული მიმართულების მკაფიო მართვასა და შეფასებას. თითოეული პროცესი აღწერილია შესაბამისი ქვეპროცესებით (დაგეგმვა, განხორციელება, მონიტორინგი-შეფასება, რევიზია), რაც ადასტურებს პროცესული მართვის სისტემურობას. ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა ეფუძნება დემინგის PDCA (Plan-Do-Check-Act) ციკლს, რაც გულისხმობს დაგეგმვის, განხორციელების, შეფასებისა და გაუმჯობესების უწყვეტ პროცესს. აღნიშნული ციკლი უზრუნველყოფს, რომ ყველა პროცესი რეგულარულად გადამოწმდეს, შეფასდეს და საჭიროების შემთხვევაში გაუმჯობესდეს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. **იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები**

სკოლაში საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული პროცესები იდენტიფიცირებულია, კლასიფიცირებულია და აღწერილია ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების დოკუმენტში. დოკუმენტი მკაფიოდ განსაზღვრავს პროცესების სამ ძირითად კატეგორიას: მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები, რაც უზრუნველყოფს საქმიანობის სისტემურ სტრუქტურირებას.
ძირითადი პროცესები მოიცავს უშუალოდ საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებულ მიმართულებებს (კურიკულუმის განვითარება, სასწავლო პროცესის ორგანიზება და მართვა), რომლებიც დეტალურადაა გაშლილი ქვეპროცესებად: დაგეგმვა, განხორციელება, მონიტორინგი-შეფასება და რევიზია.
მმართველობითი პროცესები (სტრატეგიული დაგეგმვა, წლიური დაგეგმვა, ხარისხის უზრუნველყოფა) აღწერილია ციკლური მოდელით და მოიცავს შესაბამის ეტაპებს (შემუშავება, განხორციელება, მონიტორინგი, შეფასება, გაუმჯობესება), რაც უზრუნველყოფს მართვის პროცესის თანმიმდევრულობასა და ეფექტიანობას.
დამხმარე პროცესები მრავალფეროვანია და მოიცავს ისეთ მიმართულებებს, როგორიცაა ადამიანური რესურსების მართვა, ფინანსური მართვა, მატერიალური რესურსები, უსაფრთხოება, საინფორმაციო სისტემები, საზოგადოებასთან ურთიერთობა და სხვ. თითოეული მათგანი ასევე აღწერილია ქვეპროცესებითა და მონიტორინგის მექანიზმებით, რაც უზრუნველყოფს მათი ეფექტიან ფუნქციონირებას.
საკითხი სასკოლო დონეზე დარეგულირებულია ორი ძირითადი დოკუმენტით: „სსიპ სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ნოსირის საჯარო სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებით“ (დამტკიცებულია სკოლის დირექტორის 2025 წლის 30

დეკემბრის №2-78 ბრძანებით და „სსიპ - სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ნოსირის საჯარო სკოლის მმართველობითი ერთეულებით“ (დამტკიცებულია სკოლის დირექტორის 2025 წლის 31 დეკემბრის №2-88 ბრძანებით, განსხვავებული სახელწოდებით).

რჩევა: აღსანიშნავია, რომ დოკუმენტებს შორის არის ნაწილობრივ დუბლირება, ასევე, შეუსაბამობები (ტექნიკური უზუსტობები), სასურველია, გადაიხედოს წარმოდგენილი ორი დოკუმენტი, შესწორდეს ტექნიკური უზუსტობები და შესაბამისობაში მოვიდეს სკოლის კონტექსტთან.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. **სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა**

სკოლაში დანერგილია საჩივრებისა და გასაჩივრების სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს როგორც თანამშრომლების, ისე მოსწავლეების, მშობლებისა და სხვა დაინტერესებული პირების უფლებების დაცვას. სკოლა უზრუნველყოფს ყველა დაინტერესებული პირის უფლებას, გაასაჩივროს სკოლის ან მისი წარმომადგენლების უკანონო ან არამართლზომიერი ქმედებები.

საჩივრების სისტემა ეფუძნება მკაფიო პრინციპებს: ხელმისაწვდომობა, გამჭვირვალობა, სიმარტივე, განსაზღვრული ვადები და მიუკერძოებელი განხილვა, რაც უზრუნველყოფს პროცესის სამართლიანობასა და ეფექტიანობას. ამასთან, პროცედურები საჯაროა და ხელმისაწვდომია როგორც სკოლის ვებგვერდზე, ასევე ფიზიკურ სივრცეში, რაც ზრდის სასკოლო საზოგადოების წევრების ინფორმირებულობას.

დოკუმენტი დეტალურად აღწერს საჩივრის განხილვის ინსტიტუციურ მექანიზმს - საჩივრებს განიხილავს დირექტორი, სამეურვეო საბჭო ან სააპელაციო კომიტეტი. ასევე, განსაზღვრულია ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების მექანიზმები, რაც აძლიერებს პროცესის მიუკერძოებლობას.

პროცედურები მოიცავს როგორც არაფორმალური, ისე ფორმალური განხილვის ეტაპებს, განსაზღვრულია საჩივრის წარდგენის პირობები, განხილვის ვადები და გადაწყვეტილების მიღების პროცესი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები**

სკოლაში მოქმედებს ფორმალიზებული მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს როგორც პერსონალის, ასევე მშობლებისა და კანონიერი წარმომადგენლების უფლებების დაცვას. საჩივრებისა და გასაჩივრების პროცედურების დოკუმენტი პირდაპირ

განსაზღვრავს, რომ თითოეულ დაინტერესებულ პირს (მათ შორის მასწავლებელსა და მშობელს) აქვს უფლება გაასაჩივროს სკოლის ან მისი წარმომადგენლების ქმედებები და დაიცვას საკუთარი კანონიერი ინტერესები.
დოკუმენტში გაწერილია მიუკერძოებელი და დამოუკიდებელი საჩივრების განხილვის სისტემა, რომელიც ეფუძნება სამართლიანობის, ხელმისაწვდომობისა და გამჭვირვალობის პრინციპებს. პროცედურები უზრუნველყოფს საჩივრების დროულ და ობიექტურ განხილვას, განსაზღვრული ვადებითა და მკაფიო ეტაპებით.
მნიშვნელოვანია, რომ სისტემაში გათვალისწინებულია როგორც ფორმალური, ისე არაფორმალური მექანიზმები - დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ კონსულტაციის მიღება და პრობლემის წინასწარი, არაფორმალური გზით მოგვარება, რაც ამცირებს კონფლიქტების ესკალაციის რისკს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ - სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ნოსირის საჯარო სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა
- სსიპ - სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ნოსირის საჯარო სკოლის მმართველობითი ერთეულები
- სკოლის დირექტორის 2025 წლის 7 თებერვლის №2-08 ბრძანება სსიპ - სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ნოსირის საჯარო სკოლაში ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის შექმნის შესახებ“
- სსიპ - სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ნოსირის საჯარო სკოლის საჩივრების დეტალური პროცედურების დამტკიცების შესახებ“ სკოლის დირექტორის 2025 წლის 30 დეკემბრის №2-77 ბრძანება

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები**

სკოლაში მოქმედებს მართვის პროცესებთან დაკავშირებული ინფორმირების, უკუკავშირის მიღებისა და რეაგირების მექანიზმები, რომლებიც ინტეგრირებულია ხარისხის უზრუნველყოფის სისტემასა და მართვის პროცესებში. ხარისხის უზრუნველყოფის დოკუმენტში განსაზღვრულია, რომ პროცესების შეფასება ეფუძნება მონაცემების შეგროვებას, მათ შორის გამოკითხვებს, ინტერვიუებსა და ფოკუს ჯგუფებს, რაც უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოებისგან უკუკავშირის მიღებას.

ინფორმირების მექანიზმები იკვეთება როგორც სტრატეგიული, ისე წლიური დაგეგმვის პროცესებში - დოკუმენტში პირდაპირ არის განსაზღვრული გეგმების გაზიარება და დაინტერესებული პირებისთვის წარდგენა, რაც უზრუნველყოფს მართვის პროცესების გამჭვირვალობასა და ხელმისაწვდომობას.
უკუკავშირის მიღების მექანიზმები მოიცავს სასკოლო საზოგადოების (მოსწავლეები, მშობლები, პერსონალი) გამოკითხვებსა და საჭიროების შემთხვევაში დამატებით კვლევით მეთოდებს, რაც გამოიყენება პრობლემების იდენტიფიცირებისა და პროცესების გაუმჯობესებისთვის.
რეაგირების კომპონენტი უზრუნველყოფილია იმით, რომ შეფასების შედეგებზე მზადდება ანგარიშები, რომლებიც წარედგინება დირექტორს შემდგომი გადაწყვეტილებებისა და რეაგირებისათვის, ხოლო განმეორებითი შეფასება აფასებს განხორციელებული ცვლილებების ეფექტიანობას. ასევე, დოკუმენტი პირდაპირ მიუთითებს რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგზე და პროცესების გაუმჯობესებაზე.
დამატებით, საჩივრებისა და გასაჩივრების სისტემა წარმოადგენს უკუკავშირის მიღებისა და რეაგირების ფორმალიზებულ მექანიზმს, რაც უზრუნველყოფს დაინტერესებული მხარეების პოზიციების გათვალისწინებას გადაწყვეტილებების მიღებისას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. **უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა**

სკოლაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების ჩართულობა როგორც სასკოლო ცხოვრებაში, ისე მართვის პროცესებში, მათ შორის კოლეგიალურ ორგანოებში. წარმოდგენილი დოკუმენტაცია მიუთითებს, რომ სკოლაში ფუნქციონირებს სხვადასხვა მმართველობითი და საკოორდინაციო სტრუქტურები (დირექცია, სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი და სხვა), რომლებიც მონაწილეობენ გადაწყვეტილებების მიღების პროცესში და უზრუნველყოფენ მრავალმხრივ ჩართულობას.
ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები პირდაპირ ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების ჩართულობას - პროცესების შეფასებისას გამოიყენება გამოკითხვები, ინტერვიუები და ფოკუს ჯგუფები, რაც უზრუნველყოფს მოსწავლეების, მშობლებისა და პერსონალის აზრის სისტემურ გათვალისწინებას. სტრატეგიული და წლიური დაგეგმვის პროცესებიც მოიცავს გეგმების გაზიარებასა და დაინტერესებული პირებისთვის წარდგენას, რაც ქმნის მონაწილეობის შესაძლებლობას და ზრდის გამჭვირვალობას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ - სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ნოსირის საჯარო სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა;
- სსიპ - სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ნოსირის საჯარო სკოლის მმართველობითი ერთეულების დოკუმენტი;
- სიპ - სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ნოსირის საჯარო სკოლის საჩივრების დეტალური პროცედურების დამტკიცების შესახებ“ სკოლის დირექტორის 2025 წლის 30 დეკემბრის №2-77 ბრძანება.

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა**

ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის პროცესში სკოლა ხელმძღვანელობს საქართველოს განათლების, მეცნიერების, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის N06/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების“ დოკუმენტით. ასევე, სკოლას შემუშავებული აქვს „სკოლის უსაფრთხოების პოლიტიკა“, რომელიც აერთიანებს სასკოლო სივრცეში უსაფრთხოების მართვის საკითხებს. დოკუმენტით განსაზღვრულია, რომ სკოლაში შექმნილია საგანგებო შტაბი. ვიზიტის ფარგლებში არ არის წარმოდგენილი უფლებამოსილ ორგანოსთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა.

სკოლაში, ორივე მისამართზე 2024 წლის 3 ივლისს განხორციელებულია სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შემოწმება (დეტალური სახანძრო-ტექნიკური შემოწმება), დაწესებულებამ წარმოადგინა სახანძრო უსაფრთხოების, საგანგებო სიტუაციების პრევენციისა და მათზე რეაგირების მოთხოვნების დარღვევების აღმოფხვრის თაობაზე ზედამხედველობის მიწერილობები №119 (03.07.2024) და №121 (03.07.2024). დოკუმეტებში აღნიშნულია შესასრულებლად სავალდებულო ღონისძიებები და მისი შესრულების ვადები, რომლებიც დღეისათვის ამოწურულია. სკოლის თანამშრომლებმა აღწერეს რეკომენდაციების შესრულების მიზნით გატარებული ღონისძიებები, ასევე, წარმოდგენილია შესყიდვების დამადასტურებელი დოკუმენტები (ინვენტარის შეძენა და ა.შ.), რომელიც ადასტურებს, რომ დაწესებულებისათვის პრიორიტეტულია სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობა. ამასთან, 2024 წლის შემდეგ განმეორებითი შემოწმება შესაბამისი სამსახურის მხრიდან (რომელიც დაადასტურებდა, რამდენად სრულყოფილად არის გათვალისწინებული რეკომენდაციები), დაწესებულების წარმომადგენლების განმარტებით, არ მომხდარა, ასევე, არ არის წარმოდგენილი სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების მიზნით.

სკოლას არ აქვს დასკვნა შენობა-ნაგებობების ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ. ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის ფარგლებში სკოლამ წარმოადგინა წერილობითი კორესპოდენცია, რომლითაც მიმართავს სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს, შენობა-ნაგებობების ტექნიკური მდგომარეობის შესწავლის მიზნით.

სკოლაში დასაქმებულია ოთხი დარაჯი, ასევე, სკოლას ემსახურება 2 მანდატური სკოლის ძირითად შენობაში, სოფელ ნოსირში, ხოლო ერთი მანდატური - სკოლის მეორე შენობაში, სოფელ მეორე ნოსირში. უზრუნველყოფილია შენობებში შესვლისა და გასვლის მკაცრი აღრიცხვა.

სკოლის ძირითადი შენობა-ნაგებობა (სოფელი ნოსირი) აღჭურვილია ვიდეო-სამეთვალყურეო სისტემით, ხოლო სკოლის მფლობელობაში არსებული მეორე შენობა-ნაგებობა (სოფელი მეორე ნოსირი) არ არის აღჭურვილი ვიდეოკამერებით. შესაბამისად, დაკმაყოფილებული არ არის ,,ავტომატური ფოტო და ვიდეოტექნიკის ტექნიკური მახასიათებლებისა და მათი ექსპლუატაციის წესის, აგრეთვე იმ შენობა-ნაგებობათა ჩამონათვალის დამტკიცების შესახებ, რომელთა გარე პერიმეტრზე სავალდებულოა ავტომატური ფოტო-ან/და ვიდეოტექნიკის განთავსება/დამონტაჟება“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 2 მარტის №101 დადგენილების და საქართველოს განათლების, მეცნიერების, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრის „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ'' 2019 წლის 29 იანვრის N06/ნ ბრძანებებით გათვალისწინებული მოთხოვნები.
შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტში აისახა შეუსაბამობა. დამატებით, გაიცა რჩევა, სკოლამ აიყვანოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი.
დასკვნის პროექტის გაცნობის შემდეგ, დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლითაც დგინდება, რომ 2027 წლის 15 მაისის ჩათვლით უზრუნველყოფილი იქნება სტანდარტთან სრულ შესაბამისობაში მოყვანა.
ექსპერტთა ჯგუფმა შეცვალა დაფიქსირებული შეფასება.

ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას**

სკოლა, პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის უზრუნველყოფის მიზნით, მოწყობილი და სათანადო ინვენტარით აღჭურვილი აქვს სამედიცინო კაბინეტი (სკოლის ორივე შენობა-ნაგებობაში). დაწესებულებაში დასაქმებულია სათანადო კვალიფიკაციის პერსონალი.
სამედიცინო კაბინეტის აღჭურვილობა შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებლი ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 21 მარტის ერთობლივი N41/ნ/01-23/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საქართველოს

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების/სკოლების სამედიცინო პერსონალის საქმიანობის სტანდარტისა და საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში/სკოლებში სამედიცინო მომსახურების სივრცის (კაბინეტი/პუნქტი) ფუნქციონირების წესით“ გათვალისწინებულ მოთხოვნებს.
სკოლაში წარმოებს გაწეული სამედიცინო მომსახურების, სამედიცინო შემთხვევების, დახარჯული და ვადაგასული მედიკამენტების და სამედიცინო მასალების აღრიცხვის ფორმები/ჟურნალები.
დასკვნის პროექტში აისახა, რომ სკოლის მეორე შენობაში (სოფელი მეორე ნოსირი) სამედიცინო კაბინეტში არ იყო მოქმედი, გამართულად ფუნქციონირებადი ხელსაბანი. შესაბამისად, დაცული არ იყო საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებლი ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 21 მარტის ერთობლივი N41/ნ/01-23/ნ ბრძანებით გათვალისწინებული მოთხოვნები.

დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, რომელსაც ახლავს მტკიცებულებები (ფოტო მასალა), რაც ადასტურებს ხარვეზის აღმოფხვრას. შესაბამისად, შეიცვალა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებული შეფასება.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. **სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას**

სკოლაში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა უზრუნველყოფილია სკოლის შინაგანაწესით და საქართველოს განათლების, მეცნიერების, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრის „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ 2019 წლის 29 იანვრის N06/ნ ბრძანებით დადგენილი წესის, სკოლის შინაგანაწესის და მანდატურების მუშაობით. სკოლას დღეისათვის ემსახურება სამი მანდატური, ორი სკოლის ძირითად შენობას, ხოლო ერთი - სკოლის მეორე შენობას (სოფელი მეორე ნოსირი).

სკოლის სტრუქტურული ერთეულია მრჩეველთა საბჭო, ასევე, დირექტორის ბრძანებით შექმნილია შესაბამისი კოლეგიური ორგანო, რომელიც უზრუნველყოფს სკოლაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საკითხების განხილვასა და სკოლის დირექტორისათვის შესაბამისი რეკომენდაციების გაცემას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს**

სკოლას შემუშავებული აქვს უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც სხვა საკითხებთან ერთად, მოიცავს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს უზრუნველყოფის მექანიზმებსაც. განსაზღვრულია ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოს შექმნის საშუალებები, ფსიქოლოგიური შინაარსის კონფლიქტების მართვის სტრატეგიები, საინფორმაციო და პრევენციული ღონისძიებები და პასუხისმგებელი პირები. გარდა ზოგადი მექანიზმებისა, სკოლაში დამტკიცებული წესის მიხედვით, დამატებით, კლასის დამრიგებლები და სპეციალური მასწავლებელი აწარმოებენ თემატურ შეხვედრებს და საუბრებს, აქტუალურ თემატიკაზე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5. **სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას**

სკოლის „უსფართხოების პოლიტიკა“ მოიცავს სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის წესებს სკოლაში. განსაზღვრულია ყოველდღიური, ასევე, გენერალური დასუფთავების წესები. სკოლაში სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას უზრუნველყოფს სკოლაში დასაქმებული ექვსი დამლაგებელი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

6. **სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას**

სკოლას შემუშავებული აქვს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმი“ (სკოლის უსაფრთხოების პოლიტიკა, თავი V), რომელიც არეგულირებს პერსონალური მონაცემების დაცვის პროცესს სკოლაში. ასევე, სკოლის დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია პერსონალური მონაცემების დაცვის ოფიცერი (უჭირავს საქმისმწარმოებლის თანამდებობა).

ექსპერტთა ჯგუფის რჩევა: სკოლამ პერსონალური მონაცემების დაცვის ოფიცრის შერჩევისას თავიდან აირიდოს ინტერესთა კონფლიქტი (საქმისმწარმოებელი უშუალოდ უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დამუშავებას).

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

7. **სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები**

სკოლა იყენებს სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ მიწოდებულ ინტერნეტს, უზრუნველყოფილია ანტივირუსული პროგრამებით, გამოიყენება ლიცენზირებული კომპიუტერული პროგრამები. სკოლაში შემუშავებულია „ინფორმაციის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი“, რომელიც განსაზღვრავს ინფორმაციის დაცვის მონიტორინგის მექანიზმებს. მატერიალური სახით არსებული დოკუმენტაცია ინახება საქმისმწარმოებელთა და ხელმისაწვდომია მხოლოდ საქმისმწარმოებლისა და დირექტორისათვის.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

8. **სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის**

სკოლაში ფუნქციონირებს მრჩეველთა საბჭო, რომელის ფუნქციებიც განისაზღვრება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს №06/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების შესაბამისად“. საბჭოს ფუნქციას განეკუთვნება წლის განმავლობაში, კანონმდებლობის შესაბამისად განიხილოს საკითხები, რომლებიც სკოლაში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასთან და უსაფრთხოებასთან არის დაკავშირებული, იმსჯელოს ღონისძიებებზე, პრევენციულ ნაბიჯებზე, რომლებიც ხელს შეუწყობს უსაფრთხოების მექანიზმების გაუმჯობესებას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სახანძრო უსაფრთხოების, საგანგებო სიტუაციების პრევენციისა და მათზე რეაგირების მოთხოვნების დარღვევის აღმოფხვრის თაობაზე ზედამხედველობის 2024 წლის 3 ივლისის №119 მიწერილობა (სკოლის I კორპუსი)
- სახანძრო უსაფრთხოების, საგანგებო სიტუაციების პრევენციისა და მათზე რეაგირების მოთხოვნების დარღვევის აღმოფხვრის თაობაზე ზედამხედველობის 2024 წლის 3 ივლისის №121 მიწერილობა (სკოლის II კორპუსი)
- კორესპოდენცია სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს, სკოლის პირველი და მეორე შენობის ტექნიკური მდგომარეობის შეფასების თაობაზე
- მიღება-ჩაბარების აქტი (23.05.2015) საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსთან“, სამედიცინო კაბინეტის ინვენტარის გადაცემის შესახებ

- სკოლის დირექტორის ბრძანება მრჩეველთა საბჭოს შექმნის შესახებ (2025 წლის 10 თებერვლის ბრძანება №1/კ-03
- სკოლის უსაფრთხოების პოლიტიკა
- სკოლის სამედიცინო პერსონალის პირადი საქმეები
- სამედიცინო პერსონალის სპეციალური ფორმები და ჟურნალები (მედიკამენტების აღრიცხვა და ა.შ.)
- სკოლის დირექტორის ბრძანება პერსონალური მონაცემების დაცვის ოფიცრის განსაზღვრის შესახებ;
- ფოტო მასალა;
- დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა.

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

სკოლას მართლზომიერ მფლობელობაში აქვს ორი შენობა-ნაგებობა. სკოლის ძირითადი შენობა განთავსებულია სოფელ ნოსირში (უძრავი ქონების საკადასტრო კოდი: 44.02.23.062), მიწის ნაკვეთის დაზუსტებული ფართობი შეადგენს 25463 კვ.მ-ს, სკოლის მფლობელობაში არსებული შენობა-ნაგებობის ფართია 2945 კვ.მ. შენობა გარემონტებული და კეთილმოწყობილია, მასში განთავსებულია 34 საკლასო ოთახი, ყველა სართულზე არის სველი წერტილები გოგონებისთვის და ვაჟებისთვის ცალ-ცალკე, მოწყობილია ცენტრალური გათბობის სისტემა.

სკოლის მეორე შენობა-ნაგებობა განთავსებულია სოფელ მეორე ნოსირში (უძრავი ქონების საკადასტრო კოდი: 44.04.29.029), მიწის ნაკვეთის დაზუსტებული ფართობი 14219 კვ.მ.-ს შეადგენს, შენობა-ნაგებობა №1-ის ფართია 1128 კვ.მ. შენობა-ნაგებობა ვიზუალურად შეფასებით, საჭიროებს კაპიტალურ სარემონტო სამუშაოებს.
სკოლის მფლობელობაში არსებული ორივე უძრავი ქონება არის სახელმწიფოს საკუთრებაში და სარგებლობის უფლებით გადაცემული აქვს სსიპ - სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ნოსირის საჯარო სკოლას. სარგებლობის უფლება რეგისტრირებულია საჯარო რეესტრში.
სკოლის მფლობელობაში არსებული ორივე ფართი აღჭურვილია სასკოლო ინვენტარით. ინდივიდუალური მერხები და სკამები, ასევე, სხვა სახის მატერიალურ-ტექნიკური საშუალებები იძლევა 420 მოსწავლისათვის საგანმანათლებლო მომსახურების გაწევის შესაძლებლობას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. **დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის**

სკოლის შენობაში და ეზოში არსებული რეკრეაციული საერთო გამოყენების სივრცეები ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის. სკოლას შემუშავებული აქვს სკოლის მატერიალური და არამატერიალური რესურსების ექსპლუატაციისა და სარგებლობის წესი (სკოლის უსაფრთხოების პოლიტიკა, თავი V). დადგენილი წესების მიხედვით, სკოლაში, როგორც მასწავლებელთათვის, ასევე მოსწავლეთათვის ხელმისაწვდომია სხვადასხვა საგანმანათლებლო მატერიალური და ელექტრონული რესურსები (კომპიუტერები, პროექტორები, პრინტერები, სკანერები, ლაბორატორიის აღჭურვილობა, რუკები, წიგნები და სხვა). მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესის ძირითადი მიზანია სკოლაში არსებული ტექნოლოგიების გამოყენებით სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ეფექტურად წარმართვის უზრუნველყოფა. ცალკეული საგნობრივი პროგრამების მიზნების მიღწევის ხელშეწყობა და გამჭოლი კომპეტენციების განვითარება, რეგულირებულია საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ლაბორატორიით, IT კაბინეტით და სპორტული ინფრასტრუქტურით, სკოლის ბიბლიოთეკით სარგებლობის წესები. შემუშავებულია ბიბლიოთეკის დებულება, რომელიც უფრო დეტალურად არეგულირებს შესაბამის საკითხებს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. **სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით**

დამტკიცებულია სკოლის ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი, რომელიც განსაზღვრავს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდების პირობებს. სკოლას განსაზღვრული აქვს ბიბლიოთეკარის სამუშაო მოვალეობები, მკითხველის უფლებები, ვალდებულებები და პასუხისმგებლობები. „ბიბლიოთეკით სარგებლობის წესით“ რეგულირებულია მკითხველად რეგისტრაციის პირობები, საბიბლიოთეკო რესურსების გატანის წესი და პირობები, დარბაზში ქცევის წესები და სხვა აქტუალური საკითხები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს**

როგორც ზემოთ აღინიშნა, სკოლას მართლზომიერ მფლობელობაში აქვს ორი შენობა-ნაგებობა. სკოლის ძირითადი შენობა, რომელიც განთავსებულია სოფელ ნოსირში ადაპტირებულია სპეციალური საჭიროების მქონე პირების საჭიროებებთან, მოწყობილია გარე ლიფტი (ამწე) და ადაპტირებულია სველი წერტილები.
დასკვნის პროექტში დაფიქსირდა, რომ სკოლის მეორე შენობა-ნაგებობის შემთხვევაში (რომელიც განთავსებულია სოფელ მეორე ნოსირში), შენობაში შესასვლელ კიბეზე მოწყობილია პანდუსი (საჭიროებს სამუშაოების დასრულებას), თუმცა, შენობაში არ არის ადაპტირებული სველი წერტილი სპეციალური საჭიროების მქონე პირებისათვის, რის გამოც დადგინდა ხარვეზი.
დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლითაც დგინდება, რომ 2026 წლის 30 მაისის ჩათვლითუზრუნველყოფს სტანდარტთან შესაბამისობას. აღნიშნულის გათვალისწინებით შეიცვალა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებული შეფასება.

ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებულია.

5. **სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას**

სკოლის ინფრასტრუქტურა (საერთო გამოყენების სივრცეები, მოსწავლეთა თვითმმართველობისათვის გამოყოფილი ოთახი, სააქტო დარბაზი და სხვა სივრცეები) სკოლას ხელს უწყობს განახორციელოს სოციალური, კულტურული, სპორტული და შემეცნებითი აქტივობები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ - სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ნოსირის საჯარო სკოლის „ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი“;
- სსიპ - სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ნოსირის საჯარო სკოლის „სკოლის უსაფრთხოების პოლიტიკა“;
- ამონაწერები საჯარო რეესტრიდან;
- დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას**

სკოლა უზრუნველყოფილია ინტერნეტით. სკოლის ბალანსზე არის 103 კომპიუტერი. კომპიუტერები განკუთვნილია სკოლის მოსწავლეებისთვის, დირექციისა და ადმინისტრაციის წარმომადგენლებისათვის, მასწავლებლებისთვის, კომპიუტერული ტექნოლოგიების სწავლებისთვის და აქტიურად გამოიყენება სასწავლო და ადმინისტრირების მიზნით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად**

ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად. სკოლაში დადგენილი წესები (სკოლის უსაფრთხოების პოლიტიკა, თავი V) არეგულირებს სკოლის მოსწავლეებისა და პერსონალისათვის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის ხელმისაწვდომობის საკითხებს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ - სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ნოსირის საჯარო სკოლის უსაფრთხოების პოლიტიკა;
- სსიპ - სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ნოსირის საჯარო სკოლის ინვენტარიზაციის მასალები.

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი**

სსიპ - სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ნოსირის საჯარო სკოლის დირექტორის 2025 წლის 31 დეკემბრის № 2-88 ბრძანებით დამტკიცებულია საქმისწარმოების წესი, რომელიც არეგულირებს ორგანიზაციაში დოკუმენტბრუნვის საკითხებს, განსაზღვრულია დოკუმენტაციის ტიპები, თითოეულის მომზადების და გაფორმების წესი, ჟურნალების წარმოების საკითხები, ელექტრონული დოკუმენტბრუნვის წესი და პირობები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა**

სკოლის მართვაში გამოიყენება Eflow და eSchool-ის პროგრამები, შემოსული და გასული დოკუმენტაცია, ასევე, დირექტორის ბრძანებების გამოცემა და აღრიცხვა წარმოებს ელექტრონულად. სკოლა იყენებს Microsoft 365 -ის პლატფორმას, რომლის ფარგლებშიც ყველა მოსწავლისათვის, მშობლისა და მასწავლებლისათვის შექმნილია ანგარიშები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. **სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში**

სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში. დირექცია დროულად ახდენს Eschool-ის ბაზაში საჭირო ინფორმაციის განახლებას. შემთხვევითი შერჩევის პრინციპით გადამოწმდა მოსწავლის, მშობლების, პერსონალის შესახებ ასახული მონაცემები და დადასტურდა მათი შესაბამისობა ზოგადი განათლების მართვის სისტემის ადმინისტრირების წესებთან.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან**

სკოლა იცავს კანონმდებლობით განსაზღვრულ ვადებს ანგარიშების, უკუკავშირის და საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებთან თანამშრომლობის დროს, რასაც მოწმობს საგანმანათლებლო რესურსცენტრის მიერ მიღებულ დავალებებზე საჭირო ვადებში რეაგირება.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ - სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ნოსირის საჯარო სკოლის საქმისწარმოების წესი (დამტკიცებულია სკოლის დირექტორის 2025 წლის 31 დეკემბრის № 2-88 ბრძანებით);
- ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მონაცემები.

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით**

სკოლა საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ახორციელებს ვებგვერდის - skolebi.emis.ge მეშვეობით, ასევე, სკოლას აქვს საინფორმაციო დაფა ცენტრალურ შესასვლელში, სკოლაში ფუნქციონირებს კოლეგიური ორგანოები, ეწყობა მშობელთა კრებები და ინდივიდუალური შეხვედრები. სკოლას აქვს სოციალური ქსელიც (facebook), უზრუნველყოფილია საზოგადოებასთან ინფორმაციის გაზიარება და კომუნიკაცია. სკოლის დირექტორის 2025 წლის 31 დეკემბრის №2-87 ბრძანებით დამტკიცებულია „საზოგადოებასთან ურთიერთობის/კომუნიკაციის წესი“, რომელიც არეგულირებს სკოლის მოვალეობებს და საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში გამოსაყენებელ არხებს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას**

ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან გადამოწმდა skolebi.emis.ge-ზე, ასევე, სოციალურ ქსელებში განთავსებული ინფორმაცია. განთავსებული ინფორმაცია სანდოა და არ არის შეცდომაში შემყვანი. სკოლის დირექტორის 2025 წლის 28 აპრილის №2-38 ბრძანებით განსაზღვრულია სოციალური ქსელის (facebook) მართვაზე პასუხისმგებელი პირი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. **საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად**

სკოლა უკუკავშირს იღებს მშობლებთან შეხვედრების და სოციალური ქსელის საშუალებით. მშობლებისაგან ხდება მათი მოსაზრებების მოსმენა და სკოლის წარმომადგენლობა უკუკავშირის შედეგებს იყენებს საკუთარი საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას**

სკოლას აქვს გვერდი skolebi.emis.ge ვებგვერდზე. სკოლის შესახებ ინფორმაცია განთავსებულია ქართულ ენაზე, სწავლება დაწესებულებაში ხორციელდება ასევე ქართულ ენაზე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5. **ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია**

ვებ გვერდზე - skolebi.emis.ge სკოლის გვერდზე განთავსებულია ინფორმაცია სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში და საკონტაქტო ინფორმაცია. სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები დღეისათვის წარმოდგენილი არ არის, რადგან ჯერ არ დამდგარა შესაბამისი საანგარიშო პერიოდი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის გვერდი ვებგვერდზე: skolebi.emis.ge;
- სკოლის გვერდი სოციალურ ქსელში (facebook);
- სკოლის დირექტორის 2025 წლის 31 დეკემბრის №2-87 ბრძანებით დამტკიცებული „საზოგადოებასთან ურთიერთობის/კომუნიკაციის წესი“;

- სკოლის დირექტორის 2025 წლის 28 აპრილის №2-38 ბრძანება სოციალური ქსელის (facebook) მართვაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ.

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები
3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება**

სკოლის ბიუჯეტის პროექტის შემუშავების დროს გათვალისწინებულია სავარაუდო შემოსავლები და ხარჯები. სკოლა ფინანსურად მდგრადია. ბიუჯეტის დამტკიცებაში მონაწილეობას იღებენ სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლები, წარმოდგენილნი სამეურვეო საბჭოში. სკოლის ბიუჯეტი იძლევა სკოლის სამოქმედო გეგმით განსაზღვრული აქტივობების განხორციელების შესაძლებლობას. სკოლა ფინანსურად მდგრადია, რაც დასტურდება საბანკო მონაცემებით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა**

სკოლის თანხების განკარგვა ხდება ბიუჯეტის მიხედვით, რომელსაც მონიტორინგს უწევს სამეურვეო საბჭო. ბიუჯეტში ცვლილებების შეტანა ხდება სამეურვეო საბჭოს თანხმობის შემთხვევაში. შემუშავებულია მიმდინარე წლის შესყიდვების გეგმა,

ყოველი წლის ბოლოს სკოლის დირექტორი სამეურვეო საბჭოს წარუდგენს ანგარიშს. წარმოდგენლია ბიუჯეტის შესრულების მონიტორინგის ანგარიშიც.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის მიმდინარე ბიუჯეტი;
- საბანკო ამონაწერი;
- მონიტორინგის ანგარიში.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა
4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა
4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა**

სკოლაში მოსწავლის უფლებების დაცვისა მოწესრიგებულია სსიპ - სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ნოსირის საჯარო სკოლის დირექტორის 2025 წლის 31 დეკემბრის №2-84 ბრძანებით დამტკიცებული „სკოლის მოსწავლის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის და მასწავლებლის/სხვა დასაქმებულის ძირითადი უფლებები და თავისუფლებების აღმწერი დოკუმენტით“, რომელიც „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად განსაზღვრავს მოსწავლეების უფლებათა ჩამონათვალს და მათი დაცვის მექანიზმებს.
დოკუმენტში მკაფიოდ არის განსაზღვრული:

- არადისკრიმინაციული გარემო და თანასწორი ხელმისაწვდომობა - ყველა მოსწავლე სარგებლობს თანაბარი უფლებებით სკოლის რესურსებზე;
- უსაფრთხოების დაცვის მექანიზმები - სკოლა ვალდებულია უზრუნველყოს ფიზიკური უსაფრთხოება, პრევენციული ღონისძიებები და წესრიგის დაცვა;
- ინფორმირებულობის უფლება - მოსწავლეს აქვს უფლება იცოდეს საკუთარი უფლებები და მათი შეზღუდვის საფუძვლები, ხოლო სკოლა ვალდებულია უზრუნველყოს მათი გაცნობა;
- მართვაში მონაწილეობის უფლება - მოსწავლეს შეუძლია მონაწილეობა მიიღოს გადაწყვეტილებების მიღებაში და მისი აზრი იყოს გათვალისწინებული;
- გასაჩივრების მექანიზმი - უზრუნველყოფილია საჩივრების წარდგენისა და მიუკერძოებელი განხილვის სისტემა;
- ანტიდისკრიმინაციული და ნეიტრალური გარემო - სკოლა ვალდებულია უზრუნველყოს თანასწორობა და ტოლერანტობა;
- ძალადობის აკრძალვა და უსაფრთხო გარემო - სკოლაში დაუშვებელია ნებისმიერი ფორმის ძალადობა და არსებობს შესაბამისი რეაგირების ვალდებულება.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. **მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან**

მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისათვის: სკოლის შინაგანაწესი დამტკიცებულია სკოლის სამეურვეო საბჭოს მიერ და მისი საჯაროობა უზრუნველყოფილია, სკოლასა და მშობელს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით, ასევე ხელშეკრულებაზე ხელისმოწერით მშობელი ადასტურებს შინაგანაწესის გაცნობის ფაქტს. გარდა ამისა, დამრიგებლის მოვალეობები ითვალისწინებს მოსწავლეებისა და მათი კანონიერი წარმომადგენლებისათვის სკოლის შინაგანაწესის გაცნობას. შინაგანაწესი სკოლაში გამოკრულია თვალსაჩინო ადგილზე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. **მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება**

ავტორიზაციის პროცესში გადამოწმდა მოსწავლეთა კანონიერ წარმომადგენლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები და დადასტურდა მათი კანონმდებლობასთან შესაბამისობა, განსაზღვრულია ხელშეკრულების საგანი, მხარეთა უფლება-მოვალეობანი, პასუხისმგებლობები, მოქმედების ვადა და შეწყვეტის პირობები, ასევე სხვა პირობები. ხელშეკრულებით განსაზღვრულია, რომ მხარეებს ევალებათ სკოლის შინაგანაწესის დაცვა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი;
- ვებგვერდი: skolebi.emis.ge;
- მოსწავლეთა კანონიერ წარმომადგენლებსა და სკოლას შორის გაფორმებული ხელშეკრულებები;

- სკოლაში საჩივრისა და განცხადების განხილვის წესი.

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები**

სსიპ - სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ნოსირის საჯარო სკოლის დირექტორის 2025 წლის 30 დეკემბრის №2-81 ბრძანებით დამტკიცებულია „მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმები“, რომელიც აღწერს თითოეულ პროცედურას. სკოლის პირველ კლასში ჩარიცხვა ხორციელდება ელექტრონული რეგისტრაციის მრავალეტაპიანი სისტემით, რაც უზრუნველყოფს პროცესის გამჭვირვალობას, თანასწორობასა და პრიორიტეტული ჯგუფების გათვალისწინებას. ასევე მკაფიოდ არის განსაზღვრული ასაკობრივი ზღვარი, ვადები და დოკუმენტაციის მოთხოვნები. სხვა კლასებში ჩარიცხვა ხორციელდება თავისუფალი ადგილების ფარგლებში დირექტორის ინდივიდუალური აქტის საფუძველზე.
სკოლაში მობილობის პროცესი რეგულირდება კანონმდებლობის შესაბამისად და ხორციელდება შესაბამისი სისტემის (eschool) გამოყენებით, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის მოთხოვნის საფუძველზე. დოკუმენტი ასევე განსაზღვრავს სტატუსის შეჩერების საფუძვლებს (მაგ., ხანგრძლივი გაცდენა, საზღვარგარეთ გამგზავრება, მშობლის განცხადება და სხვ.), სტატუსის აღდგენა ასევე ხორციელდება შესაბამისი განაცხადისა და დირექტორის აქტის საფუძველზე, განსაზღვრული პროცედურებით. საფეხურის დაძლევის კრიტერიუმები მკაფიოდ არის განსაზღვრული და ეფუძნება აკადემიურ შედეგებს (საფეხურის საშუალო ქულა ≥5.0 და შესაბამისი კლასების დაძლევა). ყველა მნიშვნელოვანი პროცესი (ჩარიცხვა, სტატუსის შეჩერება/აღდგენა და სხვ.) ხორციელდება დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით და აისახება განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს**

სკოლა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ახორციელებს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერების პროცედურებს. მოსწავლის ჩარიცხვა მშობლის, კანონიერი წარმომადგენლის განცხადების საფუძველზე ხორციელდება. პირველ კლასში მოსწავლეთა რეგისტრაცია ხდება ელექტრონულად. მოსწავლის სტატუსის შეჩერების და შეწყვეტის დროს სკოლა ეყრდნობა არსებულ საკანონმდებლო მექანიზმებს და შიდასასკოლო რეგულაციებს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. **სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

სკოლა მოსწავლის მშობლებს / კანონიერ წარმომადგენლებს სასწავლო წლის დასაწყისში აცნობს ინფორმაციას შინაგანაწესის შესახებ, რასაც ადასტურებს მშობლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიც. მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე skolebi.emis.ge. აქტუალური ინფორმაცია ასევე თავსდება სკოლის საინფორმაციო დაფაზე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული**

სკოლის მიერ გავრცელებული ინფორმაცია აქტივობების, სერვისების, პროგრამების, რესურსების შესახებ გამჭვირვალე და არადისკრიმინაციულია. სკოლის ხელმძღვანელობა სიახლეების გავრცელებისათვის იყენებს სკოლის შემოსასვლელში არსებულ საინფორმაციო დაფას. მოსწავლეებს და მოსწავლეთა კანონიერ წარმომადგენლებს სიახლეებს აცნობენ დამრიგებლები. ინფორმაცია პერიოდულად ვრცელდება სკოლის სოციალური გვერდის (facebook) მეშვეობით, ასევე, skolebi.emis.ge-ზე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ - სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ნოსირის საჯარო სკოლის დირექტორის 2025 წლის 30 დეკემბრის №2-81 ბრძანებით დამტკიცებული „მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმები“,
- Skolebi.emis.ge-ზე სკოლის გვერდი.

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები
4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი**

სსიპ - სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ნოსირის საჯარო სკოლის დირექტორის 2025 წლის 31 დეკემბრის №2-81 ბრძანებით დამტკიცებულია სკოლის მოსწავლის გარემოსთან ადაპტაციის მექანიზმების დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს როგორც პირველკლასელთა, ასევე სკოლაში ახლად გადმოსული მოსწავლეების ადაპტაციის პროცესს. დოკუმენტი მოიცავს წინასწარ და შემდგომ ეტაპებს, რაც უზრუნველყოფს თანმიმდევრულ და მხარდაჭერილ ადაპტაციას:
- სკოლაში შესვლამდე ტარდება ღია კარის დღეები და სკოლასთან წინასწარი გაცნობა;
- ორგანიზდება ერთობლივი აქტივობები ბაღის აღსაზრდელებთან;
- პირველ დღეებში ხდება გარემოს გაცნობა (სკოლის სივრცეები, ინფრასტრუქტურა);

- პირველი პერიოდის განმავლობაში გათვალისწინებულია შემსუბუქებული სასწავლო რეჟიმი (მაგალითად, საშინაო დავალებების არქონა);
- უზრუნველყოფილია ემოციური მხარდაჭერა და თამაშზე დაფუძნებული გარემო.

სკოლაში მობილობის წესით ჩარიცხული მოსწავლეების ადაპტაციის პროცესი არის ინდივიდზე მორგებული და მოიცავს:

- კლასში ინტეგრაციის უზრუნველყოფას დამრიგებლის აქტიური როლით;
- თანატოლებთან კომუნიკაციისა და სოციალურ ჯგუფში ჩართვის ხელშეწყობას;
- მოსწავლის ქცევისა და აკადემიური პროგრესის დაკვირვებას;
- საჭიროების შემთხვევაში, უკუკავშირის შეგროვებას (კითხვარები, დაკვირვება);
- მშობელთან აქტიურ თანამშრომლობას და ინდივიდუალური მხარდაჭერის შეთავაზებას;
- მოსწავლის ინტერესების გათვალისწინებით კლუბებსა და აქტივობებში ჩართვას.

მექანიზმი ითვალისწინებს მოსწავლის კმაყოფილების შეფასებას (კითხვარის გამოყენებით) და საჭიროების შემთხვევაში დამატებითი მხარდაჭერის უზრუნველყოფას, მათ შორის, დირექციის ჩართულობით. პროცესის ზედამხედველობა განსაზღვრულია სკოლის მართვის დონეზე (დირექტორის მოადგილე).
ასევე, დოკუმენტი მოიცავს რეკომენდაციებს მშობლებისთვის, რაც აძლიერებს ოჯახისა და სკოლის თანამშრომლობას ადაპტაციის პროცესში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან**

სკოლაში დამტკიცებული ადაპტაციის მექანიზმი მოიცავს როგორც წინასწარ, ასევე უშუალოდ სასწავლო პროცესის დაწყებისთანავე განხორციელებულ აქტივობებს, რაც ქმნის თანმიმდევრულ და მხარდაჭერილ ტრანზიციას. სწავლის დაწყებამდე სკოლა ახორციელებს პრევენციულ ღონისძიებებს - ორგანიზდება ღია კარის დღეები, სკოლის დათვალიერება და ბაღთან დაკავშირებული ერთობლივი აქტივობები, რაც ამცირებს ახალ გარემოსთან დაკავშირებულ სტრესს.
სწავლის დაწყებისთანავე ადაპტაციის პროცესი აქტიურად გრძელდება:

- პირველ დღეს და პირველ კვირაში მოსწავლეები ეცნობიან სკოლის ფიზიკურ გარემოს (ინფრასტრუქტურა, სივრცეები);
- დამრიგებელი უზრუნველყოფს ემოციურ მხარდაჭერას და კომუნიკაციას;
- პირველ პერიოდში გათვალისწინებულია შემსუბუქებული სასწავლო რეჟიმი (მაგ., საშინაო დავალებების არქონა), რაც ხელს უწყობს პოზიტიური სასწავლო გამოცდილების ფორმირებას;
- საკლასო გარემო ორგანიზებულია ისე, რომ მოიცავდეს როგორც სასწავლო, ასევე დასვენებისა და თამაშის ელემენტებს.

ასევე, მოსწავლეებს ეძლევათ დამოუკიდებლობის განვითარების შესაძლებლობა (მაგ., სივრცეში გადაადგილება), პარალელურად უზრუნველყოფილია უსაფრთხოების და მხარდაჭერის მაღალი დონე. ადაპტაციის პროცესში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მოსწავლის ემოციურ მდგომარეობას, თვითშეფასებასა და მოტივაციას, რაც დასტურდება თამაშზე, ურთიერთობაზე და პოზიტიურ გაძლიერებაზე ორიენტირებული მიდგომებით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად

სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე ორიენტირებულ მხარდაჭერას დამრიგებლის ჩართულობით, რომლის პასუხისმგებლობაც არის მოსწავლის პროგრესზე მონაცემების შეგროვება, საგნის მასწავლებლებთან თანამშრომლობა, მოსწავლის სასწავლო პროცესში ჩართულობის მონიტორინგი. კლასის დამრიგებელი გამოვლენილი სირთულეების შემთხვევაში უზრუნველყოფს შესაბამის რეაგირებას, ხელს უწყობს პრობლემების გადაჭრას ინდივიდუალური მუშაობისა და კონსულტაციის გზით, პარალელურად უზრუნველყოფს კომუნიკაციას მშობლებთან და აცნობს მათ მოსწავლის აკადემიურ მდგომარეობას, რაც ერთობლივად ქმნის მხარდაჭერის გარემოს, რომელიც მიმართულია მოსწავლის საჭიროებების იდენტიფიცირებასა და მისი სწავლის შედეგების გაუმჯობესებაზე.
სკოლას გათვალისწინებული აქვს სადამრიგებლო საათი, დამრიგებლებს ვალდებულება აქვთ, მოსწავლეებს მხარი დაუჭირონ სხვადასხვა პრობლემის გადაჭრაში, მშობლებთან ჰქონდეთ კომუნიკაცია მოსწავლეების მიღწევებისა და საჭიროებების შესახებ და ა.შ. მოსწავლეებთან და მშობლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ მხარდაჭერით კმაყოფილები არიან.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით

სკოლაში მოსწავლის უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა ხორციელდება სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული წესის შესაბამისად, რომელიც ეფუძნება მოქმედ კანონმდებლობას და დეტალურად განსაზღვრავს როგორც უფლებებს, ასევე მათი დაცვის მექანიზმებს.
დოკუმენტში გაწერილია მოსწავლის, მშობლისა და პერსონალის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები, რაც მოიცავს:

- არადისკრიმინაციულ და თანასწორ გარემოს – ყველა სუბიექტი სარგებლობს თანაბარი უფლებებით და რესურსებზე ხელმისაწვდომობით;

- უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმებს – სკოლა ვალდებულია განახორციელოს პრევენციული ღონისძიებები და უზრუნველყოს უსაფრთხო გარემო;
- ინფორმირებულობის უფლებას – მოსწავლეს აქვს უფლება იცოდეს საკუთარი უფლებები და მათი შეზღუდვის საფუძვლები, ხოლო სკოლა ვალდებულია უზრუნველყოს მათი გაცნობა;
- მართვაში მონაწილეობის უფლებას – მოსწავლეს შეუძლია მონაწილეობა მიიღოს გადაწყვეტილებების მიღებაში და მისი აზრი იყოს გათვალისწინებული;
- გასაჩივრების მექანიზმს – უზრუნველყოფილია საჩივრების მიუკერძოებელი და ეფექტიანი განხილვის სისტემა (გვ. 3);
- გამოხატვის, შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლებას – მოსწავლეს აქვს უფლება თავისუფლად გამოხატოს აზრი და ჩაერთოს სასკოლო აქტივობებში;
- პირადი ცხოვრების დაცვასა და პერსონალური მონაცემების უსაფრთხოებას;
- რწმენის თავისუფლებასა და ძალადობის დაუშვებლობას.

სკოლა ვალდებულია, გააცნოს აღნიშნული უფლებები ახალ მოსწავლეებსა და მშობლებს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას

სსიპ - სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ნოსირის საჯარო სკოლის დირექტორის 2025 წლის №2-82 ბრძანებით დამტკიცებულია „მოსწავლის ინიციატივების მხარდამჭერი მექანიზმი“, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას და დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებას. დოკუმენტის მიხედვით, მოსწავლეებს აქვთ უფლება თავისუფლად გამოხატონ საკუთარი იდეები და ინიციატივები, როგორც ინდივიდუალურად, ისე ჯგუფურად, და ჩაერთონ მათი განხილვის პროცესში. ინიციატივების წარდგენა შესაძლებელია თვითმმართველობის, კლასის დამრიგებლისა და დირექციის საშუალებით, რაც უზრუნველყოფს მრავალარხიან და ხელმისაწვდომ სისტემას. დამტკიცებული წესის მიხედვით:

- შესაძლებელია სპეციალური სამუშაო და მონიტორინგის ჯგუფების შექმნა ინიციატივების განხილვისა და განხორციელებისთვის;
- სკოლა უფლებამოსილია მოახდინოს ფინანსური და მატერიალური რესურსების მობილიზება;
- უზრუნველყოფილია შესაბამისი სამუშაო სივრცისა და საინფორმაციო მხარდაჭერის ორგანიზება.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

6. **მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას**

სკოლის მოსწავლეებთან, მშობლებთან და დირექციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ მოსწავლეებს და მშობლებს შესაძლებლობა აქვთ, სკოლის დირექციას, მასწავლებლებს წარუდგინონ მოსაზრებები მოსწავლეთა მომსახურების გაუმჯობესების თაობაზე. მოსწავლეთა კანონიერ წარმომადგენლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ დადებითად აფასებენ სკოლის მიერ გაწეულ მომსახურებას, არ გამოკვეთილა კონკრეტული საკითხი/პრობლემა, რომლის გადაჭრის სურვილითაც მიუმართავთ სკოლისათვის.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ - სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ნოსირის საჯარო სკოლის დირექტორის 2025 წლის 31 დეკემბრის №2-81 ბრძანებით დამტკიცებული „სკოლის მოსწავლის გარემოსთან ადაპტაციის მექანიზმები“;
- სსიპ - სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ნოსირის საჯარო სკოლის დირექტორის 2025 წლის №2-82 ბრძანებით დამტკიცებული „მოსწავლის ინიციატივების მხარდამჭერი მექანიზმი“.

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის**

მოსწავლეებთან გასაუბრების შედეგად იკვეთება არგუმენტირებული გადაწყვეტილება კარიერის დაგეგმვის და პროფესიული ორიენტაციის მიმართულებით. მოსწავლეებმა ისაუბრეს სასწავლო დაწესებულებებში განხორციელებულ ვიზიტებზე, რომლის ფარგლებშიც შესაძლებლობა ჰქონდათ, გაცნობოდნენ საგანმანათლებლო პროგრამებს და მიეღოთ ამომოწურავი ინფორმაცია სწავლის პირობების შესახებ.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით**

სკოლის მოსწავლეებთან და მოსწავლეთა კანონიერ წარმომადგენლებთან/მშობლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ აქვთ ინფორმაცია შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით. გასაუბრებაზე აღინიშნა საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლებთან შეხვედრების შესახებ, რომლის ფარგლებშიც მოსწავლეებს მიეწოდათ ინფორმაცია საფეხურის დასრულების შემდეგ კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. **სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს**

სკოლაში არის პოზიტიური, თანამშრომლობაზე ორიენტირებული ატმოსფერო. სკოლის პერსონალს მოსწავლეებთან და მშობლებთან აქვთ ხშირი კომუნიკაციის შესაძლებლობა. სკოლა უზრუნველყოფს მათ გამოკითხვას მოსაზრებების შესწავლის მიზნით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- 2025-2026 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი**

სკოლაში შემუშავებულია სსსმ მოსწავლეთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაცია, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით და არეგულირებს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის პროცესს (სსიპ - სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ნოსირის საჯარო სკოლის 2025 წლის 31 დეკემბრის №2-83 ბრძანება „სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაციის დამტკიცების შესახებ“).
მექანიზმი მოიცავს სტატუსის იდენტიფიცირებისა და მინიჭების დეტალურ პროცედურებს. პირველ კლასში ჩარიცხვისას და შემდგომ ეტაპებზეც განსაზღვრულია მშობლის, სკოლისა და მულტიდისციპლინური გუნდის ჩართულობით შეფასების პროცესი, რაც უზრუნველყოფს საჭიროებების დროულ და ობიექტურ გამოვლენას.
დოკუმენტი ასევე განსაზღვრავს ინდივიდუალური სასწავლო გეგმების (ისგ) შემუშავებისა და განხორციელების მექანიზმს:

- იქმნება სპეციალური ისგ ჯგუფი დირექტორის აქტის საფუძველზე;
- გეგმა მუშავდება განსაზღვრულ ვადაში და მოიცავს მოკლე და გრძელვადიან მიზნებს;
- მიმდინარეობს რეგულარული მონიტორინგი და შეფასება;
- უზრუნველყოფილია მშობელთან აქტიური კომუნიკაცია.

მექანიზმი ასევე ითვალისწინებს:

- სსსმ სტატუსის მოხსნის რეგულირებულ პროცედურას პროგრესის შემთხვევაში;
- სპეციალური საგანმანათლებლო გარემოს შექმნას და რესურსების მობილიზებას;
- შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის (სპეციალური მასწავლებელი და სხვა სპეციალისტები) შერჩევას კანონმდებლობით დადგენილი წესით;
- მოსწავლის აქტიურ ჩართულობას როგორც საგაკვეთილო, ისე სასკოლო აქტივობებში.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კონფიდენციალობის დაცვის მექანიზმები, რომლებიც ზღუდავს პერსონალურ მონაცემებზე წვდომას და უზრუნველყოფს ეთიკურ სტანდარტებს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. **სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს**

სკოლაში სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება მრავალმხრივი ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის (ისგ) განხორციელება უზრუნველყოფილია ჯგუფის მუშაობით, რომელშიც მონაწილეობენ საგნის მასწავლებლები, კლასის დამრიგებელი, სპეციალური მასწავლებელი და ადმინისტრაცია. აღნიშნული ჯგუფი ერთობლივად გეგმავს, ახორციელებს და აფასებს მოსწავლის განვითარებას. ასევე,

უზრუნველყოფილია მშობლის ჩართულობა, რეგულარული კომუნიკაცია მოსწავლის პროგრესის შესახებ, შეხვედრები საჭიროებებისა და სირთულეების განსახილველად და გადაწყვეტილებების მიღებაში მონაწილეობა. ისგ ჯგუფი ვალდებულია, უზრუნველყოს მოსწავლის აქტიური ჩართულობა როგორც საგაკვეთილო, ისე სასკოლო აქტივობებში და მიღწევები გაუზიაროს სასკოლო საზოგადოებას, რაც აძლიერებს თანამშრომლობით გარემოს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ - სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ნოსირის საჯარო სკოლის 2025 წლის 31 დეკემბრის №2-83 ბრძანებით დამტკიცებული „სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაცია“;
- მოსწავლეთა ინდივიდუალური სასწავლო გეგმები;
- სპეციალური მასწავლებლის პორთფოლიო.

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

2025-2026 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმით სკოლას გათვალისწინებული აქვს ნებაყოფლობითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების სახით სასკოლო წრეები: ქართული ენისა და ლიტერატურის მკითხველთა კლუბი „მწიგნობარი“, ინგლისური ენის წრე - “Little stars.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას**

სკოლა უზრუნველყოფს დამატებითი, არასავალდებულო მომსახურებების (ქართული ენისა და ლიტერატურის მკითხველთა კლუბი „მწიგნობარი“, ინგლისური ენის წრე - “Little stars) შეთავაზებას ნებაყოფლობითობის პრინციპის დაცვით, რაც გულისხმობს მოსწავლეთა თავისუფალ არჩევანსა და ჩართულობას მოსწავლეთა მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების თანხმობით.
შეთავაზებული წრეები ემსახურება მოსწავლეთა მრავალმხრივ განვითარებას - როგორც აკადემიური, ისე შემოქმედებითი უნარების გაძლიერებას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. **შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს**

შემოთავაზებული წრეები ორგანიზებულია უსაფრთხო გარემოში და მიმართულია მოსწავლის საუკეთესო ინტერესების დაცვასა და მისი ჰოლისტური განვითარების ხელშეწყობაზე. **შესაბამისობაშია ინდიკატორის მოთხოვნასთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- 2025-2026 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა.

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი
ცხრილი ივსება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი **ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა**	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი **ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა**	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი **ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა**	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება

	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის იწერება გაერთიანებული სახით. ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის იდენტიფიცირება ხდება, მაშინ როდესაც იწერება ხარვეზი/რეკომენდაცია/რჩევა.

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას**

ვიზიტის დროს მასწავლებლებთან გასაუბრებისას და ასევე კურიკულუმის მეთოდოლოგიის მიხედვით ნათელია, რომ სკოლას გათვალისწინებული აქვს სასკოლო საზოგადოების ინტერესები, შეხედულებები, შესაძლებლობები და პრიორიტეტები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. **კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები**

სასკოლო კურიკულუმში სკოლას ასახული აქვს თუ რა ინტერესი, შეხედულებები, საჭიროებები, შესაძლებლობები აქვთ სასკოლო საზოგადოების თითოეულ წევრს, მოსწავლეთა, მასწავლებელთა უკუკავშირი, მიგნებები, რეფლექსიები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. **კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

ვიზიტის პერიოდში მასწავლებლებთან გასაუბრებისას ცალსახად გამოიკვეთა კურიკულუმის შემუშაავებაში სასკოლო საზოგადოების აქტიური ჩართულობა. ნათელია, რომ კურიკულუმის შექმნაში მონაწილეობდა სკოლის ყველა მასწავლებელი, სკოლის დირექცია, მშობლები. სკოლამ აღნიშნა, რომ სასწავკოლო საზოგაედოების საზოგადოების ჩართულობა იყო მნიშვნელოვანი, რათა მაქსიმალურად ყოფილოყო გათვალისწინებული მოსწავლეთა ინტერესები. ამის უზრუნველსაყოფად ყველა კლასის დონეზე მოეწყო მშობლებთან შეხვედრები, და მშობელთა უკუკავშირები გათვალისწინებულია კურიკულუმის შემუშავების პროცესში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. **კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**
   სკოლაში ყველა მასწავლებელი იზიარებს კურიკულუმის ზოგად ჩარჩოს, შეთანხმებულნი არიან შეფასების მოდელთან რომელიც ითვალისწინებს განმსაზღვრელი შეფასების დაწერას საკლასო საშინაო და შემაჯამებელ სამუშაოებში სკოლის ყველა მასწავლებელს გათავისებული აქვს ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია
- კურიკულუმები

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. საბუნებისმეტყველო საგნების , სამივე საფეხურის კურიკულუმები (ბუნება, ბიოლოგია, ქიმია ფიზიკა) მოსწავლეზე ორიენტირებული და თანმიმდევრულად დაგეგმილია. გაწერილი თემები მორგებულია მათ შესაძლებლობებსა და ინტერესებზე. რჩევა: სასურველია კათედრამ, დაგეგმვისას, შეიმუშაოს კურიკულუმის საერთო ჩარჩო.

	ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი მეცნიერების კათედრის წევრების მიერ, სამივე საფეხურზე- მე და საზოგადოება, ჩვენი საქართველო, ისტორია, საქართველოს ისტორია, გეოგრაფია, მოქალაქეობის საგნებში შემუშავებული კურიკულუმები მოსწავლეზე ორიენტირებულია და გათვალისწინებულია ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტის ინდიკატორები. თითოეული საგნის სამიზნე ცნებები და მკვიდრი წარმოდგენები მოსწავლის განვითარებას უწყობს ხელს. კურიკულუმების შემუშავებისას სკოლა ითვალისწინებს მოსწავლის ინტერესებს, შესაძლებლობებს, საჭიროებებს. აძლევს არჩევანის საშუალებას, ზოგჯერ სთავაზობს შემოქმედებითი დავალების რამდენიმე ვარიანტს, მოსწავლეებს შეუძლიათ თვითონ გადაწყვიტონ კომპლექსური დავალების ფარგლებში მატერიალური სახით წარმოადგენენ თუ ელექტონული სახით პროდუქტს. ეს პროცესები იწვევს მოსწავლეებში მოტივაციის ამაღლებას და აქტიურ ჩართვას სწავლა-სწავლების პროცესში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
უცხოური ენები	უცხოური ენების ლურიკულუმებში ასახულია სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და განვითარებისათვის მნიშვნელოვანი კომპონენტები, მათ შორის თემები, სამიზნე ცნებები, კომპლექსური ტიპის დავალებები და შესაბამისი სასწავლო რესურსები. კურიკულუმების სტრუქტურა უზრუნველყოფს ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან თანხვედრას, სწავლა-სწავლების პროცესის მიზანმიმართულ დაგეგმვას და მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომის რეალიზებას. წარმოდგენილი შინაარსები ქმნის საფუძველს იმისათვის, რომ სასწავლო პროცესი წარიმართოს მოსწავლეთა ასაკობრივი და განვითარების თავისებურებების, წინარე ცოდნისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით, რაც ხელს უწყობს ეფექტურ სწავლებას, მაქსიმალურ ჩართულობასა და სასწავლო შედეგების მიღწევას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ესთეტიკური აღზრდა	სკოლის მიერ შემუშავებული დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის კურიკულუმები მუსიკასა და ხელოვნებაში, არის მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლის დაგეგმვის და განვითარების მოდელი, რომელიც ხელს უწყობს ბავშვების აქტიურს ჩართვას შემოქმედებით,

	დამოუკიდებელ, ანალიტიკურ და პრაქტიკულ საქმიანობაში. მუშავდება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სავალდებულო სასწავლო თემები და მოსწავლეები ქმნიან შემოქმედებით პროდუქტებს , რომლის დროსაც ივითარებენ სასწავლო-შემოქმედებით უნარებს. საგნობრივ კურიკულუმებში და ინდივიდუალურ სასწავლო გეგმები მიმართულია საფეხურის ფარგლებში საგნის გრძელვადიან მიზნებზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	ზოგასდაგანმანათლებლო დაწესებულებამ წარმოადგინა ქართული ენისა და ლიტერატურის სამივე საფეხურის კურიკულუმები. კურიკულუმებში გათვალისწინებულია სწავლების კონტრუქტივისტულ პრინციპები, სავალდებულო თემები, გრძელვადიანი და შუალედური მიზანი. გადმოგზავნილი დოკუმენტაციით (კურიკულუმები, შეფასების რუბრიკები, მასწავლებლის რეფლექსია, მოსწავლეთა ნამუშევრები, საწრეო მუშაობისა და პროექტული სწავლების ამსახველი მასალა) დგინდება, რომ კურიკულუმები ორიენტირებულია მოსწავლეზე, შემოქმედებითი დავალებები უზრუნველყოფს ცოდნის სამი კატეგორიის (დეკლარატიულის, პროცედურულის, პირობისეული) გამოყენებას, მაღალი სააზროვნო უნარების განვითარებასა და გრძელვადიანი მიზნების მიღწევას. **რჩევა:** 1-ელ, მე-2, მე-4 და მე-12 კლასის კურიკულუმის ჩარჩოში წაიშალოს გრაფა „საკითხთა კლასტერი“, რადგან ეს მოცემულობა საგანში, ქართულ ენა და ლიტერატურა, არ არის. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
მათემატიკა	წარმოდგენილი კურიკულუმები ასახავს მოსწავლეზე ორიენტირებულ მიდგომებს. წარმოდგენილია კომპლექსური დავალებები, რომლებიც მიემართება მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვასა და განვითარებას. კურიკულუმში მოცემული მრავალფეროვანი აქტივობები და სასწავლო რესურსები, ხელს უწყობს მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას სასწავლო პროცესში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

სპორტი	შემუშავებული კურიკულუმები (სამივე საფეხურისთვის), დაფუძნებულია მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმასა და საგნობრივი სტანდარტის მოთხოვნებზე. მათში შეტანილი სასწავლო თემები, ითვალისწინებს მოსწავლის ინტერესებს, მათ საჭიროებებს და მორგებულია სკოლის შესაძლებლობებზე. წარმოდგენილი კურიკულუმებით სასწავლო პროცესის წარმართვა, ხელს შეუწყობს მოზარდის ფიზიკურად განვითარებასა და მათ გაყვანას საფეხურებრივი სტანდარტის შესაბამის მოსალოდნელ შედეგზე. ინტერვიუს დროს პედაგოგებმა მიიღეს რჩევა, რომელსაც გაითვალისწინებენ სამომავლოდ. რჩევა: სამომავლოდ სასურველი იქნებოდა, რომ სამივე საფეხურზე კურიკულუმში, შეტანილი იყოს თემები თეორიული მიმართულებითაც **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ტექნოლოგიები	კომპიუტერული ტექნოლოგიების მასწავლებლის მიერ (II-VI კლასის) ჩათვლით შემუშავებული და წარმოდგენილი კურიკულუმების ჩარჩო ცხადყოფს, რომ სასწავლო პროცესი სრულად არის ორიენტირებული ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული გრძელვადიანი მიზნებისა და სამიზნე ცნებების რეალიზებაზე. დოკუმენტებში მკაფიოდ არის გამოკვეთილი შინაარსობრივი უწყვეტობა და ცოდნის კონსტრუირების სპირალური პრინციპი, სადაც ყოველი მომდევნო საფეხური ეყრდნობა წინა კლასებში შეძენილ ცოდნას და აღრმავებს მას. კურიკულუმის მიმართება სტანდარტთან დასტურდება სამიზნე ცნებების სისტემური დამუშავებით. პროცესის მიზანმიმართულობას განაპირობებს კომპლექსური დავალებების მეთოდოლოგია, რომელიც თითოეული თემის განუყოფელი ნაწილია. დავალებები სტრუქტურირებულია ისე, რომ მოსწავლემ შეძლოს თეორიული ცოდნის ტრანსფერი პრაქტიკულ საქმიანობაში, რაც ეროვნული სასწავლო გეგმის უმთავრეს მოთხოვნას წარმოადგენს. **რჩევა:** კურიკულუმების კიდევ უფრო მეტი სრულყოფისთვის, სასურველია **ძირითადი კონტექსტ-მაგალითების** გრაფაში სადაც მაგალითების ნაცვლად, აღწერილია აქტივობები, ჩანაცვლდეს სიტუაციური სცენარით: მაგალითად: მე-4 კლასის კურიკულუმში სადაც წერია (პროგრამის შექმნის პროცესის გაანალიზება code.org პლატფორმის გამოყენებით კონკრეტული დავალებების შესრულება), სასურველია ეწეროს: „რობოტი-მხატვრისთვის ისეთი ინსტრუქციის (ალგორითმის) მომზადება, რომელიც ციკლების გამოყენებით

	ავტომატურად დახატავს სახლს ან სხვა გეომეტრიულ ფიგურას“. ასეთი ფორმულირება დაეხმარება მოსწავლეს, ტექნიკური ამოცანა აღიქვას როგორც რეალური გამოწვევა, რაც მნიშვნელოვნად გაზრდის მის მოტივაციასა და ჩართულობას სასწავლო პროცესში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებითი კათედრის მიერ შემუშავებული საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩო წარმოადგენს მესამე თაობის ესგ-ს სტანდარტის მოთხოვნათა რეალიზების გზებსა და საშუალებებს, მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარებისათვის. კურიკულუმის ჩარჩო ორიენტირებულია სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაზე, კურიკულუმებში გაწერილია თემები საგნობრივი სტანდარტების მიხედვით. (გარდა ბუნებისმეტყველების IVკლასის კურიკულუმისა).შუალედურ მიზნებად მოაზრებულია შემოქმედებითი დავალებები, შემუშავებულია მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების, ცოდნის, საჭიროებების გათვალისწინებით, პედაგოგებმა გასაუბრებაზე დაგვიდასტურეს აღნიშნული. **რჩევა: ბუნებისმეტყველების** IV კლასის კურიკულუმში სასწავლო თემები გაიწეროს სტანდარტის მიხედვით. **ინდიკატორის დაკმაყოფილებულია**

2. **კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	კურიკულუმებში განსაზღვრულია თემები, საკითხები, ქვესაკითხები , რის საფუძველზეც მუშავდება ეროვნული სასწავლო გეგმის გრძელვადიანი მიზნები. ასევე განხორციელებული შემოქმედებითი დავალებები გვაჩვენებს მასწავლებელთა მიერ კვლევის, კრიტიკული აზროვნების, თანამრომლობისა ტრანსფერის უნარების განვითარებისკენ მიმართულ სასწავლო პროცესსს. რჩევა: დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე სასურველია დავალებების მრავალფეროვნება,რომელიც მეტად შეუწყობს ხელს სააზროვნო უნარების

	განვითარებას, დამოკიდებულებების ჩამოყალიბებას, რომელიც გაზომვადი იქნება სასკოლო აქტივობების განხორციელებისას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	კათედრის მიერ შედგენილი კურიკულუმები მოიცავს ყველა აუცილებელ კომპონენტს. შედგენილია მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის და საგნობრივი სტანდარტების მიხედვით. ჩანს რომ თვითოეული თემის ფარგლებში მუშავდება ყველა სამიზნე ცნება. ასევე ჩანს თემის ფარგლებში შესასწავლი საკითხები, კონტექსტ მაგალითები და რესურსები (გრიფირებული სახელმძღვანელოები, ელექტრონული ლინკები). ნათლად არის გამოკვეთილი შემოქმედებითი დავალების მიზანი და პროდუქტი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
უცხოური ენები	წარმოდგენილი სასკოლო და საგნობრივი კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს და უზრუნველყოფს მათთან შინაარსობრივ შესაბამისობას. კურიკულუმებში ასახულია საგნობრივი სტანდარტების შესაბამისი შედეგები, სამიზნე ცნებები, თემები და აქტივობები, რაც ქმნის საფუძველს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული მიზნების, პრიორიტეტული მიმართულებებისა და საგნობრივი კომპეტენციების მიღწევისთვის. ამასთანავე, სკოლის მიერ წარმოდგენილი დამატებითი საგანმანათლებლო აქტივობები, მათ შორის ინგლისური ენის მოყვარულთა წრე **„Little Stars“** და პროექტებზე დაფუძნებული მუშაობა, კიდევ უფრო აძლიერებს კურიკულუმის მიზნობრივობას და ადასტურებს, რომ სასწავლო პროცესი არ შემოიფარგლება მხოლოდ საკლასო სწავლებით, არამედ ემსახურება მოსწავლეთა მრავალმხრივ განვითარებას, ინტერესების გაღრმავებასა და პრაქტიკული უნარების ჩამოყალიბებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ესთეტიკური აღზრდა	კურიკულუმები სრულად შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნებს და ხელს უწყობს მოსწავლის კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების განვითარებას. ასევე აძლიერებს ინდივიდუალურ ზრდას და სოციალურ კომპეტენციას სხვადასხვა აქტივობით, როგორებიცაა: მუსიკალური და ვიზუალური ხელოვნების შექმნა, ინტერპრეტაცია,

	პრეზენტაციები, გამოცდილებების გაზიარება და გუნდური პროექტები. მუსიკისა და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კურიკულუმები მიზნად ისახავს ემოციური ინტელექტის, შემოქმედებითი უნარების, ვიზუალური აზროვნებისა და სმენითი აღქმის განვითარებას, ასევე ესთეტიკური გემოვნებისა და კულტურული იდენტობის ჩამოყალიბებას. ეს ყველაფერი ეროვნულ საგანმანათლებლო ღირებულებებთან მკაფიო შესაბამისობაშია. გარდა ამისა, გამოყენებულია ინტეგრირებული მიდგომაც, რომელიც უზრუნველყოფს მრავალმხრივ და ყოვლისმომცველ სწავლებას ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.
სახელმწიფო ენა	კათედრის მიერ წარმოდგენილი ქართული ენისა და ლიტერატურის კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. წარმოდგენილი კურიკულუმებით, ინდივიდუალური სასწავლო გეგმით, შეფასების რუბრიკებით, მოსწავლეთა ნამუშევრებით და ასევე, კათედრის წევრებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ სწავლება იგეგმება და ხორციელდება ეროვნული სასწავლო გეგმიას გათვალისწინებით. კათდრაზე ფუნქციონირებს მკითხველთა წრე „მწიგნობარი“. წრის მუშაობა და მიზნები თანხვედრაშია ქართული ენისა და ლიტერატურის სტანდარტთან. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
მათემატიკა	წარმოდგენილი კურიკულუმები მიემართება ე.ს.გ_ში განსაზღვრულ გრძელვადიან და შუალედურ მიზნებს. თემის ფარგლებში სამივე საფეხურზე მუშავდება ყველა სამიზნე ცნება, ხდება შუალედური მიზნების შემოქმედებითი ტიპის დავალებებით დამუშავება. კურიკულუმის ჩარჩოთი დგინდება, რომ პედაგოგები სხვადასხვა საკითხების სწავლებისას იყენებენ დამატებით სასწავლო ელექტრონულ და მატერიალურ რესურსებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სპორტი	სკოლის მიერ შემუშავებული კურიკულუმები მიემართება მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმას. აგებულია საგნის სამიზნე ცნებებსა და საფეხურის ბოლოს მისაღწევ შედეგზე. მასში შეტანილია სასწავლო თემები სტანდარტით შეთავაზებული თემატური ბლოკებიდან. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

ტექნოლოგიები	წარმოდგენილი კურიკულუმების (II-VI კლასები) ანალიზი ცხადყოფს, რომ სასწავლო პროცესი სრულ თანხვედრაშია მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან. პედაგოგს კარგად აქვს გააზრებული საგნის სწავლების გრძელვადიანი მიზნები, რაც აისახება კომპლექსური დავალებების შინაარსსა და მათ მრავალფეროვნებაში. ინტერვიუში მასწავლებელმა აღწერა კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის პროცესი და ეტაპები. კომპლექსური დავალებების დაგეგმვისას ითვალისწინებს სამიზნე ცნებებსა და მკვიდრ წარმოდგენებს, შეფასების კრიტერიუმებიც მათთან თანხვედრაშია. კურიკულუმი სისტემურად ფარავს სტანდარტით განსაზღვრულ სამივე სავალდებულო მიმართულებას და ყველა სამიზნე ცნებას. დავალებები და თანამედროვე ციფრული ინსტრუმენტების გამოყენება ხელს უწყობს არა მხოლოდ ტექნიკური უნარების დაუფლებას, არამედ კრიტიკული აზროვნებისა და შემოქმედებითი პოტენციალის რეალიზებას, რაც სრულად პასუხობს ეროვნული სასწავლო გეგმის მთავარ პრინციპებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში არის გააზრებული კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს, ქვეცნებებსა და საგნობრივ საკითხებს შორის. მასწავლებლებმა სავალდებულო თემების მიხედვით განსაზღვრეს გრძელვადიანი მიზნები - სამიზნე ცნებები, შუალედური სასწავლო მიზნები გაწერილი აქვთ კურიკულუმში შემოქმედებითი ტიპის დავალების სახით. უნდა აღინიშნოს, რომ I- IV კლასებში სამიზნე ცნებები, ქვეცნებები, საკითხები, შემოქმედებითი ტიპის დავალების პირობები ერთმანეთთანაა დაკავშირებული, ჩანს თუ რომელი გრძელვადიანი მიზნების დამუშავებაა შესაძლებელი ამა თუ იმ დავალებით; **ინდიკატორის დაკმაყოფილებულია**

3. **კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საგნობრივ კურიკულუმებში ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული თემების დასამუშავებლად ძირითად რესურსად გამოყენებულია გრიფირებული სახელმძღვანელოები, წიგნში განსაზღვრული საკითხები, რაზეც არის აგებული კურიკულუმი, მაგრამ ასევე შემოტანილია დამხმარე რესურსები, რომელიც კურიკულუმებში ლინკების სახითაა ჩაშენებული, მოიცავს ვიზუალურ მასალას სასწავლო თემასთან და საკითხთან ბმაში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის ყველა საგნის კურიკულუმში არის მითითებული გრიფირებულ სახელმძღვანელოებთან ერთად, მრავალფეროვანი ელექტრონული რესურსი, რომელიც შესაბამისობაშია საგნის სტანდართან, თემასთან, საკითხთან, მოსწავლეთა ინტერესებთან. ზრდის სწავლების მოტივაციას და ხელს უწყობს მიზნის მიღწევას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
უცხოური ენები	წარმოდგენილ უცხოური ენების კურიკულუმებში ასახულია რესურსები, მათ შორის როგორც ძირითადი საგანმანათლებლო რესურსი — გრიფირებული სახელმძღვანელოები, ისე დამატებითი ციფრული რესურსები. წარმოდგენილი რესურსების შემოწმების შედეგად იკვეთება მათი მიზნობრივი და შინაარსობრივად შესაბამისი გამოყენება, რაც ემსახურება თემების, საკითხების, სამიზნე ცნებებისა და სწავლის შედეგების მიღწევას. კურიკულუმებში მითითებული რესურსები შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს და ქმნის საფუძველს ეფექტური სასწავლო პროცესის წარმართვისთვის. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ესთეტიკური აღზრდა	საგნობრივი კურიკულუმები, მოსწავლების ინტერესების, შემოქმედებითი აზროვნების და უნარების განვითარების ხელშეწყობის მიზნით, ასახავს ვიზუალურ, აუდიო და ციფრულ რესურსებს, როგორებიცაა: ნოტები, ჩანაწერები, წიგნები, ალბომები, ილუსტრაციები, ვიდეო მასალა, სხვა აუდიო-ვიზუალური შინაარსი, პრაქტიკული დავალებები და ონლაინ რესურსები. მასწავლებლები ფლობენ საჭირო ცოდნას თანამედროვე რესურსების

	ინტეგრირების და მათი პედაგოგიური გამოყენების მიზნით. ძირითადი სასწავლო რესურსი არის შეთანხმებული, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ გრიფირებული ან მასთან კანონმდებლობით დადგენილი წესით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	ქართული ენისა და ლიტერატურის კურიკულუმის განხორციელებისას იყენებენ გრიფირებულ სახელმძღვანელოებს, დამხმარე სახელმძღვანელოებსა და ელექტრონულ რესურსებს. რესურსებს კათედრაზე არჩევენ და ამტკიცებენ. გრიფირებულ სახელმძღვანელოებთან ერთად კურიკულუმებში ჩაშენებულია დანხმარე სახელმძღვანელოები და ელექტრონული მასალა, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლის მიერ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სწავლების შედეგების მიღწევას. გასაუბრებისას კათედრის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ ყველა კლასში სწავლებისას აქტიურად იყენებენ დანხმარე რესურსებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
მათემატიკა	წარმოდგენილი კურიკულუმების მიხედვით კათედრა ძირითად რესურსად იყენებს გრიფირებულ სახელმძღვანელოს, რაც უზრუნველყოფს საგნობრივი მიზნების მიღწევას. დამატებით წარმოდგენილია დამხმარე ელექტრონული რესურსები, რომლებიც შერჩეულია მიზნობრივად და უწყობს ხელს ეფექტურად სასწავლო შედეგების მიღწევას. სკოლას ასევე აქვს ინტერაქტიული დაფა, რომელსაც აქტიურად იყენებენ სხვადასხვა გრაფიკული მოდელებისთვის. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სპორტი	სასწავლო პროცესის დაგეგმვისას პედაგოგები ცდილობენ შეიტანონ ისეთი სასწავლო თემები, რომელთა განხორციელებასაც შეძლებენ სკოლაში არსებული, მატერიალ;ური რესურსით - ინფრასტრუქტურითა და სპორტული ინვენტარით.. სასწავლო პროცესში იყენებენ მასწავლებლის დამხმარე გზამკვლევებს სპორტის სხვადსხვა სახეობების მიხედვით,

	მასწავლებლის წიგნს დაწყებითი საფეხურისათვის. ასევე ციფრულ რესურსად წარმოდგენილია ვიდეორგოლები ზოგადგანმავითარებელი ვარჯიშებით. საგანმანათლებლო რესურსები უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ტექნოლოგიები	წარმოდგენილი კურიკულუმების შესწავლა ცხადყოფს, რომ მასწავლებელი აქტიურად იყენებს სასწავლო რესურს **school.emis.ge,** სადაც მოსწავლეებისთვის საინტერესო და სახალისო დავალებებია მოცემული. სასწავლო პროცესში ასევე ჩართულია ისეთი პროგრამები და პლატფორმები, როგორიცაა **PAINT 3D, Scratch.mit.edu, Code.org**, **Tinker Card**, რაც პროგრამირების და დიზაინის სწავლის პროცესს ბავშვებისთვის უფრო გასაგებს ხდის. ამასთანავე, კურიკულუმი ითვალისწინებს მუშაობას საოფისე პროგრამებში (Word, PowerPoint, Excel), რაც მოსწავლეებს პრაქტიკული უნარების განვითარებაში ეხმარება. ყველა ეს რესურსი მორგებულია ბავშვების ასაკსა და ინტერესებს, სასწავლო პროცესში გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი სრულად პასუხობს ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტს. შერჩეული რესურსები ნამდვილად ეხმარება მოსწავლეებს სწავლის შედეგების მიღწევაში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სასკოლო კურიკულუმებში წარმოდგენილი აქვთ როგორც ძირითადი სასწავლო სახელმძღვანელოები და რვეული, ასევე დამატებითი რესურსები, მაორგანიზებელი სქემები, ელ. რესურსები. წარმოდგენილი რესურსები კურიკულუმში გაწერილი მიზნების მიღწევისთვის სარწმუნო საშუალებაა. **ინდიკატორის დაკმაყოფილებულია.**

4. სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	კათედრას აქვს წარმოდგენილი ინდივიდუალური გეგმები, რაც ხელს უწყობს განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვების ჩართულობას საგაკვეთილო პროცესში. სკოლის თვითშეფასების ფორმისა და პედაგოგებთან ინტერვიუს შედეგად, ნათელია, რომ სკოლა სამივე საფეხურზე უზრუნველყოფს სასწავლო პროცესში დიფერენცირებულ და ინკლუზიური მიდგომებს. რჩევა: სასურველია, პედაგოგებმა კურიკულუმშიც შეიტანონ ის მრავალფეროვანი დავალება სამივე საფეხურზე, რომლებსაც ახორციელებენ გაკვეთილზე, როგორც პრაქტიკული, ისე თეორიული სწავლების დროს, ისე, რომ კურიკულუმშიც ჩანდეს დავალებების, აქტივობების დიფერენცირება, რომელიც მორგებული იქნება მოსწავლის ინტერესსა და შესაძლებლობებზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლა, სასწავლო პროცესში ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს , თითეული მოსწავლის საჭიროებებს, უნარებს და შესაძლებლობებს. კათედრაზე შემუშავებული საგნობრივი კურიკულუმი მორგებულია დიფერენცირებული სწავლების მიდგომებზე. მასწავლებლების მიერ გეგმაში გაწერილია სხვადასხვა ბავშვის შესაძლებლობისა და საჭიროების მოთხოვნების შესაბამისი მატრიცები. სამივე საფეხურზე სკოლას, სსსმ მოსწავლეებისათვის შედგენილი აქვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმები , სადაც გამარტივებული და ადვილად მისაღწევი მოკლევადიანი, შუალედური და გრძელვადიანი მიზნებია გაწერილი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
უცხოური ენები	სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია ადასტურებს, რომ სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს. წარმოდგენილია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რაც მოწმობს, რომ სკოლა ზრუნავს მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებაზე. ამასთანავე, კურიკულუმებში ასახულია მრავალფეროვანი ტიპის დავალებები და სხვადასხვა რესურსის გამოყენება, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა შესაძლებლობებზე მორგებულ სასწავლო პროცესს.

	რჩევა: სასურველია საგნობრივ კურიკულუმებში უფრო მკაფიოდ და სისტემურად იყოს წარმოდგენილი ერთსა და იმავე ცნებაზე/ცნებებზე მორგებულ დავალებათა მრავალფეროვნება, რაც კიდევ უფრო გააძლიერებს დიფერენცირებული და ინკლუზიური სწავლების პრაქტიკულ ასახვას კურიკულუმის დონეზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ესთეტიკური აღზრდა	საგანმანათლებლო პროცესი ინკლუზიურობის პრინციპზეა დაფუძნებული და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს, განსაკუთრებით, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთა კონტინგენტის მიმართ. შეფასების მექანიზმები, სასწავლო აქტივობები და პედაგოგიური რესურსები მორგებულია ინდივიდუალურ შესაძლებლობებსა და განსხვავებულ საჭიროებებს. მასწავლებლები სსსმ მოსწავლეებისთვის ადგენენ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს, რომლის ფარგლებშიც, შემოქმედებითი ტიპის დავალებების შერჩევისას, მაქსიმალურად ხდება მოსწავლეთა შესაძლებლობების და ინტერესების გათვალისწინება. მოსწავლეებს ეძლევათ შესაძლებლობა, სხვადასხვა შემოქმედებითი გზით გამოხატონ საკუთარი კომპეტენციები. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სახელმწიფო ენა	სსსმ მოსწავლეების საჭიროებებისა და შესაძლებლობის შესაბამისად იგეგმება სასწავლო პროცესი. მასწავლებლები ქმნიან უსაფრთხო და ინკლუზიურ გარემოს, თანამშრომლობენ სპეციალურ მასწავლებელთან. სსსმ მოსწავლეს მასზე მორგებულ ადაპტირებულ დავალებებს სთავზობენ, რითაც გადიან დასახულ შედეგზე. გასაუბრებისას კთედრის წარმომადგენელმა ისაუბრა, სსსმ მოსწავლის ძლიერ მხარეებს როგორ იყენებს და აქტურად რათავს მოსწავლეს სასწავლო პროცესში. მაგ.: მოსწავლე მონაწილეობს შემოქმედებითი რესურსის შექმნისას (ხატავს), ჩართულია როლურ თამაშში. აქედან გამომდინარე დგინდება,

	რომ სასწავლო პროცესში გათვალისწინებულია ინკლუზიური და დიფერენცირებული მიდგომები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
მათემატიკა	კურიკულუმებში წარმოდგენილი გრძელვადიანი და შუალედური მიზნები, თემები და შემოქმედებითი დავალებები უზრუნველყოფს დიფერენცირებულ სასწავლო გარემოს. დოკუმენტაციისა და ინტერვიურების ანალიზი ცხადყოფს, რომ სასწავლო პროცესის დაგეგმვა ეფუძნება მოსწავლეთა ინტერესებს, შესაძლებლობებსა და საჭიროებებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სპორტი	პედაგოგებთან საუბრიდან ნათელია, რომ ისინი ცდილობენ სასწავლო პროცესები მოარგონ მოსწავლეთა საჭიროებებს, ინტერესებს და ფიზიკურ შესძლებლობებს, გაითვალისწინონ ნებისმიერი მოსწავლის ინტერესი. თუმცა, როგორც პედაგოგმა აღნიშნა საუბრისას, სკოლის სსსმ მოსწავლე, შესაბამისი კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე არ საჭიროებენ ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ტექნოლოგიები	წარმოდგენილი კურიკულუმების გაცნობისა და მასწავლებელთან გასაუბრების საფუძველზე იკვეთება, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია კლასში მყოფ ყველა მოსწავლესა და მათ ჩართულობაზე. მასწავლებელი დიფერენცირებული სწავლების პრინციპებს იყენებს, რათა თითოეული ბავშვის ინდივიდუალური შესაძლებლობა და ინტერესი იყოს გათვალისწინებული. ეს მიდგომა პრაქტიკულად ჩანს კომპლექსურ დავალებებზე მუშაობისას, სადაც მოსწავლეებს აქვთ არჩევანის თავისუფლება. მაგალითად, პროგრამირების (Scratch) ან ვიზუალური დიზაინის (Paint 3D) დავალებების შესრულებისას, ბავშვებს შეუძლიათ თავად შეარჩიონ პერსონაჟები, გარემო და სირთულის დონე. ინტერვიუს დროსაც გამოიკვეთა, რომ მასწავლებელი მზად არის, საჭიროების შემთხვევაში, დაეხმაროს მოსწავლეებს დამატებითი

	ინსტრუქციებით ან დამხმარე მასალებით, რაც უზრუნველყოფს იმას, რომ არცერთი მოსწავლე არ დარჩეს პროცესის მიღმა. აგრეთვე ინდივიდუალურ მიდგომას იყენებს მასწავლებელი სსსმ მოსწავლესთან, რასაც ადასტურებს წარმოდგენილი ინდივიდუალური გეგმა და მოსწავლის ნამუშევარი. დოკუმენტაციისა და გასაუბრების ანალიზი ადასტურებს, რომ სკოლაში შექმნილია მხარდამჭერი გარემო, სადაც თითოეული მოსწავლის წინსვლა და შესაძლებლობების მაქსიმალური გამოვლენაა გათვალისწინებული. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლაში სასწავლო პროცესი ეფუძნება დიფერენცირებული სწავლების პრინციპებს, რაც უზრუნველყოფს თითოეული მოსწავლის საჭიროებების გათვალისწინებას, დავალებები და მათზე მუშაობის პროცესი ითვალისწინებს მოსწავლეთა შესაძლებლობებს და ინტერესს, პედაგოგებმა გასაუბრებაზეც აღნიშნეს რომ სკოლა მცირეკონტინგენტიანია, რაც თავისთავად ხელს უწყობს დიფერენცირებას და ინდივიდუალური შესაძლებლობების გათვალისწინებას. აგრეთვე ინდივიდუალურ მიდგომას იყენებენ სსსმ მოსწავლესთან, წარმოდგენილია მასთან სამუშაო ინდივიდუალური გეგმები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. **მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. სამივე საფეხურზე წარმოდგენილია განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, თუმცა, აღნიშნული რუბრიკები არის უფრო განზოგადებული სახით წარმოდგენილი და არა კონკრეტულად, რომელიმე ერთ დავალებაზე ორიენტირებული. ინტერვიუს დროს კათედრის წარმომადგენლებმა ისაუბრეს იმის შესახებ, რომ აქტიურად მუშაობენ შეფასების ფორმების შექმნაზე და დახვეწაზე.

	რჩევა - სასურველია, კათედრამ შეიმუშაოს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა თითოეული თემის ფარგლებში, რომელიც ნათლად აჩვენებს კრიტერიუმებთან მიმართებით რამდენად დაძლია მოსწავლემ შედეგების მიღწევის ინდიკატორები გრძელვადიანი სამიზნე ცნებების მიხედვით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	მოსწავლის და სასწავლო პროცესის შესაფასებლად სკოლის საზოგადოებრივი მეცნიერების კათედრა, განმსაზღვრელ და განმავითარებელ შეფასებებს იყენებს. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები წარმოადგინეს დოკუმენტაციის სახით. ინტერვიუში აღნიშნეს რომ შემოქმედებით დავალებებზე მუშაობისას მოსწავლეებს ძირითადად აფასებენ განმავითარებელ შეფასებით, სიტყვიერად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	სკოლის მიერ წარმოდგენილ სასკოლო და საგნობრივ კურიკულუმებში აღწერილი მოსწავლის შეფასების სისტემა ძირითადად შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. წარმოდგენილია მრავალფეროვანი შეფასების რუბრიკები, ხოლო კომპლექსური ტიპის დავალებების შეფასებისას გამოყენებული კრიტერიუმები მიემართება გრძელვადიან მიზნებს, რაც მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან შესაბამისობის მნიშვნელოვან საფუძველს ქმნის. თუმცა, წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ასევე იკვეთება ისეთი შეფასების რუბრიკები, რომლებიც ნაკლებად არის შესაბამისობაში მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის ხედვასთან. კერძოდ, ისეთი ფორმულირებები, როგორიცაა „მოსწავლე ჩართულია“, „ნაწილობრივ არის ჩართული“ და მსგავსი, შეფასების მიზანსა და შინაარსს არასაკმარისად აკონკრეტებს და შესაძლოა მოსწავლეებში შეფასების არსთან დაკავშირებით დაბნეულობა გამოიწვიოს. შესაბამისად, ინდიკატორი 5 ძირითადად დაკმაყოფილებულია, თუმცა შეფასების სისტემის ნაწილობრივი დაზუსტება და განახლება საჭიროებს დამატებით ყურადღებას. **რჩევა:** სასურველია, სკოლამ შეფასების ყველა რუბრიკა და სისტემა უფრო მკაფიოდ დაუკავშიროს

	ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს, შედეგებსა და სამიზნე ცნებებს, რათა შეფასება იყოს არა მხოლოდ პროცესის აღწერაზე ორიენტირებული, არამედ ნათლად აჩვენებდეს, რა მიზნით ფასდება მოსწავლის აქტივობა, ცოდნა და უნარები და როგორ უკავშირდება ეს ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და პედაგოგებთან გასაუბრებით ირკვევა, რომ სამივე საფეხურზე ჩამოყალიბებულია ობიექტური და გამჭვირვალე შეფასების სისტემა, რაც შესაბამისობაშია ეროვნულ სასწავლო გეგმასთან და ორიენტირებულია მოსწავლის ინდივიდუალურ წინსვლასა და განვითარებაზე. შეფასების პროცესი ლოგიკურად უკავშირდება სასწავლო მიღწევებს და ემსახურება სახელმწიფო სასწავლო გეგმის სტრატეგიული მიზნების რეალიზებას. რჩევა: თეორიული მასალის ათვისების დადასტურებასთან ერთად, შეფასება, სასურველია, უფრო მეტად ასახავდეს მოსწავლის შემოქმედებით შესაძლებლობებსა და აქტიურ ჩართულობას. სასურველია, შეფასების მექანიზმში ორგანულად იყოს ჩართული სისტემატური უკუკავშირი, თვითრეფლექსია და თანაკლასელთა ურთიერთშეფასების კომპონენტები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	სკოლას წარმოდგენილი აქვს ქართული ენისა და ლიტერატურის განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები სამივე საფეხურზე, რომლებიც მიემართება კონკრეტულ შემოქმედებითი ტიპის დავალებას. შეფასების რუბრიკები კორელაციაშია გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებთან. ასევე გადმოგზავნილია ზოგადი სახის შეფასების რუბრიკები, დიაგნოსტიკური წერის ნიმუშები, შეფასების ვერიფიკაციის მექნიზმი, რომელიც შეფასების სისტემის მხარდამჭერი ინსტრუმენტი იქნება. მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამაოცანებს.

	ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.
მათემატიკა	როგორც წარმოდგენილი დოკუმენტაცია, ასევე მასწავლებლებთან ჩატარებული გასაუბრება ადასტურებს, რომ შეფასების სისტემა შეესაბამება ვალიდურობის, გამვირვალობის, სანდოობის და ობიექტურობის პრინციპებს. შეფასების რუბრიკები შემუშავებულია საგნის სტანდარტზე დაფუძნებით და უზრუნველყოფს შედეგებზე ორიენტირებულ სტრუქტურირებულ და მკაფიო შეფასებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	სკოლას სასწავლო პროცესში მოსწავლეთა შესაფასებლად, წარმოდგენილი აქვს განმათარებელი და განმსაზღვრელი ტიპის შეფასების რუბრიკები. ისინი შეესაბამება ესგ-ის მოთხოვნებს და აფასებს თითოეულ სამიზნე ცნებას საგნობრივი სტანდარტის მიხედვით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	წარმოდგენილი კურიკულუმების და მასწავლებელთან გასაუბრების საფუძველზე დასტურდება, რომ მოსწავლის შეფასების სისტემა სრულ თანხვედრაშია მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან. შეფასება არ ატარებს მხოლოდ მაკონტროლებელ ხასიათს; ის ორიენტირებულია სწავლის ხარისხის გაუმჯობესებასა და მოსწავლის წინსვლაზე. მასწავლებელი შეფასებისას იყენებს განმავითარებელ კომენტარებს, რაც მოსწავლეს ეხმარება გააცნობიეროს: რა გააკეთა კარგად, რა ხარვეზები ჰქონდა და როგორ უნდა გაუმჯობესოს შედეგი მომავალში. კომპლექსური დავალებისთვის შემუშავებულია შეფასების კრიტერიუმები, რომლებიც ეფუძნება ფუნქციურ უნარებს. შეფასების სისტემა არის გამჭვირვალე და სამართლიანი, რაც ქმნის პოზიტიურ სასწავლო გარემოს და სტიმულს აძლევს მოსწავლეს, იყოს უფრო მეტად პასუხისმგებლიანი საკუთარ სწავლაზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	კათედრას ყველა საგანში წარმოდგენილი აქვს შემოქმედებითი პროდუქტის შეფასების რუბრიკები. რუბრიკები საშუალებას იძლევა შეფასდეს გრძელვადიანი მიზნის მიღწევა. რუბრიკები ზოგადია, მიემართება გრძელვადიან მიზანს. გასაუბრებაზე გაგვაცნეს რომ რუბრიკებზე დაყრდნობით კონკრეტულად დავალებებს აფასებენ. ასევე საგაკვეთილო პროცესში იყენებენ აქტივობათა შეფასების ვერბალურ ხერხს, ასევე მოსწავლეთა ურთიერთსეფასებას და თვითშეფასების მოდელს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- საგნობრივი კურიკულუმები;
- შემაჯამებელი დავალებების ანალიზის ფორმები;
- შესრულებული კომპლექსური დავალებები;
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებების რუბრიკები და შეფასების სქემები;
- გაკვეთილის გეგმა. პედაგოგის რეფლექსია. კოლეგა პედაგოგის მიერ გაკვეთილის შეფასება;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმები. სსსმ მოსწავლეების საგნობრივი მონიტორინგები;
- შემოქმედებითი პროექტები;
- რესურსების ჩამონათვალი.
- მასწავლებლებთან ინტერვიუ
- სასწავლო პროექტები
- მკითხველთა წრე „მწიგნობარი“

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*

- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სასწავლო პროცესი ემყარება სასკოლო კურიკულუმით განსაზღვრულ მიზნებს,შედეგებსა და აქტივობებს და წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და განვითარების მნიშვნელოვან გზას. კურიკულუმებში ჩანს სამიზნე ცოდნისა და მოსწავლისთვის საჭირო უნარების განვითარების შესაძლებლობა, ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები	სასწავლო პროცესი დაგეგმილია და წარიმართება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. ამას ადასტურებს სკოლის და კათედრის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, სკოლის ვებგვერდზე ატვირთული მოსწავლეთა აქტივობების, ნამუშევრების ფოტო და ვიდეო მასალა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე იკვეთება, რომ სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. სკოლაში სასწავლო პროცესის დაგეგმვა და განხორციელება ემყარება კურიკულუმით განსაზღვრულ საგნებს, მიზნებს, შედეგებსა და აქტივობებს. გასაუბრებისას აღინიშნა, რომ სასწავლო პროცესი მიმდინარეობს კურიკულუმის მიხედვით, რაც ადასტურებს, რომ სასწავლო საქმიანობები, მათ შორის დაგეგმილი აქტივობები და პროცესთან დაკავშირებული სამუშაო მიმართულებები, შესაბამისობაშია სასკოლო კურიკულუმით განსაზღვრულ მოთხოვნებთან. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად და ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს. თითოეულ საგანში/კლასში/საფეხურზე კურიკულუმში მკაფიოდ არის განსაზღვრული სასწავლო მიზნები, ამოცანები და მოსალოდნელი შედეგები. სწავლება ხორციელდება მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომებით და მოიცავს ეროვნული გეგმის მოთხოვნებზე მორგებულ თემატურ ერთეულებს, შუალედურ მიზნებსა და შემოქმედებით ტიპის დავალებებს, რომლებიც ხელს უწყობს სწავლების მიზნების რეალიზებას. მასწავლებელთა ინტერვიუებიდან ჩანს, რომ კურიკულუმში გათვალისწინებული დავალებები და მიზნები, ეტაპობრივად, ინერგება პრაქტიკაში. გაკვეთილზე გაწერილი მიზნები მკაფიოდ უკავშირდება შესაბამისი კურიკულუმის შედეგებს და გამოყენებულია შესაბამისი ტერმინოლოგია, ხოლო აქტივობები მიზანმიმართულად ემსახურება უნარებისა და კომპეტენციების განვითარებას ეროვნული პრინციპების გათვალისწინებით (მაგ., ინტეგრაცია, მრავალფეროვნება, კულტურული კონტექსტი).

	რჩევა: სასურველია, გაკვეთილის მიმდინარეობაზე დაკვირვება განხორციელდეს როგორც პედაგოგის, ისე მოსწავლეთა ჩართულობის გათვალისწინებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	კათედრის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია (კურიკულუმები, შეფასების რუბრიკები, მოსავლეთა ნამუშევრები) მეტყველებს იმაზე, რომ სასწავლო პროცესი მიმდინარეობს კურიკულუმის შესაბამისად. კურიკულუმის განხორციელების მხარდამჭრი კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიაა, რომელიც უწყვეტი, ციკლური პროცესია, იგი მოიცავს დაგეგმვას, განხორციელებას, შეფასებასა და რეფლექსიას. გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მასწავლებლების მთავარი დასაყრდენი არის ესგ, მოსწავლეთა საჭიროებისა და ინტერესების გათვალისწინებით გეგმავენ სასწავლო პროცეს, კათედრაზე თანამშრომლობით გეგმავენ და ახორცელებენ კურიკულუმებს, უწევენ რევიზაის და შეაქავთ ცვლილებები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	კათედრის მიერ მოწოდებული მასალის (სამივე საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები, შემოქმედებითი დავალებების ბარათები, და მათი განხორციელების ეტაპები, კათედრის ოქმი, სამოქმედო გეგმა, შეფასების რუბრიკები, სასკოლო სასწავლო გეგმა) ანალიზის შედეგად იკვეთება, რომ სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად, საგნის საათობრივი დატვირთვა სამივე საფეხურზე და სემესტრული განაწილება შეესაბამება კურიკულუმში გაწერილი თემის თუ ძირითადი საკითხებისთვის დათმობილი საათების რაოდენობას წარმოდგენილი სასწავლო თემები და საკითხები დაგეგმილ აქტივობებთან შესაბამისობაშია. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმის ჩარჩოში (სამივე საფეხურისათვის), პედაგოგების მიერ სწორადაა გაწერილი ის სასწავლო თემები და საკითხები, რომელთა განხორციელებასაც შეძლებენ სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას სკოლის ბაზაზე არსებული ინფრასტრუქტურითა და ინვენტარით. პედაგოგები ცდილობენ სასწავლო პროცესის წახალისებას და კურიკულუმით გაწერილი თემების ფარგლებში სასკოლო

	აქტივობების გარდა (რომელიცაა შიდასასკოლო ფესტივალები და კონფერენციები), სკოლის მოსწავლეები აქტიურად მონაწილეობენ სკოლის გარე, არაფორმალური განათლების მიმართულებითაც. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და პედაგოგთან ინტერვიუს საფუძველზე დასტურდება, რომ სასწავლო პროცესი სრულად შეესაბამება დაგეგმილ სასკოლო კურიკულუმს. სასწავლო გეგმაში მოცემული თემატური ბლოკები და კომპლექსური დავალებები ეტაპობრივად და თანმიმდევრულად ხორციელდება კლასებში. მნიშვნელოვანია, რომ დაგეგმილი აქტივობები (მაგალითად, **Scratch**-ში პროგრამირება, **Code.org**, **TinkerCard** -ში მუშაობა რეალურად ხორციელდება და მორგებულია თითოეული კლასის საჭიროებებს. პედაგოგი სასწავლო პროცესში წარმატებით იყენებს კურიკულუმით გათვალისწინებულ რესურსებსა და შეფასების რუბრიკებს. წარმოდგენილ კურიკულუმებს ასევე ახლავს რეფლექსიები, მოსწავლეთა ნამუშევრები, პროექტისა და ინტეგრირებული გაკვეთილის გეგმა, შემაჯამებელი დავალება და ანალიზი. შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მასწავებელი სასწავლო პროცესს გეგმავს სასკოლო კურიკულუმის და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად, **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	მასწავლებლებთან ინტერვიუების პროცესში გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები ახორციელებენ იმ კურიკულუმებს, რომლებიც წარმოდგენილი აქვთ. წარმოადგინეს და ისაუბრეს არაერთ პროდუქტზე, რაც მტკიცებულების სახით აქვთ შემონახული(შესრულებული დავალებების ფოტომასალა). ამით დასტურდება სასწავლო პროცესის წარმართვა კურიკულუმის შესაბამისად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე

სკოლა სასწავლო პროცესს წარმართავს დაგეგმილი სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. დავალებებზე მუშაობის პროცესში მოქნილად რეაგირებს წარმოქმნილ საჭიროებებზე. საჭიროებისამებრ ხდება გაკვეთილების დაწყვილება გადანაცვლება.

3. **შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. ოსწავლეთა შეფასების სისტემა არის ობიექტური, გამჭვირვალე, ვალიდური და სანდო. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან, განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკებიდან და მასწავლებელთა ინტერვიურების დროს გამოიკვეთა, რომ სკოლაში მოსწავლის შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, ობიექტური და სამართლიანი. გასაუბრებაზე მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მოსწავლეთა თვითშეფასების და ურთიერთშეფასების კარგი გამოცდილება აქვთ, რა დროსაც მოსწავლეები უფრო სიღრმისეულად და პასუხისმგებლიანად იაზრებენ შეფასების კრიტერიუმებს და უჩნდებათ თანამონაწილეობის, სამართლიანობის განცდა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	სკოლის მიერ წარმოდგენილი შეფასების სისტემა, მთლიანობაში, აკმაყოფილებს ვალიდურობის, გამჭვირვალობის, სანდოობის, ობიექტურობისა და სამართლიანობის პრინციპებს. დოკუმენტაციაში იკვეთება, რომ სკოლაში ფასდება როგორც საკლასო და საშინაო დავალებები, ასევე ტარდება შემაჯამებელი შეფასებები. უცხოური ენების მიმართულებით წარმოდგენილია კითხვის, წერის, მოსმენისა და საუბრის უნარების შეფასების კრიტერიუმები, რაც ადასტურებს, რომ შეფასება რიგ შემთხვევებში მიემართება კონკრეტულ სწავლის შედეგებს და ეფუძნება შესაბამის მტკიცებულებებს. ამასთანავე, წარმოდგენილ მასალაში გამოვლინდა ისეთი შეფასების რუბრიკებიც, რომლებიც შეუსაბამოა მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან და უფრო ადრინდელი

	მიდგომების გავლენას ასახავს. ასევე, ნაკლებად იყო წარმოდგენილი განმავითარებელი შეფასების სისტემები. მიუხედავად აღნიშნული ხარვეზებისა, შეფასების სისტემა ფუნქციონირებს. **რჩევა:** სასურველია, სკოლამ შეფასების ყველა ინსტრუმენტი და რუბრიკა გადაამუშაოს ისე, რომ ისინი სრულად შეესაბამებოდეს მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს, მკაფიოდ მიემართებოდეს სწავლის შედეგებს, სამიზნე ცნებებსა და შეფასების მიზნებს. ასევე მნიშვნელოვანია უფრო სისტემურად იყოს წარმოდგენილი განმავითარებელი შეფასების მექანიზმები, რათა შეფასება მეტად ემსახურებოდეს მოსწავლის პროგრესის მხარდაჭერასა და სწავლის გაუმჯობესებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	შეფასება თანხვედრაშია სასწავლო გეგმის მიზნებთან და მისგან გამომდინარედ ადგენს მოსალოდნელ შედეგებს. იგი მოიცავს შეფასების სხვადასხვა ტიპს: ზეპირ, პრაქტიკულ, რეფლექსიურ და შემოქმედებით აქტივობებზე დაფუძნებულ შეფასებას, რაც უზრუნველყოფს სწავლის პროცესის მრავალმხრივ დაკვირვებას. შეფასების სისტემა გამჭვირვალობისა და თანმიმდევრულობის პრინციპებზეა აგებული. ამ მიზნით გამოიყენება განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებები. კრიტერიუმები სტრუქტურირებულია თემებისა და საფეხურების მიხედვით, რათა შეფასების მიდგომა იყოს ერთგვაროვანი და ნათლად გასაგები. სკოლას აქვს ვერიფიკაციის დოკუმენტი, რომლის საფუძველზეც დოკუმენტაციასა და ინტერვიუებზე დაყრდნობით დასტურდება, რომ შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. რჩევა: შეფასების კრიტერიუმები პედაგოგებმა მოსწავლეებს წინასწარ, დეტალურად გააცნონ და შემდეგ ეტაპობრივად ჩართონ მათ ურთიერთშეფასებაში, რათა შეფასების პროცესი იყოს გაცნობიერებული და სამართლიანად აღქმადი.

	ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.
სახელმწიფო ენა	სკოლას აქვს წარმოდგენილი შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი. აღნიშნულ დოკუმენტში აღწერილია როგორ იგეგმება და მიმდინარეობს ვერიფიკაციის პროცესი, ვინ იქნება განმახორციელებელი პირი და რა ეტაპებს გადის პროცესი. კათედრამ წარმოადგინა განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, მასწავლებლის რეფლექსია, შემაჯამებლები და დიაგნოსტიკური წერის ნიმუში. ყოველივე ეს მიუთითებს, რომ შეფასების სისიტემა იქნება ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	კათედრის მიერ მოწოდებული დოკუმენტაცია ადასტირებს, რომ შეფასების სისტემა შეესაბამება ვალიდურობის, გამჭვირვალობის, სანდოობის, ობიექტურობისა და სამართლიანობის პრინციპებს. გამოყენებულია საგნის სტანდატრზე დაფუძნებული განმსაზღვრელი და განმავითარებელი რუბრიკები რაც უზრუნველყოფს შედეგებზე ორიენტირებულ მკაფიო შეფასებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	პედაგოგებს წარმოდგენილი აქვს შეფასების რუბრიკები და სკოლაში არსებობს ვერიფიკაციის მექანიზმი. შეფასების რუბრიკები შემუშავებული ესგ-ს მოთხოვნების გათვალისწინებით და გამომდინარეობს საგნობრივი სტანდარტიდან.. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	წარმოდგენილი კურიკულუმების და პედაგოგთან ინტერვიუს საფუძველზე იკვეთება, რომ სკოლაში მოქმედი შეფასების სისტემა ეფუძნება ობიექტურობისა და სამართლიანობის პრინციპებს. შეფასების **ვალიდობა** დასტურდება იმით, რომ შერჩეული კრიტერიუმები პირდაპირ გამომდინარეობს სასწავლო მიზნებიდან, მასწავლებელი აფასებს არა მხოლოდ ტექნიკურ შესრულებას, არამედ იმას, თუ რამდენად გაიაზრა მოსწავლემ საკითხის არსი. შეფასების პროცესი არის სრულიად **გამჭვირვალე,** კომპლექსური დავალების გაცემისთანავე, მოსწავლეებისთვის ცნობილია შეფასების რუბრიკა. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ

	სკოლაში მოქმედებს შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი, რაც უზრუნველყოფს პროცესის დამატებით მონიტორინგსა და ხარისხის კონტროლს. ეს მექანიზმი კიდევ უფრო ზრდის შეფასების **სანდოობას**, რადგან ხდება ნამუშევრებისა და რუბრიკების შესაბამისობის გადამოწმება. სისტემის **ობიექტურობასა და სამართლიანობას** განაპირობებს ისიც, რომ შეფასება ეყრდნობა კონკრეტულ მტკიცებულებებს, მოსწავლეთა მიერ შექმნილ ციფრულ პროდუქტებს. ვერიფიკაციის პროცესი და მასწავლებლის მიერ გამოყენებული განმავითარებელი კომენტარები ქმნის ნდობასა და პოზიტიურ განწყობას სასწავლო პროცესის მიმართ, რაც სტიმულს აძლევს მოსწავლეს საკუთარი შედეგების გასაუმჯობესებლად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	კათედრას წამროდგენილი აქვს შეფასების რუბრიკები რომელიც კონკრეტულ საკითხს და დავალებას მიემართება. გასაუბრებისას აღწერეს თუ როგორ ახალისებენ მოსწავლეს სხვადასხვა წამახალისებლებით, აწვდიან მათ კონკრეტულ, აქტივობებზე მორგებულ უკუკავშირს. კათედრა დიდ ყურადღებას აქცევს შეფასების ვალიდურობას, გამჭვირვალობას, სანდოობას, ობიექტურობას და სამართლიანობას. **ინდიკატორის დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი

სკოლაში მოქმედი შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს რეგულარულად ეცნობება მშობელს მოსწავლის შეფასების შესახებ, სასწავლო წლის დასაწყისში მშობლები ეცნობიან სასკოლო სასწავლო გეგმას, სკოლაში მოქმედ შეფასების სისტემას, ნიშნის ამაღლების წესს, სემესტრული გამოცდის დანიშვნის გზით და ა.შ. კათედრების სხდომებზე ანალიზდება დავალებები. შეფასების კუთხით, მშობლებთან დამყარებულია აქტიური უკუკავშირი თანამედროვე საკომუნიკაციო საშუალებების გამოყენებით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5. **სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით**

სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას. სკოლა იცავს დოკუმენტაციის წარმოებასთან და სკოლაში მათ შენახვასთან დაკავშირებულ რეგულაციებს. მოსწავლეთა პირადი საქმეებისა და მათი შეფასებების წესი განსაზღვრულია საქართველოს კანონმდებლობით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი.
- სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- საგნობრივი კურიკულუმები;
- შემაჯამებელი დავალებების ანალიზის ფორმები;
- შესრულებული კომპლექსური დავალებები;
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებების რუბრიკები და შეფასების სქემები;
- გაკვეთილის გეგმა. პედაგოგის რეფლექსია. კოლეგა პედაგოგის მიერ გაკვეთილის შეფასება.

2.2.2. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი რესურსით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

	საგნობრივ კურიკულუმებში ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული თემების დასამუშავებლად ძირითად რესურსად გამოყენებულია გრიფირებული სახელმძღვანელოები, წიგნში განსაზღვრული საკითხები, რაზეც არის აგებული კურიკულუმი, მაგრამ ასევე შემოტანილია დამხმარე რესურსები,რომელიც კურიკულუმებში ლინკების სახითაა ჩაშენებული. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	კურიკულუმით განსაზღვრულ გრიფირებულ სახელმძღვანელოებთან ერთად სკოლა იყენებს ციფრულ და მატერიალურ დამატებით რესურსს, რაც დასტურდება კათედრის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით თვითოეულ საგანში. (კურიკულუმებში, შემოქმედებით დავალებებში, მოსწავლეთა ნამუშევრებში.) **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
უცხოური ენები	წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე იკვეთება, რომ კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსები გამოიყენება სასწავლო პროცესში. კურიკულუმში წარმოდგენილი კომპლექსური ტიპის დავალებები, პროექტები და სხვადასხვა სასკოლო ღონისძიება ადასტურებს, რომ სასწავლო პროცესში გამოიყენება მრავალფეროვანი რესურსები, რომლებიც ემსახურება სასწავლო მიზნებისა და შედეგების მიღწევას. აღნიშნული ქმნის საფუძველს დასკვნისთვის, რომ სკოლა სასწავლო პროცესში რეალურად იყენებს როგორც ძირითად, ისე დამხმარე სასწავლო რესურსებს. შესაბამისად, ინდიკატორი დაკმაყოფილებულია. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** **რჩევა:** სასურველია, კურიკულუმში უფრო მკაფიოდ და სისტემურად იყოს ასახული ის ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსები, რომლებიც სასწავლო პროცესში გამოიყენება, რათა დოკუმენტურადაც უფრო ნათლად დასტურდებოდეს მათი კავშირი დაგეგმილ აქტივობებთან, ღონისძიებებთან და სასწავლო შედეგებთან.

ესთეტიკური აღზრდა	კურიკულუმით გათვალისწინებული როგორც მთავარი, ისე დამატებითი სასწავლო რესურსები ეფექტიანად გამოიყენება სასწავლო პროცესში. მეთოდური პედაგოგიური ლიტერატურა, თანამედროვე ციფრული მასალები, აუდიო-ვიდეო რესურსები, აგრეთვე ხელოვნების ნიმუშების შექმნისთვის საჭირო მასალები და შესაბამისი ინვენტარი მოსწავლეებს ეხმარება დასახული სწავლის შედეგების მიღწევაში. სასწავლო გარემო მოწყობილია ისე, რომ პრაქტიკული აქტივობები სრულფასოვნად განხორციელდეს; მოსწავლეთა ნამუშევრები ინახება და დამატებით რესურსად გამოიყენება შემოქმედებითი პროცესის მხარდასაჭერად. რჩევა: სკოლამ შეიძინოს სხვადასხვა მუსიკალური ინსტრუმენტი, რათა შემოქმედებითი საქმიანობა კიდევ უფრო მრავალფეროვანი და შინაარსობრივად გამდიდრებული გახდეს. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სახელმწიფო ენა	კურიკულუმით განსაზღვრულ ძირითად და დამხმარე რესურსების სასწავლო პროცესში გამოყენებას უზრუნველყოფს სკოლა. კათედრის წევრებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ ელექტრონულ მასალას სასწავლო პროცესში იყენებენ შეუფერხებლად. რჩევა: სასურველია, მეექვსე და მეთერთმეტე კლასის კურიკულუმებში აისახოს დამხმარე რესურსი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	არსებულ კურიკულუმებზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ საკმაოდ მრავალფეროვანი რესურსები აქვთ წარმოდგენილი, რომლებიც შესაბამისობაში მოდის არსებულ თემებსა და საკითხებთან. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

სპორტი	პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გაირკვა, რომ ისინი სასწავლო პროცესში იყენებენ კურიკულუმით გაწერილ რესურსებს: არსებულ ინფრასტრუქტურას და სპორტულ ინვენტარს, გზამკვლევებს მასწავლებლისათვის, ვიდეორგოლებს ზოგადგანმავითარებელი ვარჯიშებით, პრეზენტაციებს თეორიისათვის. პედაგოგები ცდილობენ არსებული ინფრასტრუქტურის პირობებში, სასწავლო პროცესი მოსწავლეებისათვის იყოს მრავალფეროვანი და ხელი შეუწყოს მათი კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის საფეხურეობრივ შედეგზე გაყვანას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და მასწავლებელთან ინტერვიუს საფუძველზე დასტურდება, რომ სასწავლო პროცესი სრულად არის უზრუნველყოფილი კურიკულუმით განსაზღვრული მატერიალური და ციფრული რესურსებით. მნიშვნელოვანია, რომ რესურსების გამოყენება არ ატარებს ფორმალურ ხასიათს და ისინი შერჩეულია თითოეული თემის სპეციფიკისა და მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით. სასწავლო პროცესში აქტიურად გამოიყენება როგორც ძირითადი, ისე დამხმარე რესურსები. მაგალითად, სასწავლო რესურსი **school.emis.ge** გამოიყენება როგორც ძირითადი საგანმანათლებლო ინსტრუმენტი კომპლექსურ დავალებებზე მუშაობისას, ხოლო ისეთი პროგრამები, როგორიცაა **Paint 3D, Scratch** და **Tinkercad**, წარმოადგენს დამხმარე პლატფორმებს პრაქტიკული და შემოქმედებითი უნარების განსავითარებლად. ინტერვიუდან იკვეთება, რომ სკოლის ტექნიკური ბაზა (კომპიუტერული ლაბორატორია, ინტერნეტთან წვდომა) საშუალებას აძლევს მასწავლებელს, შეუფერხებლად გამოიყენოს კურიკულუმით გათვალისწინებული ყველა ციფრული რესურსი. რესურსების მრავალფეროვნება და მათი მიზნობრივი გამოყენება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ეფექტურობასა და მოსწავლეთა მაღალ ჩართულობას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სასწავლო პროცესში ერთნაირად მნიშვნელოვანია როგორც ძირითადი ასევე დამხმარე რესურსების გამოყენება. დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილ კურიკულუმებში მითითებულია სახელმძღვანელოები, გვხვდება ციფრული რესურსები, მაორგანიზებელი

	სქემები, დამატებით რესურსებზე რომლებსაც აქტიურად იყენებენ სწავლა-სწავლების პროცესში. გარკვეულ საგნებში დამხმარე რესურსები ზოგადია, ბუნდოვანი. გაიცა შესაბამისი რჩევა დაკონკრეტდეს რესურსი. **რჩევა:** IV კლასის ქართული ენის და ლიტერატურის, მათემატიკის და ბუნებისმეტყველების კურიკულუმებში გაიწეროს კონკრეტული ბმულები, გრაფიკული მაორგანიზებლები და სხვა დამხმარე რესურსი, საკითხის შესაბამისად. **ინდიკატორის დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სამივე საფეხურზე სასწავლო პროცესში გამოიყენება კურიკულუმით განსაზღვრული, როგორც ძირითადი, ისე დამხმარე სასწავლო რესურსები, რაც დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და გასაუბრებით. საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივ კურიკულუმებში გაწერილი რესურსები შერჩეულია საგანმანათლებლო არხებიდან და პორტალებიდან, ასევე მასწავლებლის სახლის მიერ ორგანიზებული ტრენინგებიდან მიღებული ინფორმაციის შედეგად, რაც უზრუნველყოფს რესურსების ვალიდაციას . **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	დამხმარე საგანმანათლებლო რესურსების ვალიდაცია ხორციელდება საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის შეხვედრის ფარგლებში. სკოლა სასწავლო წლის დასაწყისში ირჩევს, როგორც გრიფირებულ სახელმძღვანელოებს, ასევე სამინისტროს მიერ მოწოდებულ რესურსებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

უცხოური ენები	სკოლის მიერ წარმოდგენილი შეფასების სისტემა, მთლიანობაში, აკმაყოფილებს ვალიდურობის, გამჭვირვალობის, სანდოობის, ობიექტურობისა და სამართლიანობის პრინციპებს. დოკუმენტაციაში იკვეთება, რომ სკოლაში ფასდება როგორც საკლასო და საშინაო დავალებები, ასევე ტარდება შემაჯამებელი შეფასებები. უცხოური ენების მიმართულებით წარმოდგენილია კითხვის, წერის, მოსმენისა და საუბრის უნარების შეფასების კრიტერიუმები, რაც ადასტურებს, რომ შეფასება რიგ შემთხვევებში მიემართება კონკრეტულ სწავლის შედეგებს და ეფუძნება შესაბამის მტკიცებულებებს. ამასთანავე, წარმოდგენილ მასალაში გამოვლინდა ისეთი შეფასების რუბრიკებიც, რომლებიც შეუსაბამოა მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან და უფრო ადრინდელი მიდგომების გავლენას ასახავს. ასევე, ნაკლებად იყო წარმოდგენილი განმავითარებელი შეფასების სისტემები. მიუხედავად აღნიშნული ხარვეზებისა, შეფასების სისტემა ფუნქციონირებს. **რჩევა:** სასურველია, სკოლამ შეფასების ყველა ინსტრუმენტი და რუბრიკა გადაამუშაოს ისე, რომ ისინი სრულად შეესაბამებოდეს მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს, მკაფიოდ მიემართებოდეს სწავლის შედეგებს, სამიზნე ცნებებსა და შეფასების მიზნებს. ასევე მნიშვნელოვანია უფრო სისტემურად იყოს წარმოდგენილი განმავითარებელი შეფასების მექანიზმები, რათა შეფასება მეტად ემსახურებოდეს მოსწავლის პროგრესის მხარდაჭერასა და სწავლის გაუმჯობესებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ესთეტიკური აღზრდა	რესურსები კათედრაზე ფასდება იმის მიხედვით, რამდენად შეესაბამება ისინი ეროვნულ სასწავლო გეგმას და მოსწავლეთა ასაკობრივ თავისებურებებს. არსებული დამხმარე სასწავლო რესურსები შეთანხმებულია შესაბამისი საგნობრივი სასწავლო გეგმების მოთხოვნებთან. რესურსების შერჩევის პროცესში ჩართულები არიან საგნის პედაგოგები; რესურსების გამოყენებამდე კი ისინი დეტალურად განიხილება და თანხმდება სკოლის ადმინისტრაციასთან. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

სახელმწიფო ენა	დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაცია უზრუნველყოფილია სკოლის მიერ. კათედრის პირველი სხდომის ოქმში ერთ-ერთი საკითხი, სწორედ, გრიფირებული სახელმძღვანეოლოების შერჩევა და დამხმარე სასწავლო რესურსების ვალიდურობის განხილვაა. აღნიშნულ საკითხს კათედრის წევრები განიხილავენ კათედრის სხდომაზე და შეთანხმებულად იღებენ გადაწყვეტილებას. შემდეგ დახმარე სასწავლო რესურსებს ამტკიცებს პედაგოგიური საბჭო. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
მათემატიკა	მასწავლებლებთან გასაუბრებიდან ნათელია, რომ სკოლა ახორციელებს დამხმარე სასწავლო რესურსების ვალიდაციის პროცესს, რომელიც მოიცავს მასწავლებელთა ჩართულობას რესურსების შერჩევასა და შეფასებაში, რესურსების პრაქტიკულ ტესტირებას სასწავლო პროცესში, რეგულარულ მონიტორინგსა და განახლებას **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სპორტი	გასაუბრებისას აღმოჩნდა და კათედრის ოქმებიც ადასტურებს, რომ ისინი ახდენენ დამხამრე სასწავლო რესურსების ვალიდაციას. რესურსი ვალიდურია სასწავლო თემებისა და სამიზნე ცნებების მიმართულებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაცის ანალიზით და მასწავლებელთან გასაუბრებით ჩანს, რომ სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას. ხოლო, ძირითადი საგანმანათლებლო რესურსი school.emis.ge არის სამინისტროს მიერ რეკომენდირებული (კომპიუტერულ ტექნოოგიებში გრიფირებული სახელმძღვანელო არ არსებობს) და შესაბამისად არის ვალიდური. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	*ივსება მხოლოდ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დაწყებითი საფეხურისთვის*

3. კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით

მცირეკონტინგენტიანი სკოლა უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა.

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/ მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლის რესურსების ვიზუალური დათვალიერების, ასევე პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლას არ აქვს საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის სრულყოფილი ინვენტარი და აღჭურვილობა, რაც საჭიროა სასწავლო მიზნების მისაღწევად. პედაგოგები კურიკულუმის დაგეგმვისას ითვალისწინებენ იმ რესურსებს, რაც ადგილზე აქვთ, ასევე, მოსწავლეებთან ერთად თავად ამზადებენ რესურსებს იმ მასალებით, რაც ხელმისაწვდომია მათთვის. სკოლა უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას დაწყებით საფეხურზე, ხოლო საბაზო და საშუალო საფეხურის სასწავლო მიზნების მისაღწევად, აუცილებელია, სკოლა უზრუნველყოფილი იყოს სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორიით. ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტში დაფიქსირდა ხარვეზი. დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა შესაბამისი მტკიცებულებებით, რომლითაც დგინდება, რომ 2027 წლის 15 მაისის ჩათვლით უზრუნველყოფილი იქნება საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიის აუცილებელი ინვენტარით, რესურსებით და საშუალებებით აღჭურვა. აღნიშნულის გათვალისწინებით, შეიცვალა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტში დაფიქსირებული შეფასება. **ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებულია**.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	კურიკულუმით განსაზღვრულ გრიფირებულ სახელმძღვანელოებთან ერთად სკოლა იყენებს ციფრულ და მატერიალურ დამატებით რესურსს, რაც დასტურდება კათედრის მიერ

	წარმოდგენილი დოკუმენტაციით თვითოეულ საგანში. (კურიკულუმებში, შემოქმედებით დავალებებში, მოსწავლეთა ნამუშევრებში.) **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	წარმოდგენილი უცხოური ენების კათედრის სხდომის ოქმი ადასტურებს, რომ სკოლაში ხორციელდება დამხმარე სასწავლო რესურსების განხილვა, შეფასება და ვალიდაცია სასწავლო პროცესში გამოყენების მიზნით. ოქმში განსაზღვრულია განხილული რესურსები, მათი შეფასების კრიტერიუმები და მიღებულია გადაწყვეტილება მათი ვალიდირებულ დამატებით სასწავლო რესურსად გამოყენების შესახებ, რაც მიუთითებს ინდიკატორით მოთხოვნილი პრაქტიკის არსებობაზე. თუმცა, მხოლოდ წარმოდგენილი ოქმის საფუძველზე სრულად ვერ დასტურდება, რომ სკოლას სისტემურად შემუშავებული აქვს რესურსების ვალიდაციის წესი, რომელშიც გაწერილია რესურსის ტიპები, პროცედურები, ვადები, პასუხისმგებელი და მონაწილე პირები, ასევე ვალიდირებული რესურსების ასახვა კურიკულუმებსა და სხვა დაგეგმვის დოკუმენტებში. **რჩევა:** სასურველია, სკოლამ რესურსების ვალიდაციის პროცესი დაარეგულიროს ერთიანი წერილობითი წესით და ასევე უზრუნველყოს ვალიდირებული რესურსების მკაფიო ასახვა სასკოლო/საგნობრივ კურიკულუმებსა და სასწავლო პროცესის დაგეგმვის შესაბამის დოკუმენტებში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	გაკვეთილის განმავლობაში ყველა მოსწავლეს აქვს შესაძლებლობა, ინდივიდუალურად და ჯგუფურად იმუშაოს მის საჭიროებებთან შესაბამის რესურსებზე. მოსწავლეთა რაოდენობა არ აფერხებს სწავლების ორგანიზებას და უზრუნველყოფს პროცესის გამართულ წარმართვას. თვითშეფასების კითხვარის შედეგებისა და პედაგოგებთან ჩატარებული ინტერვიუების ანალიზმა აჩვენა, რომ სწავლება ეფექტიანად მიმდინარეობს და კურიკულუმით გათვალისწინებული სასწავლო შედეგები მიიღწევა შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური რესურსების, ასევე მოსწავლეთა რაოდენობასთან ადაპტირებული სასწავლო ინფრასტრუქტურის გამოყენებით.

	ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.
სახელმწიფო ენა	სკოლას აქვს შესაბამიის მატერიალური რესურსი კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად. კრიკულუმებში ასახულ ელექტრონულ რესურსებს სწავლებისას იყენებენ შეუფერხებლად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
მათემატიკა	სკოლა უზრუნველყოფს კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით რასაც ადასტურებს წარმოდგენილი ფოტო მასალა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სპორტი	კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა შესაძლებელია არსებული მატერიალური რესურსით და ინვენტარით, მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	დოკუმენტაციის შესწავლისა და კომპიუტერული ლაბორატორიის სურათების გაცნობის საფუძველზე დასტურდება, რომ კურიკულუმის განხორციელება გამყარებულია შესაბამისი მატერიალური ბაზით. სკოლაში არსებული კომპიუტერული ლაბორატორია სრულად პასუხობს მოსწავლეთა რაოდენობრივ მოთხოვნებს, რაც საშუალებას აძლევს თითოეულ მოსწავლეს, ინდივიდუალურად იმუშაოს ტექნიკასთან. მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა დაცულია, რაც იმას ნიშნავს, რომ სამუშაო გარემო არ არის გადატვირთული და პედაგოგს აქვს შესაძლებლობა, მივიდეს ბავშვთან გაუწიოს კონსულტაცია და თვალი ადევნოს პრაქტიკული დავალებების მიმდინარეობას.

	კომპიუტერები აღჭურვილია საჭირო პროგრამული უზრუნველყოფით, რაც აუცილებელია კურიკულუმით განსაზღვრული შედეგების მისაღწევად. სკოლა უზრუნველყოფს ტექნიკის გამართულობასა და ინტერნეტთან უწყვეტ კავშირს, რაც ქმნის საიმედო გარემოს იმისათვის, რომ მოსწავლეებმა შეუფერხებლად შეძლონ კურიკულუმით გათვალისწინებული ყველა აქტივობის შესრულება და დასახული მიზნების მიღწევა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	*ივსება მხოლოდ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დაწყებითი საფეხურისთვის*

4. სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი

ვიზიტისას დადგინდა, რომ სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი. 35 მასწავლებელი, აქედან - 5 წამყვანი, 26 - უფროსი მასწავლებელი, 1 - უფროსი სპეცმასწავლებელი, 1 - სამხედრო სწავლების მასწავლებელი, 2 - მოწვეული მასწავლებელი, 4 დარაჯი, 6- დამლაგებელი, ბიბლიოთეკარი, სკოლას ჰყავს ექიმი და ექთანი.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- საგნობრივი კურიკულუმები;
- შესრულებული კომპლექსური დავალებები;
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებების რუბრიკები და შეფასების სქემები;
- გაკვეთილის გეგმა. პედაგოგის რეფლექსია.;
- ესთეტიკური აღზრდის კათედრის ოქმები;
- რესურსების ჩამონათვალი;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;

- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა;
- საკოლო ინვენტარის მიღება-ჩაბარების აქტი;
- კორესპოდენციები (მიმოწერა) საქართველოს განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის სამინისტროსთან (სასკოლო ლაბორატორიით უზრუნველყოფის შესახებ);
- დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად

სკოლას შემუშავებული აქვს კურიკულუმის ერთიანი ჩარჩოები ყველა კლასის ყველა საგნისთვის. ასევე კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია და სასწავლო წლის ბოლოს ახორციელებს კურიკულუმის მონიტორინგსა და შეფასებას.დირექციასთან ერთად მონიტორინგის პროცესში ჩართულია ხარისხის მართვის ჯგუფი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას

ვიზიტის პერიოდში სკოლის თანამშრომლებთან გასაუბრებისას და სასკოლო კურიკულუმის მიხედვით დადგინდა, რომ სკოლაში განხორციელებული საკლასო, საშინაო, შემაჯამებელი დავალებების, პროექტების შეფასება ხდება შეფასების კრიტერიუმებზე დაყრდნობით. მასწავლებლები თანამშრომლობენ მშობლებთან და კლასის დამრიგებლებთან ადგენენ მოსწავლეების ინტერესების სფეროს, გამოკვეთენ მათ ძლიერ და სუსტ მხარეებს. ასევე მოსწავლეების შესახებ მონაცემების შეგროვება ხორციელდება განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტებზე დაყრდნობით. სასწავლო წლის ბოლოს განხორციელებული მონიტორინგისა და შეფასებით განისაზღვრება პრობლემა და დაისახება მისი გადაჭრის გზები. სკოლამ აღნიშნა, რომ შეფასებისა და მონოტორინგის შედეგად გამოკვეთილი პრობლემები და მიგნებები გათვალისწინებული იქნება მომავალი სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას

ვიზიტის პერიოდში სკოლის თანამშრომლებთან გასაუბრებისას დადასტურდა, რომ კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერითა და დახმარებით. ყველა მასწავლებელთან თანამშრომლობით შექმნილი მონიტორინგისა და შეფასების სისტემა ორიენტირებულია სასკოლო საზოგადოების წევრების დახმარებასა და მხარდაჭერაზე. მონიტორინგის განხორციელებისას მკაფიოდ განისაზღვრება საჭიროებები და დაიგეგმება მიზნის მიღწევის მექანიზმები და საშუალებები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია

- გაკვეთილზე ურერთდასწრების ამსახველი დოკუმენტი
- სკოლის ხარისხის მართვის ჯგუფის უკუკავშირის ფორმა
- სკოლის ხარისხის ჯგუფის ბრძანების N 2-78 (21.122025)

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს

როგორც სკოლის თანამშრომლებმა აღნიშნეს სკოლაში პერიოდულად იმართება კლასში შემსვლელ მასწავლებლებთან შეხვედრები, რომლებიც მსჯელობენ მოსწავლეების მიღწევებზე, ძლიერ და სუსტ მხარებზე და სახავენ სამომავლო გეგმებს პრობლემების აღმოსაფხვრელად. მართალია ეს შეხვედრები დოკუმენტში გაწერილი არ არის. სამომავლოდ სასწავლო პროცესის შეფასება დაეყრდნობა როგორც მასწავლებელთა თვითშეფასებას, ასევე მოსწავლეთა უკუკავშირებს და ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფების უკუკავშირებს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით

სკოლაში მასწავლებლები მოსწავლეებზე დაკვირვებას ახორციელებენ სხვადასხვა სიტუაციაში, იქნება ეს სასკოლო თუ არასასკოლო გარემო, რადგან მოსწავლეთა შესწავლა სხვადასხვა კონტექსტში აუცილებელია სრულყოფილი შეფასებისათვის. სკოლაში ეს ხორციელდება სხვადასხვა ფორმებით: (მაგ. ესეს დაწერა, პროექტის მომზადება, ლაბორატორიული კვლევის ჩატარება, ამოცანის ამოხსნა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშის შექმნა, მოთხრობის შედგენა, მონაცემთა ბაზის შექმნა,და სხვა).

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები

სკოლა შეფასებისას იყენებს მონაცემების მიზნობრივ შეგროვებას და ამ მონაცემების ანალიზს. მოსწავლეების შესახებ მონაცემების შეგროვება ხორციელდება სასწავლო პროცესის შეფასებისა და ხარისხის უზრუნველყოფის უწყვეტი ციკლის ფარგლებში, სკოლა ინფორმაციას აგროვებს სხვადასხვა წყაროდან და ინსტრუმენტით. ეს უზრუნველყოფს შეფასების

ობიექტურობას და ჰოლისტურ მიდგომას. სკოლა ახორციელებს საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვებას . **ანკეტირება და კითხვარები:** მონაცემთა რაოდენობრივი შეგროვება, **შეფასების რუბრიკები:** კრიტერიუმებზე დაფუძნებული შეფასება.ეს მიდგომა ეხმარება სკოლას დაინახონ პროცესები მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით (მაგ., მოსწავლეთა კონტიგენტი, რესურსების მორგება)

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით

სკოლის თანამშრომლებთან გასაუბრებისას დადასტურდა,რომ სკოლაში მნიშვნელოვანია მოსწავლის შეფასებისას მასზე მოქმედი სხვადასხვა ფაქტორების შესწავლა და გათვალისწინება. შეფასება ხდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით: გარემო, დროის მენეჯმენტი, რესურსები, ფსიქო-ემოციური ფონი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმები
- ვერიფიკაციის მექანიზმი
- შეფასების რუბრიკები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*

☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.4. კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1. წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი

სკოლის დირექციამ აღნიშნა, რომ სკოლაში შეიქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი სასკოლო სტრუქტურის ყველა დონისთვის, სადაც გათვალისწინებული იქნება დაგროვილი გამოცდილება, SWOT ანალიზი, ჩატარებული გაკვეთილის, დავალებების, პროექტის რეფლექსიები. კათედრები შეიმუშავებენ ახალ სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტს, რომელიც გათვალისწინებული იქნება მომდევნო წლის კურიკულუმში.სკოლაში შექმნილია ხარისხის განვითარებისა და მხარდაჭერის ჯგუფი, რომელსაც ევალება სასკოლო საზოგადოების მხარდაჭერა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს

სკოლაში 2025-2026 სასწავლო წლისათვის შედგენილი იყო ყველა საგნის კურიკულუმი, რომელიც შექმნილია წინა წლების გამოცდილებაზე დაყრდნობით.პედაგოგებთან გასაუბრებისას დასტურდება, რომ საგნობრივმა კათედრებმა განიხილეს წინა წლის კურიკულუმში გამოკვეთილი ხარვეზები და ასევე დადებითი ასპექტები, რის საფუძველზეც შეიქმა სკოლაში ამ დროისათის არსებული საგნობრივი კურიკულუმები. სკოლის თანამშრომლებმა აღნიშნეს, რომ ყოველი მომდევნო სასწავლო წლიდან მეთოდოლოგიის შესაბამისად განხორციელდება მონიტორინგი და მოხდება მიღებული შედეგების შეფასება.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმები
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

.....
.....
.....
.....

თარიღი: 25/05/2026 წ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: